დანართი №2

შპს „თენექსში“ ვიზიტის და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „კულინარია“ და „სასტუმროს მომსახურებას“ დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: თინათინი მეფარიშვილი
წევრები:
შორენა ალაგარდაშვილი
ნინო მოწყობილი
ნანა შათირიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს "თენექსი"

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: 405650549

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

,,პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს "თენექსში" ვიზიტის შესახებ "სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ 2026 წლის 16 ივნისს გამოცემული N 719742 ბრძანების, 9 ივლისის ბრძანების N901675 ცვლილების თანახმად, ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან, აგრეთვე, „ე" ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის „ე.ა" და „ე.ბ" კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით განხორციელდა ვიზიტი 2026 წლის 20 და 21 ივლისს , შპს თენექსში (მის.: ქ. ბათუმი, თამარ მეფის გამზირი №38; ქ. ბათუმი, მეგობრობის ქუჩა №2).

ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) 2026 წლის პირველ ივნისს შპს თენექსის მიერ წარმოდგენილი განაცხადები, კორესპონდენციებით წარმოდგენილი თვითშეფასება და თანდართული მტკიცებულებებით, „სასტუმროს მომსახურება" და ''კულინარია" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ (ცენტრში რეგისტრაციის №648464). ზემოაღნიშნულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ''კულინარია" განხორციელების მიზნით, დაწესებულება იმატებს ადგილს/ფართს ქალაქ ბათუმის ლოკაციაზე (ქ. ბათუმი, მეგობრობის ქუჩა N2), რომელიც დაწესებულების მიერ აქამდე არ იყო გამოყენებული.

ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი თვითშეფასებისა და მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე შეაჯერა თავისი პოზიციები და შეიმუშავა დღის წესრიგი (დანართი №1), რომლის მიხედვითაც ვიზიტისას განახორციელა თავისი საქმიანობა. ავტორიზაციის სტანდარტების/კომპონენტების/შესაბამისი ინდიკატორების სრულყოფილად შეფასების მიზნით გამოთხოვილი და შესწავლილი იქნა დამატებითი მტკიცებულებები; დათვალიერებული იქნა დაწესებულების მატერიალურ - ტექნიკური ბაზა, როგორც ავტორიზაციის მე-5 სტანდარტის შეფასების, ასევე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების: „სასტუმროს მომსახურება" და ''კულინარია" მატერიალური რესურსის შეფასების მიზნით. შეგვიძლია თამამად ითქვას რომ, პროგრამა ,, კულინარიის" ფარგლებში წარმოდგენილი იმიტირებული c გარემო იყო შთამბეჭდავი. ყველანაირი პირობა იყო შექმნილი, თანაც უმაღლეს დონეზე, რათა სტუდენტმა მიიღოს მაღალი ხარისხის პრაქტიკული გამოცდილება აღნიშნულ პროგრამის ფარგლებში. აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს პროგრამის ,,სასტუმროს მომსახურება" ფარგლებში, პრაქტიკის ობიექტების მზაობა, ჩართულობა და რაოდენობა. ისინი სრულიად და თავისუფლად ფარავენ მოთხოვნილი სტუდენტების ქვოტას.

ჩატარდა არაერთი ინტერვიუ დაწესებულების დამფუძნებლებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან. ინტერვიუთა ნაწილი განხორციელდა დისტანციური საკომუნიკაციო პლატფორმების გამოყენებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ასევე აღსანიშნავია პრეზენტაციები, დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს წარმოუდგინეს დისტანციურ სწავლებისა და ელექტრონულ სისტემების შესახებ.

ვიზიტის ყოველი დღის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა გასცა უკუკავშირი ავტორიზაციის სტანდარტების შეფასების შედეგებთან მიმართებაში. ადმინისტრაციული წარმოების პროცესი იყო თანამშრომლობითი.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

საუკეთესო გამოცდილება არ გამოვლენილა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	☐ არ შეესაბამება	☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ გამოვლენილა

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

რეკომენდაცია არ გამოვლენილა

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

რეკომენდაცია არ გამოვლენილა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულება იზიარებს დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს .

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	კულინარია
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კულინარიაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1013
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ბათუმი, თამარ მეფის გამზირი N 38 ქ. ბათუმი, მეგობრობის ქუჩა N2
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	–
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	300
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	–
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	–
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	–

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

შპს „თენექსის" მისიაა თანამედროვე, შრომის ბაზრის მოთხოვნებზე მორგებული, შედეგზე ორიენტირებული პროფესიული განათლების უზრუნველყოფა, სადაც სწავლების პროცესში ციფრული რესურსები გამოყენებულია როგორც ეფექტიანი საგანმანათლებლო ინსტრუმენტი. კულინარიის პროგრამის 6 მოდული (2 ზოგადი და 4 დარგობრივი) ხორციელდება სრულად დისტანციური მიდგომით, ხოლო 4 მოდული (1 ზოგადი და სამი დარგობრივი) ხორციელდება შერეული სწავლის ფორმატით. 10X-ის ციფრული პლატფორმის გამოყენებით, ხოლო პროფესიული უნარების განვითარება მიმდინარეობს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პრაქტიკულ გარემოში - სპეციალურად მოწყობილ სამზარეულოს სივრცეებში, რომლებიც პასუხობს ინდუსტრიულ სტანდარტებს. აღნიშნული მოდელი უზრუნველყოფს ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების თანმიმდევრულ განვითარებას და აძლიერებს სწავლების შედეგებზე ორიენტაციას.

შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის მიხედვით, კულინარიის პროგრამის დამატება პირდაპირ შეესაბამება მიზანი 1-ს - „საქართველოს რეგიონ(ებ)ში თანამედროვე სწავლება-სწავლის სივრცის შეთავაზება-განვითარება, როგორც გრძელვადიანი, ასევე მოკლევადიანი პროფესიული პროგრამებით" და კონკრეტულად ამოცანა 1.1-ს - „შრომის ბაზარზე მოთხოვნადი გრძელვადიანი/მოკლევადიანი პროგრამის/კურსის დანერგვა-განვითარება" (პერიოდი: 2025წ.-2032წ.), რომლის ინდიკატორია შრომის ბაზრის კვლევის შედეგად იდენტიფიცირებული და შემუშავებული პროგრამის/კურსის განხორციელება. კულინარიის პროგრამა სწორედ ამ ამოცანის პრაქტიკულ რეალიზაციას წარმოადგენს - იგი შემუშავებულია ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევების (აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატა, სამინისტროს კვლევა, შპს „თენექსის" საკუთარი კვლევა) საფუძველზე გამოვლენილი მოთხოვნის საპასუხოდ. ამასთან, პროგრამა უკავშირდება მიზანი 6-ს - „ორგანიზაციული განვითარება", კერძოდ საერთო სტრატეგიულ მიდგომას, რომლის მიხედვითაც კოლეჯის მიზნები მოიცავს არა მხოლოდ ორგანიზაციის ძირითადი საქმიანობის წარმართვა-განვითარებას და ბაზარზე პოზიციის დაკავება-შენარჩუნებას, არამედ საზოგადოების ცხოვრებაში წვლილის შეტანას. ეს თანხვედრაშია SWOT ანალიზში დაფიქსირებულ „შესაძლებლობებთან" - „სხვადასხვა ტიპის პროგრამების შემუშავება" და „არსებული პროგრამების განვითარება" - რომელიც კომპონენტში „პროგრამა და ადამიანური რესურსი" პირდაპირ არის მითითებული, ისევე როგორც სუსტ მხარეებში დაფიქსირებულ „პროგრამების მცირე რაოდენობის" გამოწვევასთან, რომლის დაძლევასაც ემსახურება ახალი პროგრამის დამატება.

პროგრამის დამატების გადაწყვეტილება მიღებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა-შემუშავება, დამტკიცების, ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესის" (დანართი N1) შესაბამისად: კოლეჯი პერიოდულად ატარებს შრომის ბაზრის კვლევას ან ახორციელებს კომპეტენტური ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევების ანალიზს, რომლის საფუძველზეც იღებს პროგრამის შემუშავება-დანერგვის გადაწყვეტილებას. ამ მიზნით დირექტორის ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფდა როგორც კვლევის ჩატარებას, ისე პროგრამის შემუშავებას. სამუშაო ჯგუფმა პირველ ეტაპზე განახორციელა კვლევითი აქტივობები, რომლის შედეგადაც მომზადდა კვლევის ანგარიში - პროგრამის შემუშავების დასაბუთების საფუძველი - და წარედგინა დირექტორს. დირექტორის გადაწყვეტილებით სამუშაო ჯგუფმა გააგრძელა მუშაობა მეორე ეტაპზე და განახორციელა პროგრამის შემუშავების აქტივობები.

პროგრამის შემუშავების პროცესში სამუშაო ჯგუფი დაეყრდნო მეთოდოლოგიით განსაზღვრულ პრინციპებს, მათ შორის: პროგრამის შესაბამისობას კოლეჯის მისიასთან და სტრატეგიულ მიზნებთან; კოლეჯის კონკურენტული უპირატესობების განსაზღვრას საგანმანათლებლო სივრცეში; შრომის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბაზარზე არსებული ან პროგნოზირებული მოთხოვნის ანალიზს შესაბამის პროფესიებსა და სამუშაო პოზიციებზე, რაც დასტურდება პირველადი ან/და მეორადი წყაროებით; და პროგრამის შესაბამისობას დაწესებულების ძირითად პროფილურ მიმართულებასთან და პროგრამათა სპექტრის გაფართოების მიზანთან.

აღნიშნული პროცესის შედეგად შემუშავებული მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილი ცხადყოფს, რომ კულინარიის პროგრამის დამატების გადაწყვეტილება ეფუძნება მრავალმხრივ მტკიცებულებებს: აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატის 2026 წლის ბიზნესის საჭიროებების კვლევას (გამოკითხული კომპანიების 63% ასახელებს კვალიფიციური კადრების დეფიციტს მთავარ გამოწვევად, ხოლო HoReCa სექტორი გამოყოფს კვალიფიციური მზარეულებისა და კონდიტერების ნაკლებობას); საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეროვნულ დონეზე ჩატარებულ შრომის ბაზრის კვლევას (2025-2026) და საქსტატის მონაცემებს, რომლის მიხედვითაც განთავსებისა და საკვების მიწოდების სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 2024 წელს 11%-ით გაიზარდა; საერთაშორისო შრომის ბაზრის მონაცემებს (CEDEFOP-ის პროგნოზები, „replacement demand"), რომლებიც ადასტურებენ კვალიფიციური კულინარიული პერსონალის მოთხოვნას ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა გერმანია, საბერძნეთი, იტალია და სხვ.; ბათუმში მოქმედი სარესტორნო ინდუსტრიის წარმომადგენლებთან გაფორმებულ თანამშრომლობის მემორანდუმებსა და დამსაქმებელთა წერილებს, რომლებშიც გამოკვეთილია მოთხოვნადი პოზიციები (მზარეული, საკონდიტრო/საცხობი ნაწარმის სპეციალისტი, სამზარეულოს დამხმარე პერსონალი); შპს „თენექსის" 2026 წლის დასაქმების პლატფორმების ანალიზს (130 ვაკანსია Jobs.ge, HR.ge და LinkedIn-ზე), რომელმაც გამოავლინა მუდმივად მაღალი მოთხოვნა კვალიფიციურ მზარეულებსა და კონდიტერებზე; და ადგილობრივი შრომის ბაზრის კვლევას, რომელმაც სისტემურ ფაქტორებად დაასახელა კადრების მაღალი მიმოქცევა, სეზონური დატვირთვა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის მუდმივი მოთხოვნა.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.1.1.1 შესაბამისია

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა არის სრული ზოგადი განათლება, რაც შეესაბამება პროგრამის მეოთხე (NQF) დონეს. პროგრამა არ საჭიროებს წინარე კულინარიულ გამოცდილებას, სწავლება იწყება საბაზისო მოდულებით (მაგ. ჰიგიენა და სანიტარული ნორმები, საკვები პროდუქტების ტექნოლოგია) და თანდათან გადადის კომპლექსურ პრაქტიკულ კომპეტენციებზე. მოდულების დიდი ნაწილი ითვალისწინებს სწავლებას სამუშაო გარემოში, რაც პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვადაში (90 კრედიტი, არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის – 120 კრედიტი) უზრუნველყოფს სწავლის შედეგების რეალურ მიღწევას. აქედან გამომდინარე, დაშვების წინაპირობა ადეკვატურია პროგრამის შინაარსთან და უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული შედეგების მიღწევას. ხოლო დანართი N15-ის („პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი") თანახმად, პროგრამაზე დაშვების წინაპირობის დაცვა უზრუნველყოფილია ინსტიტუციური მექანიზმებით: აპლიკანტთა რეგისტრაცია და შერჩევა ხორციელდება მინისტრის მიერ დადგენილი წესითა და ვადებში, ხოლო ჩარიცხვა წარმოებს რეიტინგული სიის საფუძველზე, აპლიკანტის მიერ დაკმაყოფილებული დაშვების წინაპირობების გათვალისწინებით. დაწესებულების ბრძანებით განისაზღვრება პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესაბამისად ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი და ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძვლები, რაც უზრუნველყოფს მხოლოდ შესაბამისი განათლების დონის მქონე პირთა დაშვებას პროგრამაზე.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.1.1.2 შესაბამისია

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

„კულინარიის“ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა (300 სტუდენტი) განსაზღვრულია კოლეჯის „პერსონალის, პროფესიული სტუდენტის, მსმენელის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ შესაბამისად, კერძოდ – მე-5, მე-6, მე-7 და მე-8 მუხლების მოთხოვნების დაცვით. ოდენობა დასაბუთებულია სპეციალურად შემუშავებული „ზღვრული ოდენობის განსაზღვრის დოკუმენტით“, რომელშიც გაანალიზებულია A, B და C სასწავლო გარემოების გამტარუნარიანობა (მათ შორის, პრაქტიკული სწავლების C გარემო – 6 სამზარეულო ოთახი, თითოეული 25 ადგილით). A/B გარემოსთვის კონტინგენტის განსაზღვრისას სამუშაო ჯგუფმა გაითვალისწინა არა მხოლოდ სივრცის ფიზიკური ტევადობა, არამედ სასწავლო პროცესის ინტენსივობა და ცვლების განაწილების ეფექტიანობა. კერძოდ, შეფასდა, თუ რამდენად შესაძლებელია ერთი და იმავე სასწავლო სივრცის თანმიმდევრული გამოყენება სხვადასხვა ჯგუფის მიერ დღის განმავლობაში ისე, რომ არ დაირღვეს სასწავლო პროცესის ხარისხი და თითოეულ სტუდენტს ჰქონდეს თანაბარი წვდომა საჭირო ინვენტარსა და სასწავლო რესურსებზე. სწორედ ამ პრინციპზე დაყრდნობით შემუშავდა შეჭრილი ცხრილებისა და ორცვლიანი მუშაობის მოდელი, რომელმაც შესაძლებელი გახადა არსებული სივრცის მაქსიმალურად რაციონალური გამოყენება 300 სტუდენტის ფარგლებში. C გარემოს გამტარუნარიანობის განსაზღვრისას სამუშაო ჯგუფმა პრიორიტეტულად გაითვალისწინა არა მხოლოდ ფიზიკური ტევადობა, არამედ პრაქტიკული სწავლების უსაფრთხოებისა და ხარისხის სტანდარტები - კერძოდ, რამდენი სტუდენტის ერთდროული ყოფნაა სამზარეულო სივრცეში შესაძლებელი ისე, რომ დაცული იყოს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები (HACCP), ინდივიდუალური ზედამხედველობის შესაძლებლობა და აღჭურვილობაზე უსაფრთხო წვდომა. ამ ფაქტორების გათვალისწინებით შემუშავდა ჯგუფების ეტაპობრივი და როტაციული განაწილების მოდელი, რომელიც უზრუნველყოფს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პრაქტიკული უნარების თანაბარ და ხარისხიან გამომუშავებას ყველა სტუდენტისთვის, ერთდროული გადატვირთვის რისკის გარეშე. დისტანციურის სწავლის უზრუნველსაყოფად გამოყენებულია ონლაინ პლატფორმები, რომელიც არამხოლოდ ტექნიკური მახასიათებლებით, არამედ იმ პრინციპით არის შერჩეული, რომ პლატფორმამ უზრუნველყოს განათლების ხარისხის სტანდარტების შენარჩუნება ონლაინ ფორმატშიც მათ შორის, სტუდენტთა ჩართულობის მონიტორინგი, მასწავლებელთან უწყვეტი კომუნიკაცია და სასწავლო მასალებზე თანაბარი წვდომა. დისტანციური სწავლების კომპონენტის ინტეგრირება თეორიულ ბლოკებში განხორციელდა შერჩევითად, მხოლოდ იმ მოდულებისთვის, სადაც ეს არ აისახება პრაქტიკული უნარების ხარისხზე, რითაც მიღწეულია ბალანსი ფიზიკური რესურსის განტვირთვასა და სწავლის ხარისხის შენარჩუნებას შორის. გარდა ამისა, 2026 წლიდან დისტანციური სწავლების ტექნიკურ ინსტრუმენტარიუმს დაემატება სპეციალიზებული სასწავლო მართვის სისტემა (LMS), რომელიც უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების, დასწრებისა და ჩართულობის დეტალურ და რეალურ დროში მონიტორინგს. აღნიშნული პლატფორმა Discord-თან ერთად ქმნის დისტანციური სწავლების ორკომპონენტიან სისტემას, სადაც Discord უზრუნველყოფს არაფორმალურ კომუნიკაციასა და საზოგადოებრივ ჩართულობას, ხოლო LMS – აკადემიური პროცესის ფორმალიზებულ მართვასა და კონტროლს.დისტანციური სწავლების პლატფორმის (Discord) ტექნიკური შესაძლებლობები და ადამიანური რესურსის საკმარისობა. ამგვარად, ზღვრული ოდენობა განისაზღვრა მეთოდოლოგიით დადგენილი საკმარისობის პრინციპისა და ყველა რელევანტური ფაქტორის ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.1.1.3 შესაბამისია

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კულინარია" უზრუნველყოფილია ადამიანური, მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსებით, რომლებიც შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან (პუნქტი 9.1–9.13) და მისი განხორციელების ფორმასთან (იმიტირებული გარემო, შპს „თენექსი").

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მატერიალური რესურსი: პროგრამის შემადგენელი ადაპტირებული მოდულებისა და მათი განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის ნუსხა დამტკიცებულია ცალკე დანართით (დანართი N24 პროგრამაში), რაც უზრუნველყოფს, რომ თითოეული მოდულის ფარგლებში დაგეგმილი პრაქტიკული უნარები (მაგ. ცომეულის, დესერტების, ქართული და საერთაშორისო კერძების მომზადება, ნახევარფაბრიკატების დამზადება) ტექნიკურად შესრულებადია შესაბამისი ინვენტარით, დანადგარებითა და სამზარეულოს სივრცით.

სასწავლო გარემო და ფორმა: პროგრამა ხორციელდება იმიტირებულ გარემოში (სამზარეულო/სასწავლო ბაზა ბათუმში), რაც პრაქტიკული მოდულების (ჯამურად 85 კრედიტი პროფესიულ მოდულებში) შედეგების რეალურ პირობებთან მიახლოებული დადასტურების საშუალებას იძლევა.

დისტანციური/საინფორმაციო რესურსი: თეორიული და ნაწილობრივ პრაქტიკული კომპონენტებისთვის გამოიყენება რამდენიმე ურთიერთშემავსებელი და ფუნქციურად დიფერენცირებული პლატფორმა: Google Classroom (მასალების ოფიციალური განთავსება, დავალებები, უკუკავშირი), Discord (რეალურ დროში კომუნიკაცია, არაფორმალური მხარდაჭერა და საზოგადოებრივი ჩართულობა) და 10x LMS – სპეციალურად პროფესიული განათლების მართვისთვის დანერგილი ერთიანი საინფორმაციო სისტემა. LMS-ის დანერგვით კოლეჯმა უზრუნველყო არა მხოლოდ სასწავლო მასალის ტრანსლირება, არამედ აკადემიური პროცესის სრული ციკლის ინსტიტუციური მართვა და კონტროლი: პროფესიულ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების, დასწრებისა და ჩართულობის რეალურ დროში მონიტორინგი; პროგრამებისა და მოდულების სტრუქტურირებული, კვირებზე გადანაწილებული მართვა; შეფასების ინსტრუმენტების სტანდარტიზებული თარგები და შედეგების გამჭვირვალე ხელმისაწვდომობა თითოეული სტუდენტისთვის; ონლაინ შეფასების უსაფრთხოებისა და აკადემიური კეთილსინდისიერების უზრუნველყოფის ავტომატური მექანიზმები (მათ შორის, არაავტორიზებული მოწყობილობებისა თუ ქცევის დეტექცია); ყველა აკადემიური მოქმედების ასახვა აუდიტის ჟურნალში როლებისა და პასუხისმგებლობების მკაფიო გამიჯვნით; მტკიცებულებათა ცენტრალიზებული არქივი ხარისხის კონტროლისა და გარე შეფასების პროცესებისთვის; აგრეთვე ავტომატური საკომუნიკაციო და შეხსენების სისტემა, ინტეგრირებული აკადემიურ კალენდართან. აღნიშნული ინსტრუმენტარიუმი უზრუნველყოფს დისტანციური მოდულების (მაგ. სტუმარმასპინძლობის შესავალი, საკვები პროდუქტების ტექნოლოგია, კულინარიის ხელოვნების ისტორია) სწავლის შედეგების მიღწევას არა ცალკეული პლატფორმის ტექნიკური ფუნქციონალის დონეზე, არამედ ინსტიტუციურად სტანდარტიზებული, თვალთვალადი და აუდიტირებადი პროცესის ფარგლებში, რაც კოლეჯს აძლევს საშუალებას რეალურ დროში აკონტროლოს პროგრამის ხარისხის ინდიკატორები და დროულად უპასუხოს რისკებს.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.1.1.4 შესაბამისია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

პროგრამა შეიცავს ერთ არჩევით ბლოკს **„პრაქტიკული პროექტი -კულინარია"** (5 კრედიტი, დანართი N20), რომელიც მთლიანად ხორციელდება სამუშაო გარემოში (✓ „სამუშაო გარემოში სწავლისთვის").

ლოგიკური კავშირი გამოიხატება შემდეგში: მოდული წარმოადგენს პროგრამის ბოლო, სინთეზურ საფეხურს, სადაც სტუდენტი აერთიანებს ყველა წინარე პროფესიულ მოდულში (ჰიგიენა, კალკულაცია და მარაგების მართვა, ქართული და საერთაშორისო სამზარეულო, საკონდიტრო ნაწარმი, კულინარული მინი ნაწარმი, სამზარეულოს ფუნქციონირება) მიღწეულ ცოდნა-უნარებს ერთიან პრაქტიკულ პროდუქტში/პროექტში, რაც პირდაპირ შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას - „საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კულინარიაში". პროექტული სწავლების ფორმატი (რეალურ/სამუშაო გარემოსთან მაქსიმალურად მიახლოებული) ამზადებს კურსდამთავრებულს კონკრეტულად იმ პოზიციებზე დასაქმებისთვის, რომლებიც პროგრამის სტანდარტშია მითითებული (ISCO 5120 „მზარეულები"; სასტუმრო, რესტორანი და საკვები მომსახურების ობიექტები, ISCED 1013), კერძოდ, დამოუკიდებლად მენიუს, კერძების დაგეგმვის, მომზადებისა და პრეზენტაციის უნარის დემონსტრირებას რეალურ ან სამუშაოსთან მიახლოებულ პირობებში.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.1.1.5 შესაბამისია

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კულინარია" დამტკიცებულია შპს „თენექსი"-ს დირექტორის, 2026 წლის 25 მაისის N01-03/22 ბრძანებით, რომელიც გამოცემულია კოლეჯის საქმიანობის მარეგულირებელი დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „გ" და „ტ" ქვეპუნქტების საფუძველზე. აღნიშნული უფლებამოსილება შესაბამისობაშია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა-შემუშავება, დამტკიცების, ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესის" მე-2 მუხლის მე-2 პუნქტთან, რომლის თანახმადაც პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება მინიჭებული აქვს დირექტორს.

ბრძანება გამოცემულია პროგრამის შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დასკვნისა და ხარისხის მენეჯერის ანგარიშის საფუძველზე, რაც ადასტურებს, რომ დამტკიცებას წინ უძღოდა კოლეჯის შიდა პროცედურით გათვალისწინებული ეტაპები. ბრძანებით დამტკიცდა თავად პროგრამა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(დანართი N1), ადაპტირებული მოდულები და მატერიალური რესურსის ნუსხა (დანართი N2), ასევე სასწავლო გეგმა (დანართი N3), რომლებიც ბრძანების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.1.1.6 შესაბამისია

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

დანართი N1-ში წარმოდგენილი პროგრამის „კულინარია" (მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კულინარიაში/Secondary Vocational Qualification in Cooking) სახელწოდება პირდაპირ და ზუსტად შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის „კულინარია/ Cooking" (სარეგისტრაციო № 10.17.1) სახელწოდებას, მისანიჭებელ კვალიფიკაციასა და კლასიფიკაციას:

სახელწოდება ზუსტად ასახავს პროგრამის რეალურ პროფილს (კულინარიის სფეროში საშუალო პროფესიული განათლება) და შესაბამის სწავლის შედეგებს, არ გვხვდება რაიმე ტერმინოლოგიური შეუსაბამობა ან ისეთი ფორმულირება, რომელმაც შესაძლოა შეცდომაში შეიყვანოს პროფესიული სტუდენტი ან დამსაქმებელი პროგრამის შინაარსთან, დონესთან ან მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან დაკავშირებით.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.1.1.7 შესაბამისია

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროგრამა „კულინარია" შემუშავებულია და დამტკიცებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა-შემუშავება, დამტკიცების, ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესის" (დანართი N7) მოთხოვნების დაცვით. პროგრამის შემუშავების საფუძვლად პირდაპირ მითითებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი „კულინარია" (სარეგისტრაციო № 10.17.1) პროგრამის პ. 12.4-ის თანახმად, რაც შეესაბამება წესის მე-2 მუხლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მე-3 პუნქტს, რომლის თანახმადაც პროგრამის შემუშავების საფუძველია სტანდარტი. პროგრამა დამტკიცებულია დირექტორის 2026 წლის 25 მაისის N01-03/22 ბრძანებით, სამუშაო ჯგუფის დასკვნისა და ხარისხის მენეჯერის ანგარიშის საფუძველზე.

ამასთან, ის შესაბამისობაშია პროგრამის სტანდართან, სტანდარტი ითვალისწინებს 16 პროფესიულ მოდულს (76 კრედიტი), 3 ზოგად მოდულს (9 კრედიტი) და არჩევით ბლოკს, საიდანაც კვალიფიკაციის მისანიჭებლად სავალდებულოა ერთი მოდულის შერჩევა (სულ 90 კრედიტი). პროგრამა ზუსტად იმეორებს ამ სტრუქტურას: 16 პროფესიული მოდული (76 კრედიტი), 3 ზოგადი მოდული (9 კრედიტი) და არჩევითი ბლოკი „პრაქტიკული პროექტი – კულინარია" (5 კრედიტი), საიდანაც ჯამში მიიღწევა 90 კრედიტი.

პროგრამა ასახავს სტანდარტში მოცემულ ყველა სავალდებულო კომპონენტს: შეფასების სისტემა (განმავითარებელი/განმსაზღვრელი შეფასებ), კვალიფიკაციის მინიჭება, სსსმ/შშმ სტუდენტების ჩართულობის უზრუნველყოფა და რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარების ჩარჩო.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.1.1.8 შესაბამისია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დირექტორის 2026 წლის 25 მაისის N01-03/22 ბრძანება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კულინარია" დამტკიცების შესახებ.
- შპს „თენექსი"-ს საქმიანობის მარეგულირებელი დებულება (მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „გ" და „ტ" ქვეპუნქტები);
- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა-შემუშავება, დამტკიცების, ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი" (დანართი N7, დირექტორის 2024 წლის 20 სექტემბრის ბრძანება, ცვლილება 2026 წლის 30 იანვრის ბრძანებით);
- „პერსონალის, პროფესიული სტუდენტის, მსმენელის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია" (მე-5, მე-6, მე-7, მე-8 მუხლები) და პროგრამისთვის შემუშავებული „ზღვრული ოდენობის განსაზღვრის დოკუმენტი";
- მისია და შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- დანრთი N5 - პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- დანართი N2 - მატერიალური რესურსის ნუსხა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროგრამის კომპონენტების დისტანციურად/ელექტრონული ფორმით განხორციელების გზამკვლევი - Google Classroom და Discord პლატფორმების ტექნიკური აღწერა/დაშვების დეტალები;
- LMS პროგრამის აღწერა.
- დანართი N1 და დანართი N2 - დამტკიცებული პროგრამა და ადაპტირებული მოდულები (არჩევითი მოდულის „პრაქტიკული პროექტი - კულინარია");
- ინტერვიუს შედეგები პასუხისმგებელ პირებთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

კულინარიის პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შპს „თენექსის" მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება: თეორიული და ზოგადი მოდულები - 10X-ის ციფრული სასწავლო პლატფორმის გამოყენებით, დისტანციური ფორმატით, ზოგადი საკლასო მოდულები - შპს „თენექსის" სასწავლო კორპუსში (მის.: ქ. ბათუმი, თამარ მეფის გამზირი N38), რომელიც აღჭურვილია სტანდარტული სასწავლო გარემოთი. პრაქტიკული დარგობრივი მოდულები - შპს „თენექსის" მიერ სპეციალურად მოწყობილ 6 სიმულაციურ სამზარეულოში (ქ.ბათუმი, მეგობრობის ქუჩაN2), რომელიც აღჭურვილია პროგრამის სტანდარტით განსაზღვრული სრული მატერიალურ-ტექნიკური ბაზით და სრულ შესაბამისობაშია ინდუსტრიულ სტანდარტებთან შპს „თენექსის" მფლობელობაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა აკმაყოფილებს პროგრამაზე გათვალისწინებული კონტინგენტის მოთხოვნებს - ყოველწლიურად გათვალისწინებულია 300 პროფესიული სტუდენტის მიღება.c იმიტირებული გარემო, მდებარეობს დაწესებულების, მთავარის შეენობის გვერდით.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.1.1 შესაბამისია

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შპს - "თენექსის" პერსონალის მართვა-განვითარების დოკუმენტი არეგულირებს პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევის (სამსახურში მიღების) პროცესს, ხოლო "პერსონალის, პროფესიული სტუდენტის, მსმენელის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით" რეგულირდება სამუშაო დატვირთვის განსზღვრის პროცესი. პროფესიული მასწავლებლის დატვირთვა გულისხმობს: მოდულ(ებ)ის საკონტაქტო საათების განხორციელებას, კომპანიის პროგრამის სასწავლო გეგმისა და მეცადინეობის განრიგის შესაბამისად; სასწავლო პროცესის დაწყებამდე მომზადებას, მათ შორის - კალენდარული გეგმის შედგენა, სასწავლო პროცესის განხორციელების მიზნებისათვის პრეზენტაციების, სასწავლო მასალებისა და სხვ. მომზადებას, რაც ხელს შეუწყობს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებას ეფექტიანი სწავლებისათვის; პროფესიულ სტუდენტთა კონსულტირებას, მათი საჭიროების შესაბამისად, ინდივიდუალურად ან ჯგუფურად სასწავლო პროცესის განმავლობაში, შეფასების განხორციელებამდე, განმეორებითი შეფასების განხორციელებამდე და სხვ; შეფასების ინსტრუმენტების მომზადებას, განახლებასა და მათი ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას; სწავლების პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებებში მონაწილეობას, მათ შორის შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციაში, შეფასების სისტემის ვერიფიკაციასა და სხვა ღონისძიებებში ჩართულობას; სამუშაო ჯგუფებში, კომისიებში, დაწესებულების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში მონაწილეობას, რაც ხელს უწყობს სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების სრულფასოვან წარმართვას; საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვას; სხვა სამუშაოს შესრულებას, რაც არ მოითხოვს დასაქმებულის განსაკუთრებულ დროსა და ძალისხმევას და ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ხარისხიან წარმართვას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული მოდულისთვის შერჩეულია შესაბამისი რაოდენობის პროფესიული მასწავლებელი, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მდგრად განხორციელებას. მასწავლებელთა განაწილების დროს გათვალისწინებულია სასწავლო დატვირთვა, ჯგუფის ზომა და პრაქტიკული სწავლების სპეციფიკა, რაც გამორიცხავს გადატვირთვას და უზრუნველყოფს სწავლების მაღალ ხარისხს. პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად თითოეულ მოდულს ახორციელებს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე სამი ან მეტი პირი.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.1.2 შესაბამისია

3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

პროფესიული განათლების მასწავლებელს უნდა გააჩნდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი მოდულის პროფესიული სტუდენტისათვის სწავლის შედეგების გამომუშავების და სწავლის შედეგების შეფასების კომპეტენცია, რაც შესაძლებელია დადასტურდეს: მასწავლებლის განათლების დამადასტურებელი დოკუმენტებით (პროფესიული ან/და უმაღლესიგანათლების დიპლომი/სერტიფიკატი-შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის სწავლების მიზნებისათვის) ან/და სამუშაო გამოცდილებით (პრაქტიკული უნარები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კულინარია" განხორციელების მიზნით მოწვეულია პროფესიული განათლების მასწავლებლები - დარგის სპეციალისტები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რომლებსაც სფეროში პრაქტიკული მუშაობის და პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია გააჩნიათ, რაც დასტურდება პერსონალის პირადი საქმეებით. დაწესებულება ასევე უზრუნველყოფს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პროფესიული განვითარების მხარდაჭერას, მათ შორის პროფესიული და პედაგოგიური კომპეტენციების განვითარებისთვის შესაბამის აქტივობებში ჩართულობას.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.1.3 შესაბამისია

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

კულინარიის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული პროგრამის ხელმძღვანელი, რომლის კომპეტენციები და ფუნქციები უზრუნველყოფს პროგრამის ეფექტიან დაგეგმვას, განხორციელებას, მონიტორინგსა და განვითარებას. პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობს პროგრამის განხორციელების მონიტორინგის პროცესში, ხარისხის მენეჯერთან, პროგრამის მართვის კოორდინატორსა და პროფესიულ მასწავლებლებთან კომუნიკაციით უზრუნველყოფს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული მიმდინარე საკითხების მართვას და პროგრამის განხორციელების პროცესში გამოვლენილ გამოწვევებზე დროულ რეაგირებას. პროგრამის ხელმძღვანელი ჩართულია პროგრამის განხორციელების შეფასების, რეკომენდაციების შემუშავების, სასწავლო რესურსებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განსაზღვრისა და განახლების პროცესში, ასევე პროგრამის შემდგომი განვითარების ღონისძიებების დაგეგმვაში. ამასთან, მონაწილეობს პროგრამის თვითშეფასებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში, რაც ხელს უწყობს პროგრამის უწყვეტ გაუმჯობესებას და პროფესიული სტუდენტების ინტერესებზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა. პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია და კომპეტენცია სრულ შესაბამისობაშია შპს „თენექსის" მიერ პროგრამის ხელმძღვანელისთვის.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.1.4 შესაბამისია

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

პროგრამის მოდულებით განსაზღვრული სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით - Open Biblio-ს გამოყენებით. Google Classroom გამოიყენება სასწავლო მასალების, დავალებების, შეფასებისა და უკუკავშირის ორგანიზებული მართვისთვის, რაც უზრუნველყოფს რესურსების სისტემურ ხელმისაწვდომობას, ხოლო Discord გამოიყენება როგორც დამატებითი ინტერაქციული გარემო პროფესიულ სტუდენტებსა და პროფესიული განათლების მასწავლებლებს შორის კომუნიკაციის, მხარდაჭერისა და თანამშრომლობის ხელშესაწყობად. პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხელმძღვანელი, ხარისხის მენეჯერი და პროფესიული განათლების მასწავლებლები პერიოდულად აფასებენ სასწავლო რესურსების რელევანტურობასა და ეფექტიანობას, მათ შორის პროფესიული სტუდენტების უკუკავშირის გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს სასწავლო რესურსების განახლებასა და პროგრამის საჭიროებებთან შესაბამისობას.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.1.5 შესაბამისია

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

შპს "თენექსი" უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) პროფესიული სტუდენტებისთვის პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებზე თანაბარ ხელმისაწვდომობას და, საჭიროების შემთხვევაში, მათი ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად ადაპტირებას. დაწესებულებაში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმები და ინკლუზიური განათლების მხარდაჭერის მიდგომები უზრუნველყოფს სსსმ პროფესიული სტუდენტისთვის ინდივიდუალურად მორგებული სასწავლო პროცესის ორგანიზებას. საჭიროების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტისთვის მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომლის შესაბამისადაც ხორციელდება სწავლების, შეფასებისა და სასწავლო რესურსების ადაპტირება. სასწავლო რესურსების ადაპტაცია შესაძლოა მოიცავდეს სასწავლო მასალის მიწოდების ფორმატის ცვლილებას, ვიზუალური და ციფრული რესურსების გამოყენებას, დამატებითი განმარტებითი მასალების შეთავაზებას, სწავლების ტემპის ინდივიდუალურ მორგებას, ალტერნატიული შეფასების ფორმების გამოყენებასა და პროფესიული სტუდენტის საჭიროებებზე მორგებულ მხარდაჭერის მექანიზმებს. დაწესებულება, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ხელს უწყობს სსსმ პროფესიული სტუდენტების სასწავლო პროცესში სრულფასოვან ჩართულობასა და ინტეგრირებას, მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნას და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის მხარდაჭერას.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.1.6 შესაბამისია

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას აფინანსებს სახელ-მწიფო (ვაუჩერული დაფინანსება). ვაუ-ჩერუ-ლი დაფინანსება დაწესებულებას მიეცემა „სასწავლო პროცესის წარმართვისათვის აუ-ცილებელი ხარჯებისათვის, მათ შორის პროფესიული განათლების მა-ს-წავლებლის შრომის ასანაზღაურებლად“ (საქართვე-ლოს მთავრობის დადგენილება №244, 2013 წლის 19 სექტემბერი, „პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმა-ლური ოდენობის დამტკიცების თაობაზე“). აღნიშნული წესის გათვალისწინებით შედგენილ იქნა პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი. დაწესებულება პერიოდულად აფასებს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ ფინანსურ საჭიროებებს, რაც უზრუნველყოფს რესურსების ეფექტიან განაწილებასა და პროგრამის განვითარების უწყვეტ მხარდაჭერას.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.1.7 შესაბამისია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელ ი დოკუმენტაცია ქირავნობის ხელშეკრულება;
- დასაბუთება პროგრამის კომპონენტის სრულად დისტანციური ან ნაწილობრივ დისტანციური ფორმით განხორციელების შესაძლებლობის თაობაზე;
- შპს „თენექსში“ პროგრამის კომპონენტების დისტანციურად/ელექტრონული ფორმით განხორციელების გზამკვლევი;
- იჯარის ხელშეკრულება;
- “შპს- “თენექსი” პერსონალის მართვაგანვითარება”
- “პერსონალის, პროფესიული სტუდენტის, მსმენელის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისთვ ის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ;
- პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობა;
- პროგრამის ხელმძღვანელის დანიშნვის ბრძანება;
- “საბიბლიოთეკო საქმე”.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- "სასწავლო პროცესის მართვის წესი"
- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შპს „თენექსში" პროგრამის შეფასება და განვითარება ხორციელდება კომპანიის დირექტორის 2026 წლის 15 იანვრის ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების" შესაბამისად, რომელიც ეფუძნება (PDCA) ციკლს. შეფასების მექანიზმი მოიცავს როგორც გარე, ასევე შიდა შეფასებას. გარე შეფასების ფარგლებში კომპანია იყენებს: ავტორიზაციის მონიტორინგის შედეგად გამოვლენილ რეკომენდაციებს, საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზს, პრაქტიკის ობიექტების, პოტენციური დამსაქმებლებისა და პროფესიული ასოციაციების უკუკავშირს, ადგილობრივი ან საერთაშორისო მოწვეული ექსპერტების შენიშვნებსა და რეკომენდაციებს. ამასთან, ხარისხის მენეჯერი პერიოდულად, არანაკლებ ორ წელიწადში ერთხელ, ახორციელებს შრომის ბაზრის მონაცემების შეგროვება-ანალიზს, რაც საფუძვლად ედება არსებული პროგრამების გაუმჯობესებასა და ახალი პროგრამების განვითარებას. შიდა შეფასების ფარგლებში კომპანია ახორციელებს: სტუდენტთა კმაყოფილების კვლევებს, დამსაქმებელთა უკუკავშირის შეგროვებას, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლების შესწავლას, პროფესიული მასწავლებლების შეფასებას. ხარისხის მენეჯერი ვალდებულია ყოველი სასწავლო წლის ბოლოს დირექტორის წინაშე წარადგინოს წლიური ანგარიში, რომელიც ასახავს ძირითად მიგნებებს, ტენდენციებსა და გაუმჯობესების რეკომენდაციებს.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.3.1.1 შესაბამისია

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპანია ყოველწლიურად აფასებს პროგრამის განხორციელების ხარისხს „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით" განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. შეფასების პროცესი მოიცავს: სასწავლო პროცესის მონიტორინგს - ლექციებზე, პრაქტიკულ მეცადინეობებზე და შეფასების პროცესზე დასწრებით; შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციას, რომელიც ხორციელდება ხარისხის მენეჯერისა და დარგის სპეციალისტის ჩართულობით; ეფექტიანობის ინდიკატორების (KPI და OKR) მონიტორინგს. ხარისხის მენეჯერი ვალდებულია ყოველი სასწავლო წლის ბოლოს წარადგინოს წლიური ანგარიში, რომლის საფუძველზე კომპანია შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას. ამ გეგმის ფარგლებში საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება: პროგრამის განვითარება ან მოდიფიცირება; მატერიალურტექნიკური და სასწავლო რესურსების განახლება; შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებში ცვლილებების შეტანა; პედაგოგიური პერსონალის პროფესიული განვითარების აქტივობების დაგეგმვა. პროგრამაში ცვლილებების შეტანა რეგულირდება კომპანიის "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა-შემუშავება, დამტკიცების, ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესით". აღნიშნული წესის შესაბამისად, პროგრამაში ცვლილებების პროექტის დასაბუთება შესაძლოა ეფუძნებოდეს კომპანიაში ხარისხის მექანიზმების განხორციელების შედეგად გამოკვეთილ ხარვეზებს, ან/და შრომის ბაზრის განახლებულ მოთხოვნ(ებ)ს, ან/და დამსაქმებელთა გაფორმებულ ხელშეკრულებას/მემორანდუმს, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.3.1.2 შესაბამისია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- " პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვაშემუშავება, დამტკიცების, ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი".

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

შპს „თენექსის" დირექტორის 2026 წლის 25 მაისის ბრძანებით (N 01-03/22) დამტკიცდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კულინარია" და მისი შემადგენელი ნაწილია დამტკიცებული პროგრამის სასწავლო გეგმა (დანართი N3), რომელიც ბრძანების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. დამტკიცებული სასწავლო გეგმა ითვალისწინებს 16 პროფესიულ მოდულს, 3 ზოგად მოდულს და არჩევით ბლოკს. ჯამურად 90 კრედიტის დაგროვებით საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად. არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროგრამაზე სწავლის უფლება რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე შერჩევის გზით მოიპოვეს, სასწავლო გეგმა დამატებით ითვალისწინებს ქართული ენის მოდულებს („ქართული ენა A2" და „ქართული ენა B1", ჯამში 30 კრედიტი), რის შედეგადაც მათთვის კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭირო ხდება ჯამურად 120 კრედიტის დაგროვება.

სასწავლო გეგმაში თითოეული მოდულისთვის მითითებულია: ხორციელდება თუ არა იგი ნაწილობრივ ან სრულად სამუშაო გარემოში, და განსაზღვრულია დისტანციური სწავლების შესაძლებლობა (დისტანციური, შერეული ან ფიზიკურ გარემოში) - რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას როგორც თეორიული ცოდნის, ისე პრაქტიკული უნარების თანმიმდევრული და ურთიერთშესაბამისი განვითარებისთვის. სასწავლო გეგმა ასევე მოიცავს არჩევით ბლოკს - პრაქტიკული პროექტი, 5 კრედიტის მოცულობით, რომელიც სრულად სამუშაო გარემოში ხორციელდება.

„სასწავლო პროცესის მართვის წესის" თანახმად, სწავლება-სწავლის პროცესის დაგეგმვისათვის პროგრამის კოორდინატორი ხელმძღვანელობს შესაბამისი პროგრამის სასწავლო გეგმით/პროგრამით, რომელშიც გაწერილია პროგრამის სტრუქტურა, კომპონენტები და მათი თანმიმდევრობა, ასევე უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული განმახორციელებელი პირების იდენტიფიცირებას. მოდულების განხორციელების დაგეგმვისას დაცული უნდა იყოს პროგრამის კომპონენტებზე არსებული წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის/მსმენელის კვირეული დატვირთვა, ასევე დატვირთვა საწარმოო პრაქტიკის კომპონენტში ან/და პრაქტიკულ კომპონენტში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სწავლების შემდგომი ციკლის დაგეგმვის მიზნით ხორციელდება მოდულების იდენტიფიცირება, მათ შორის პროფესიული სტუდენტების მიერ აუთვისებელი/დარჩენილი მოდულების ანალიზი. პროგრამის კოორდინატორი პროგრამის ხელმძღვანელისა და არსებობის შემთხვევაში თანახელმძღვანელის ჩართულობით ავსებს პროგრამის განმახორციელებლის დატვირთვის ფორმას (დანართი N3, სასწავლო პროცესის მართვის წესისა).

დამატებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის განრიგი განისაზღვრება სასწავლო კალენდრის (დანართი N4) მიხედვით, სადაც მიეთითება პროგრამის განხორციელების ვადები, სააუდიტორიო მეცადინეობების, დასვენების პერიოდი, საწარმოო პრაქტიკის დაწყების/დასრულების და კვალიფიკაციის მინიჭების თარიღები. სასწავლო კალენდარი შემუშავდება თითოეული პროგრამის შესაბამისი ჯგუფისათვის და ინდივიდუალური სასწავლო გეგმით მოსარგებლე პროფესიული სტუდენტისათვის/მსმენელისთვის ან ჯგუფისთვის, ხოლო მისი პროექტი პროგრამის კოორდინატორის, პროგრამის ხელმძღვანელისა და პროგრამების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელის ვიზირებებით დასამტკიცებლად წარედგინება დირექტორს.

მეცადინეობები ტარდება საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმის საფუძველზე შედგენილი სასწავლო ცხრილების შესაბამისად, რომელსაც შეიმუშავებს პროგრამის კოორდინატორი პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პირებთან კოორდინირებით, ხოლო ცხრილი სწავლის დაწყებისთანავე განთავსდება თვალსაჩინო ადგილზე კოლეჯის შენობასა და პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიერ გამოსაყენებელ პორტალზე/აპლიკაციაზე.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.1.1 შესაბამისია

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

„სასწავლო პროცესის მართვის წესის" თანახმად, კოლეჯი პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებებისა და ინტერესებისთვის იყენებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას (ისგ) - დოკუმენტს, რომელშიც პროფესიული სტუდენტის საჭიროებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე, კოლეჯი განსაზღვრავს ამავე პროფესიული სტუდენტის სწავლა-სწავლებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, საბოლოოდ კვალიფიკაციის ან სწავლის შედეგის მიღწევის/მიუღწევლობის შესახებ ცნობის გაცემის მიზნით. ისგ-ს შემუშავებისას მთავარი პრინციპი პროფესიული სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებაა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ისგ შემუშავდება წერილობით დადასტურებული საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, მათ შორის: პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენისას, პროფესიული სტუდენტის შიდა ან გარე მობილობისას, მიღებული ფორმალური ან არაფორმალური განათლების აღიარების შემდგომ სწავლის გაგრძელებისას, და სსსმ და შშმ პირთა სწავლებისას. ისგ ფორმირდება პროგრამის ხელმძღვანელის კოორდინირებით, პროგრამის კოორდინატორის ჩართულობით, პროფესიულ სტუდენტთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან თანამშრომლობის შედეგად.

მოქნილ რეაგირებას წარმოადგენს ასევე პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების მექანიზმი - შესაძლებელია პირადი განცხადების, სამხედრო სამსახურში ჩარიცხვის, აკადემიური შვებულების (ხანგრძლივი ავადმყოფობა, ორსულობა/ახალშობილის მოვლა, უცხო ქვეყანაში სწავლის გაგრძელება) ან სხვა ობიექტური გარემოების საფუძველზე, სტატუსის შეწყვეტის გარეშე, არაუმეტეს 5 წლის ვადით, რის შემდეგაც პროფესიული სტუდენტი სწავლას აგრძელებს იმ ეტაპიდან, სადაც შეუჩერდა სტატუსი, გავლილი კრედიტების/დადასტურებული სწავლის შედეგების შენარჩუნებით.

მობილობის მექანიზმი (შიდა და გარე) ასევე იძლევა პროფესიული სტუდენტისთვის სხვა პროგრამაზე გადასვლის საშუალებას სწავლის გაგრძელების მიზნით, მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობის დადგენით და საჭიროებისამებრ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებით.

დამატებით, კოლეჯი ითვალისწინებს სასწავლო პროცესში სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის, ინდივიდუალური საჭიროებების, სოციალური ან ქცევითი თავისებურებების მქონე პირების არსებობის შესაძლებლობას და მოქმედებს ინდივიდუალური მიდგომით. სასწავლო გარემოსთან ადაპტაციისა და მხარდაჭერის ღონისძიებებია: საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრები (პირისპირ და დისტანციურად), პროფესიულ სტუდენტებთან/მსმენელებთან სხვადასხვა სახის შეხვედრები სწავლების მთელი პერიოდის განმავლობაში, კონსულტაციები პროგრამის ხელმძღვანელთან/განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან, და ჯგუფური ან ინდივიდუალური აქტივობების დაგეგმვის მხარდაჭერა. პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს ან მათ ჯგუფს ასევე უფლება აქვს ისარგებლოს ინდივიდუალური კონსულტაციითა და სწავლაში მხარდაჭერის მომსახურებით. ექსპერტთა ჯგუფი, გაესაუბრა სხვა პროგრამის ფარგლებში არსებულ სტუდენტებს. მათ დაგვიდასტურეს ნათლად აღწერეს დაწესებულების სწრაფი რეაგირება ყველა გამოვლენილ საჭიროებაზე, ასევე ხარისხიან მიწოდებულ განათლებაზე. სტუდენტებმა კმაყოფილება გამოთქვეს დაწესებულების მხრიდან გადადგმულ ყველა ნაბიჯზე და ქმედებაზე.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.1.2 შესაბამისია

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კულინარიის პროგრამის კომპონენტების დისტანციურად/ელექტრონული ფორმით განხორციელების დასაბუთების თანახმად, პროგრამის მოდულების სპეციფიკა პასუხობს სწავლების დისტანციურ, ნაწილობრივ დისტანციურ (ჰიბრიდულ) და ფიზიკურ ფორმატებს:

სრულად დისტანციურ ფორმატში ხორციელდება თეორიული მოდულები - უცხოური ენა, სტუმარმასპინძლობის შესავალი, გარემოსდაცვითი საფუძვლები, საკვები პროდუქტების ტექნოლოგია და კულინარიის ხელოვნების ისტორია - Discord და Google Classroom პლატფორმებზე. ნაწილობრივ დისტანციურად (ჰიბრიდულად) ხორციელდება მეწარმეობა, ინფორმაციული წიგნიერება, ჰიგიენა და სანიტარული ნორმები, ეთიკა და ეტიკეტი მომსახურების სფეროში და მარკეტინგი და გაყიდვები, სადაც ონლაინ კომპონენტი ეთმობა თეორიულ ლექციებსა და დავალებების ციფრულ მენეჯმენტს, ხოლო ფიზიკური ან სინქრონული სესიები - პრაქტიკული ქეისების განხილვას. ფიზიკურ გარემოში ხორციელდება ყველა ის მოდული, რომელიც მოითხოვს უშუალო კულინარიულ ხელოვნებას - საკონდიტრო ნაწარმისა და დესერტების მომზადება, კერძების მომზადების ტექნოლოგია, ქართული და საერთაშორისო სამზარეულოს კერძები, კულინარული მინი ნაწარმი, სამზარეულოს ფუნქციონირება და პრაქტიკული პროექტი.

დაწესებულების მთავარ პლატფორმას წარმოადგენს Discord, სადაც ტარდება ონლაინ ლექციები და ორგანიზდება ჯგუფური სამუშაოები, ხოლო დავალებების გაცემა, შეფასება და სტუდენტების სამუშაოების შეგროვება ხორციელდება Google Classroom-ის გამოყენებით. სასწავლო სივრცეში ასევე იმუშავებს Python-ზე დაფუძნებული მონიტორინგის ბოტი „Big Brother", რომელიც უწყვეტ რეჟიმში აკვირდება დასწრებას, აქტივობას, ლექციაზე გატარებულ დროსა და დავალებების შესრულებას, ხოლო შეგროვებული მონაცემები ინტეგრირებულია მონაცემთა ბაზასთან (MongoDB) და გამოიყენება ხარისხის მართვის პროცესში.

დისტანციური და შერეული სწავლების პირობებში გამოიყენება წინასწარ ადაპტირებული სასწავლო რესურსები - მაღალი ხარისხის ონლაინ ლექციები და პრაქტიკული დემონსტრირების ვიდეოჩანაწერები, გაციფრულებული სახელმძღვანელოები, დარგობრივი სტანდარტები (სურსათის უვნებლობისა და ჰიგიენის ნორმები), მოკლე ვიდეო-ინსტრუქციები და ციფრული ტექნოლოგიური რუკები (რეცეპტის შაბლონები, კალკულაციის ფორმულები).

„სასწავლო პროცესის მართვის წესის" თანახმად, სწავლება-სწავლის დაგეგმვა-მართვის ერთ-ერთი ეტაპია სწავლება-სწავლისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების მომზადება, ხოლო „დისტანციურად/ელექტრონული ფორმით განხორციელების გზამკვლევის" თანახმად, სასწავლო პლატფორმა შეირჩევა მისი ტექნიკური, ფუნქციური და უსაფრთხოების შესაძლებლობების საფუძველზე, მათ შორის პლატფორმის ერთდროული დატვირთვის, სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუმენტების, სასწავლო რესურსებთან წვდომისა და კომუნიკაციისა და ჩართულობის მექანიზმების გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პსდ-ში ვიზიტის დროს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დასაბუთება და აღწერა (პრეზენტაცია) ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი იმისა, თუ როგორ შეუძლია დაწესებულებას საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ციფრული ტრანსფორმაციის ეპოქაში, თანმიმდევრულად გააუმჯობესოს კოლეჯის მართვის, სწავლების და შეფასების პროცესები და ამით გახდეს მაგალითი სხვა დაწესებულებებისთვისაც. ამ მიდგომის თვალსაჩინო გამოხატულებას წარმოადგენს დისტანციური სწავლების ტექნიკურ-ორგანიზაციული მოდელის განვითარება, კერძოდ – სპეციალიზებული სასწავლო მართვის სისტემის (10x LMS) დანერგვა.

კოლეჯმა გადაწყვეტილება მიიღო დანერგოს სპეციალიზებული სასწავლო მართვის სისტემა (Learning Management System, 10x LMS). გადაწყვეტილება ეფუძნებოდა არსებული ინსტრუმენტების ფუნქციური შეზღუდვების ანალიზს: მიუხედავად იმისა, რომ Discord წარმატებით პასუხობდა რეალურ დროში კომუნიკაციისა და სასწავლო საზოგადოების ჩამოყალიბების საჭიროებას, ხოლო Google Classroom უზრუნველყოფდა დავალებების გაცემისა და შეგროვების ბაზისურ ფუნქციონალს, ორივე პლატფორმა შექმნილია ზოგადი დანიშნულებით და არ არის ადაპტირებული პროფესიული განათლების მართვის სპეციფიკურ მოთხოვნებზე. კერძოდ, აღნიშნული ინსტრუმენტები ვერ უზრუნველყოფდნენ: (ა) როლებზე დაფუძნებულ წვდომას და უფლებამოსილებათა დიფერენცირებას კოლეჯის ორგანიზაციული სტრუქტურის შესაბამისად (პროგრამის კოორდინატორი, ხარისხის მენეჯერი, კარიერული მხარდაჭერის კოორდინატორი და სხვ.); (ბ) ყველა აკადემიური მოქმედების სისტემურ, აუდიტირებად ჩანაწერს; (გ) აკადემიური მოსწრების, დასწრებისა და ჩართულობის ცენტრალიზებულ, პროგრამების მიხედვით სტრუქტურირებულ ანალიტიკას; (დ) სტანდარტიზებული შეფასების ინსტრუმენტების (რუბრიკები, კრიტერიუმები) ერთიან ბაზაზე დაფუძნებულ გამოყენებას; (ე) ონლაინ შეფასების პროცესის აკადემიური კეთილსინდისიერების ავტომატურ უზრუნველყოფას. Python-ზე დაფუძნებული მონიტორინგის ბოტი „Big Brother" და MongoDB-ზე დაფუძნებული მონაცემთა ბაზა წარმოადგენდა ამ ხარვეზის ნაწილობრივ, თუმცა ფრაგმენტულ გადაწყვეტას, რომელიც არ იყო ინტეგრირებული ერთიან, მომხმარებელზე ორიენტირებულ სისტემაში.

აღნიშნული ანალიზის საფუძველზე კოლეჯმა დანერგა 10x LMS, რომელიც წარმოადგენს ერთიან პლატფორმას სამი ურთიერთდაკავშირებული აპლიკაციის სახით: სტუდენტის, პროფესიული მასწავლებლის და ადმინისტრაციული კონსოლის და მოიცავს კოლეჯის საქმიანობის შემდეგ ძირითად მიმართულებებს:

- **სასწავლო პროცესის მართვა:** პროგრამებისა და მოდულების სტრუქტურირებული, კვირებზე გადანაწილებული ორგანიზება, დავალებების ჩაბარების მრავალფეროვანი მეთოდები (GitHub რეპოზიტორია, ფაილი, ფოტო, ტექსტი, გარე ბმული) მოდულის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- **შეფასება და აკადემიური კეთილსინდისიერება:** სტანდარტიზებული შეფასების თარგები, ონლაინ შეფასების უსაფრთხოების მექანიზმები (ბრაუზერის ჩანართის გადართვის, ფოკუსის დაკარგვისა და პარალელური მოწყობილობის გამოყენების დეტექცია), რაც მნიშვნელოვნად აღემატება Discord/Classroom-ის მონიტორინგის შესაძლებლობებს.
- **უსაფრთხოება, როლები და აუდიტი:** კოლეჯის საკადრო სტრუქტურის ასახვა სისტემურ დონეზე და ყველა მოქმედების ავტომატური ფიქსაცია აუდიტის ჟურნალში, რაც უზრუნველყოფს ინსტიტუციურ გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას.
- **ანალიტიკა და ადრეული გაფრთხილება:** სტუდენტთა პროგრესის, დასწრებისა და ჩართულობის რეალურ დროში მონიტორინგი და რისკის ქვეშ მყოფი სტუდენტების ავტომატური იდენტიფიცირება, რაც პროგრამის ხელმძღვანელობასა და აკადემიურ პერსონალს აძლევს დროული ჩარევის შესაძლებლობას.
- **ხარისხის უზრუნველყოფა:** ანონიმური კითხვარებისა და ყოველი სესიის შემდგომი ავტომატური შეფასების ფორმების სისტემური გავრცელება, რომლის გვერდის ავლაც შეუძლებელია, და შედეგებზე ხარისხის მართვის დეპარტამენტის უწყვეტი წვდომა.
- **მტკიცებულებათა მართვა:** სასწავლო და შეფასების პროცესში შექმნილი მასალების ავტომატური დაარქივება, რაც პროგრამის შიდა და გარე შეფასების პროცესებს მყისიერად შესამოწმებელს ხდის.
- **კარიერული მხარდაჭერა და რესურსების მართვა:** ვაკანსიების, გრანტების, გაცვლითი პროგრამების ცენტრალიზებული გავრცელება, ასევე კულინარიის პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროდუქტების მარაგის, ვადებისა და სერიული ნომრების მართვის ცალკე მოდული, რომელიც პირდაპირ უკავშირდება პრაქტიკული სწავლების ხარისხისა და უსაფრთხოების სტანდარტებს.

ამგვარად, LMS-ის დანერგვით კოლეჯმა უზრუნველყო არა მხოლოდ დისტანციური სწავლების ტექნიკური ინსტრუმენტების განახლება, არამედ ინსტიტუციური მართვის მოდელის ტრანსფორმაცია – Discord-ისა და Google Classroom-ის მიერ დაფარული არაფორმალური კომუნიკაციისა და ბაზისური დავალებების მართვის ფუნქციები შენარჩუნებულია უცვლელად, ხოლო აკადემიური პროცესის სრული ციკლი (დაგეგმვიდან შეფასებამდე, მონიტორინგიდან ხარისხის კონტროლამდე) გადავიდა ცენტრალიზებულ, აუდიტირებად და მონაცემებზე დაფუძნებულ სისტემაში.

სისტემის რეალურ ფუნქციონირებას ადასტურებს ის, რომ LMS-ის ანალიტიკური მოდული უზრუნველყოფს არა ზოგად, არამედ პროგრამის დონეზე ჩაშლილ მაჩვენებლებს, მათ შორის: აქტიურ სტუდენტთა და მასწავლებელთა რაოდენობას, საშუალო აკადემიურ ქულას, სესიების შეფასების საშუალო რეიტინგს და დასწრების პროცენტულ მაჩვენებელს პროგრამების მიხედვით (მაგ. „კულინარია", „Full-Stack Web Development", „UI/UX Design Fundamentals"). განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სისტემაში ჩაშენებული ადრეული გაფრთხილების ფუნქცია, რომელიც ავტომატურად გამოკვეთს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რისკის ქვეშ მყოფ სტუდენტებს („at-risk" სტატუსი), რაც პროგრამის ხელმძღვანელობასა და აკადემიურ პერსონალს აძლევს შესაძლებლობას დროულად მოახდინონ ინტერვენცია სტუდენტის მოსწავლეობის შეწყვეტის თავიდან აცილების მიზნით.

ანალოგიურად, სისტემის მტკიცებულებათა არქივის მოდული ორგანიზებულია არა მხოლოდ ქრონოლოგიურად, არამედ სტრუქტურულადაც: მოდულების, სტუდენტების და კოჰორტების მიხედვით და მოიცავს „აკლია" (missing items) სტატუსის ავტომატურ თვალთვალს, რაც უზრუნველყოფს, რომ პროგრამის დოკუმენტაციაში არსებული ხარვეზები (მაგ. დაუტვირთავი დასწრების ჟურნალი ან შეუფასებელი დავალება) დროულად გამოვლინდეს და არ დარჩეს შეუმჩნეველი შიდა თუ გარე შეფასების პროცესამდე. ინტეგრირებული კალენდრი, თავის მხრივ, განასხვავებს ღონისძიებათა ტიპებს (სასწავლო სესიები, ადმინისტრაციული შეხვედრები, საკლასო გარეშე აქტივობები), რითაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ სასწავლო, არამედ ინსტიტუციური მართვის პროცესების გამჭვირვალე დაგეგმვასაც. აღსანიშნავია აგრეთვე სისტემის მოქნილობა პროგრამის სპეციფიკური საჭიროებების მიხედვით: თითოეული პროგრამისთვის ცალკე კონფიგურირებადია დავალების ჩაბარების დასაშვები მეთოდები, სასწავლო სესიის ტიპები და დამატებითი ფუნქციები (მაგალითად, კულინარიის პროგრამისთვის სპეციალურად მორგებული ინტერფეისის ელემენტები), რაც მოწმობს, რომ სისტემა არ არის უნივერსალური/ზოგადი გადაწყვეტა, არამედ პროგრამის კონკრეტულ საგანმანათლებლო მოთხოვნებზეა ადაპტირებული. აღნიშნული მიდგომა სრულად შეესაბამება „სასწავლო პროცესის მართვის წესისა" და „დისტანციურად/ელექტრონული ფორმით განხორციელების გზამკვლევის" მოთხოვნებს პლატფორმის ტექნიკურ, ფუნქციურ და უსაფრთხოების შესაძლებლობებთან დაკავშირებით და აყალიბებს მდგრად საფუძველს კოლეჯის შემდგომი ზრდისა და პროგრამების მასშტაბირებისთვის. **აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.1.3 შესაბამისია**

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

კულინარიის პროგრამის დოკუმენტაციის თანახმად (პუნქტი 12.3), შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე, ხოლო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში.

„სასწავლო პროცესის მართვის წესის" თანახმად (მუხლი 23), შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ან/და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის/მსმენელებისთვის ხელმისაწვდომია კოლეჯის მიერ შეთავაზებული ნებისმიერი სახის სერვისი. მხარდაჭერის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ღონისძიებებია: სპეციალისტის მოწვევა, საჭიროებაზე მორგებული საგანმანათლებლო რესურსით უზრუნველყოფა, კოლეჯის ტერიტორიაზე გადაადგილების ხელშეწყობა, სასწავლო პროცესში ინდივიდუალური მხარდაჭერა და ადმინისტრაციული მხარდაჭერა. კოლეჯი საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს საგანმანათლებლო რესურსის ელექტრონული ვერსიის დამზადებას, საგანმანათლებლო რესურსის ამობეჭდვას პროფესიული სტუდენტის/მსმენელის საჭიროების შესაბამისი ზომის შრიფტით და სხვა მახასიათებლებით, და პროგრამის განმახორციელებლის ჩართულობით საგანმანათლებლო რესურსის შინაარსობრივ ცვლილებას და მის მორგებას პროფესიული სტუდენტის/მსმენელის საჭიროებაზე.

პროგრამაზე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ან/და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის/მსმენელის ჩარიცხვისას, კოლეჯის დირექტორის მიერ შექმნილი კომისია (რომელშიც სავალდებულოდ შედის შესაბამისი სპეციალისტი) შეისწავლის პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მდგომარეობას და საჭიროების შემთხვევაში შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელიც ეფუძნება პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიცირებულ ვერსიას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე).

პსდ-ში ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა ინდივიდუალური საჭიროებების საკითხი. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი რეალური პრაქტიკის დამადასტურებელი დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ კოლეჯს აქვს პრაქტიკა მხოლოდ სტატუსის აღდგენის შემთხვევებში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით, კერძოდ, პროგრამის „გრაფიკული დიზაინი“ პროფესიულ სტუდენტთან მიმართებით.

კონკრეტულად, სტუდენტს 2025 წლის 28 მაისის №42/23 ბრძანებით შეუჩერდა სტატუსი, ხოლო პირადი განცხადების საფუძველზე, დირექტორის 2025 წლის 31 ოქტომბრის №74/23 ბრძანებით სტატუსი აღუდგა 2025 წლის 20 ნოემბრიდან. ბრძანების საფუძველზე პროგრამის კოორდინატორმა და პროგრამის ხელმძღვანელმა შეიმუშავეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელშიც გათვალისწინებულია სტუდენტის მიერ ადრე, 2024 წლის საშემოდგომო მიღებით ჩარიცხვის შემდეგ, წარმატებით გავლილი ოთხი მოდული (რასტრული გრაფიკა 1, რასტრული გრაფიკა 2, დიზაინის პრინციპების გამოყენება და დარგობრივი ინგლისური ენა) და შესაბამისად, სასწავლო პროცესი დაიგეგმა დარჩენილი მოდულების მიხედვით (სულ 69 კრედიტი), 2025 წლის საშემოდგომო მიღების ჯგუფთან ერთად სწავლის გაგრძელებით. გეგმა სტუდენტს გაეგზავნა კორპორატიული ელფოსტიდან პირად ელფოსტაზე (2025 წლის 15 ოქტომბერი) და სტუდენტმა წერილობით (ელფოსტით, 15 ოქტომბერი) და ხელმოწერით დაადასტურა თანხმობა შემუშავებულ გეგმაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღსანიშნავია, რომ განხილული შემთხვევა შეეხება არა შეზღუდული შესაძლებლობის ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირს, არამედ სტატუსაღდგენილ სტუდენტს, რომლისთვისაც ინდივიდუალური გეგმა შემუშავდა ადრე ჩაბარებული მოდულების აღიარების (კრედიტების მინიჭების) მიზნით და არა შშმ/სსსმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით. შესაბამისად, წარმოდგენილი დოკუმენტაცია ცხადყოფს, რომ კოლეჯში არსებობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების ჩამოყალიბებული პრაქტიკა გამოკვეთილი/დასაბუთებული სტუდენტის საჭიროებების შესაბამისად. **აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.1.4 შესაბამისია**

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

პროფესიული პროგრამა ითვალისწინებს იმიტირებული სწავლების მიდგომას, შესაბამისად ის არ საჭიროებს კოლეჯს ყავდეს პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელები პარტიონი.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.1.5 შესაბამისია

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

„კულინარია“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. შრომის/სასწავლო უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა რეგულირდება იერარქიულად აგებული დოკუმენტების ერთობლიობით ზოგადი, კომპანიის მასშტაბით მოქმედი პოლიტიკიდან/წესებიდან დაწყებული, კონკრეტული პროგრამის სპეციფიკით დამთავრებული.

I. ზოგადი, კომპანიის მასშტაბით მოქმედი დოკუმენტები

დირექტორის 2024 წლის 16 მაისის №40/23 ბრძანებით დამტკიცდა „ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა“, რომელიც ვრცელდება კომპანიის ყველა პერსონალზე და ასახავს მენეჯმენტის ვალდებულებას საფრთხეების იდენტიფიცირების, რისკების შემცირებისა და უსაფრთხო სამუშაო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გარემოს უზრუნველყოფის შესახებ, მათ შორის აღჭურვილობის გამართულობის კონტროლს, ქიმიური ნივთიერებების უსაფრთხო გამოყენებას, პერიოდულ სწავლება-ინსტრუქტაჟებს და დოკუმენტის პერიოდულ გადახედვას.

დირექტორის 2024 წლის 20 მაისის №44/23 ბრძანებით დამტკიცდა დოკუმენტი „უსაფრთხოების ზომები და მექანიზმები“, რომელიც აღწერს კონკრეტულ მექანიზმებს: მატერიალურ-ტექნიკური ქონების დაცვას, სახანძრო უსაფრთხოებას (მათ შორის ცეცხლმაქრების, სიგნალიზაციის, საევაკუაციო გეგმის არსებობას და 370-ე ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისობას), სამედიცინო დახმარების მექანიზმებს (პირველადი დახმარების პუნქტი, სამედიცინო პერსონალის ფუნქციები), წესრიგის დაცვას (სათვალთვალო კამერები, საშვების სისტემა) და ცალკე მიუთითებს, რომ შექმნილია შესაბამისი გარემო სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის. დანართის სახით თანდართულია ხანძრის დროს მოქმედების გეგმა (პასუხისმგებელი პირების მიხედვით ეტაპობრივად გაწერილი) და პერსონალისთვის/სტუდენტებისთვის განკუთვნილი სახანძრო ინსტრუქტაჟის ზოგადი წესები.

II. პრაქტიკული კომპონენტის მქონე პროგრამებისთვის განკუთვნილი წესი

დირექტორის 2024 წლის 18 ივნისის №75/23 ბრძანებით დამტკიცდა დანართი №1: „დაწესებულებაში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი“. დოკუმენტი პირდაპირ აღნიშნავს, რომ შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული რისკის შეფასების წესის შესაბამისად და ეხება კონკრეტულად იმ პროგრამებს, რომელთა პრაქტიკული კომპონენტი, დოკუმენტის შედგენის მომენტისთვის, „დაკავშირებულია მხოლოდ კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებასთან“. შესაბამისად, ეს დოკუმენტი აწესრიგებს:

- სტუდენტზე მორგებული გარემოს (რეგულირებადი სკამები/მერხები, მონიტორის განთავსება თვალის დონეზე, ეკრანის სტაბილურობა, რეგულარული შესვენებები);
- ჰიგიენურ პირობებს (აუდიტორიის ყოველდღიური დასუფთავება, ნარჩენების ურნები, საპირფარეშოების აღჭურვა);
- განათებას (ბუნებრივი და ხელოვნური განათების კომბინაცია, მინიმუმ 500 ლუქსი);
- მიკროკლიმატს (ტემპერატურის შესაბამისობა ტექნიკურ რეგლამენტთან, მზის სხივებისგან დამცავი საშუალებები);
- ელექტროობას (კაბელების არხებში გაყვანა, რეგულარული შემოწმება კომპეტენტური პირის მიერ, ნიშანდება);
- სახანძრო უსაფრთხოებასა და ევაკუაციას (ცეცხლმაქრები, ევაკუაციის გეგმა, თავისუფალი გასასვლელები, ნიშანდება).

დოკუმენტს თან ერთვის დაწესებულების ფოტომასალა, რომელიც ვიზუალურად ადასტურებს ცეცხლმაქრის, სახანძრო შლანგის, საევაკუაციო გეგმის, ხანძრის სიგნალიზაციის ღილაკის, „მოწევა აკრძალულია“ ნიშნისა და საკლასო ოთახის რეალურ არსებობას შენობაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე დამატებითი, სპეციალიზებული ინსტრუქცია „კულინარია“

პროგრამების პორტფელის გაფართოებასთან ერთად (პრაქტიკული ლაბორატორია/სამზარეულო), დირექტორის 2026 წლის 27 მაისის ბრძანების დანართი №4-ით დამტკიცდა ცალკე, სპეციფიკური დოკუმენტი „კულინარია“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული ლაბორატორიის (სამზარეულოს) სპეციფიკური უსაფრთხოების ინსტრუქცია. ეს ცხადყოფს, რომ კოლეჯს რეალურად აქვს პრაქტიკა, საერთო წესის („მხოლოდ კომპიუტერული ტექნიკის“ პროგრამებზე გათვლილი) გვერდით, დამატებით შეიმუშაოს პროგრამაზე მორგებული სპეციფიკური ინსტრუქცია მაშინ, როცა პრაქტიკული კომპონენტის ხასიათი (მაგ. სამზარეულო) ამას მოითხოვს. კერძოდ, დოკუმენტი:

- ითვალისწინებს ხუთსაფეხურიან რისკის იდენტიფიცირება-შეფასების პროცესს (საფრთხის იდენტიფიცირება, პირთა წრის განსაზღვრა, საკონტროლო ღონისძიებების განსაზღვრა/დანერგვა, პასუხისმგებელი პირების დანიშვნა, დოკუმენტირება/მონიტორინგი) დანართი I-ის ფორმით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის №01-15/ნ ბრძანების შესაბამისად;
- ცალ-ცალკე აღწერს სამზარეულოსთვის დამახასიათებელ კონკრეტულ საფრთხეებს: ცხელი ზედაპირები/ორთქლი, ბასრი საგნები, მბრუნავი მექანიზმები, ფეხის მოცურება/დაცემა, ელექტრო საფრთხეები, ბუნებრივი აირი, ტვირთის ხელით დამუშავება, თითოეულისთვის კონკრეტული პრევენციული ქცევის წესებით;
- ითვალისწინებს ცალკე რისკის ჯგუფებს (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, ორსული/მეძუძური ქალები, არასრულწლოვნები) პირთა წრის განსაზღვრისას;
- ადგენს უსაფრთხოების ნიშნების ფერთა კოდირების სისტემას (დანართი II) და შრომის უსაფრთხოების სწავლების სავალდებულო შემთხვევებს (დაქირავებისას, სამუშაო ადგილის შეცვლისას, ახალი ტექნოლოგიების დანერგვისას, პერიოდულად)

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.1.6 შესაბამისია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- შპს „თენექსის" დირექტორის 2026 წლის 25 მაისის ბრძანება (N01-03/22) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კულინარია" დამტკიცების შესახებ;
- დანართი N3 - პროგრამის სასწავლო გეგმა;
- დანართი N3 სასწავლო პროცესის მართვის წესი;
- „კულინარიის" პროგრამის კომპონენტების დისტანციურად/ელექტრონული ფორმით განხორციელების დასაბუთება (Discord და Google Classroom პლატფორმების აღწერა, „Big Brother" ბოტი, MongoDB ბაზა);
- „დისტანციურად/ელექტრონული ფორმით განხორციელების გზამკვლევი";
- LMS პროგრამის აღწერა
- შპს „თენექსის“ დირექტორის 2024 წლის 16 მაისის ბრძანება №40/23 „ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის“ დოკუმენტის დამტკიცების შესახებ; დანართი №1 - ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა;
- შპს „თენექსის“ დირექტორის 2024 წლის 20 მაისის ბრძანება №44/23 „უსაფრთხოების ზომები და მექანიზმები“ დოკუმენტის დამტკიცების შესახებ; დანართი №1 - უსაფრთხოების ზომები და მექანიზმები (ხუთი ფურცელი); დანართი №2 - საოფისე ფართში განსათავსებელი დოკუმენტი (ერთი ფურცელი);
- შპს „თენექსის“ დირექტორის 2024 წლის 18 ივნისის ბრძანება №75/23 „დაწესებულებაში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესის“ დამტკიცების შესახებ; დანართი №1 - დაწესებულებაში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი.
- შპს „თენექსის“ დირექტორის 2026 წლის 27 მაისის ბრძანების დანართი №4 - „კულინარია“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული ლაბორატორიის (სამზარეულოს) სპეციფიკური უსაფრთხოების ინსტრუქცია, მათ შორის დანართი I (რისკის შეფასების ფორმა) და დანართი II (სამუშაო სივრცეში უსაფრთხოების ნიშნების სისტემა);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ინდ.გეგმის შექმნის პრაქტიკის ნიმუში - სტუდენტის სტატუსი აღდგენის დოკუმენტაცია
- ინტერვიუს შედეგები სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელ პირებთან და პროგრამის განმახორციელებლებთან.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

კულინარიის პროგრამაზე შეფასების სისტემა განხორციელდება კოლეჯის მიერ დამტკიცებული პროცედურების მიხედვით. შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს მოდულის განმახორციელებელი პირი, რომელიც საჭიროებისამებრ დარგის სხვა სპეციალისტსაც რთავს პროცესში. მზა პროექტს კოლეჯი წინასწარ წარუდგენს პროგრამის კოორდინატორს ვალიდაციისთვის და მოწმდება ინსტრუმენტის ფორმალური სისრულე (პროგრამის დასახელება, მოდულის კოდი, სწავლის შედეგი, შეფასების მიმართულება და ხანგრძლივობა, მტკიცებულების სახე, გარემო და რესურსი, ინსტრუქცია, დადასტურების პირობები, განმეორებითი შეფასების პირობები) და შინაარსობრივი მართებულობა იმ პრინციპით, რომ ვალიდატორი არასდროს არის იმავე ინსტრუმენტის ავტორი. ამგვარად კოლეჯი უზრუნველყოფს, რომ ინსტრუმენტი იყოს რელევანტური და ყველა კრიტერიუმის მიხედვით შემფასებელი (ვალიდურობა); შედეგები დასაბუთებული იყოს კონკრეტული მტკიცებულებით, რომელიც ინახება პორტფოლიოში (სანდოობა); დადასტურების პირობები, ვადები და შეფასების ინსტრუქცია წინასწარ ეცნობოთ ყველა სტუდენტს, მათ შორის საორიენტაციო შეხვედრაზე (გამჭვირვალობა); შეფასების დრო, გარემო, მასალები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და აღჭურვილობა თანაბარი იყოს ყველასთვის, დისკრიმინაციის გარეშე (სამართლიანობა); ხოლო ერთნაირი შედეგის მქონე სტუდენტები ერთნაირად შეფასდნენ, უწყისითა და მტკიცებულებებით დადასტურებული წესით (ობიექტურობა).

პროფესიული პროგრამის ფარლგებში დისტანციური სწავლების ფორმით განსაზღვრული მოდულების შეფასების პროცესი მიმდინარეობს ელექტრონულ პლატფორმების გამოყენებით. ჩატარებული შეფასებების პროცესში ზემოაღნიშნული პრინციპების დაცვას ტექნიკურად უზრუნველყოფს 10x LMS. კერძოდ, სისტემაში ჩაშენებული შეფასების ინსტრუმენტის თარგები (templates) მოდულის განმახორციელებელ პირს საშუალებას აძლევს, კონკრეტულ სწავლის შედეგსა და შეფასების მიმართულებაზე მიბმული, წინასწარ განსაზღვრული სტრუქტურითა და კრიტერიუმებით შექმნას შეფასების ინსტრუმენტი (მიზანი, ვადა, წონა, კრიტერიუმები, საჭირო ინგრედიენტები/რესურსები, ინსტრუქცია), რაც ინსტრუმენტის ფორმალურ სისრულესა და ვალიდურობას სისტემურ დონეზე უზრუნველყოფს. თითოეული სტუდენტისთვის დადასტურების პირობები, ვადები და ინსტრუქცია ავტომატურად და ერთდროულად ხელმისაწვდომი ხდება პორტალზე, რაც გამორიცხავს ინფორმაციის არათანაბარ ან დაგვიანებულ მიწოდებას და უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობას.

ობიექტურობისა და სამართლიანობის უზრუნველსაყოფად, დისტანციურად ჩატარებული ონლაინ შეფასების პროცესს ახლავს ავტომატური მონიტორინგის მექანიზმები, რომლებიც აფიქსირებენ ბრაუზერის ჩანართის გადართვას, ფოკუსის დაკარგვას ან სრულეკრანიანი რეჟიმიდან გამოსვლას, ასევე პარალელურად სხვა მოწყობილობის (მაგ. სმარტფონის) გამოყენების მცდელობას, რაზეც შემფასებელს დაუყოვნებლივ ეცნობება და შესაბამის სესიას ენიჭება „ეჭვმიტანილის" სტატუსი. აღნიშნული მექანიზმი ყველა სტუდენტისთვის მოქმედებს ერთნაირი წესითა და კრიტერიუმებით, დისკრიმინაციის გარეშე, რაც უზრუნველყოფს დისტანციური შეფასების გარემოს სამართლიან და თანაბარ პირობებს. ამასთან, ამ მოდულების ფარგლებში შეფასების პროცესში წარმოქმნილი ყველა მტკიცებულება (ნამუშევარი, პასუხი, ფაილი, ფოტო) ავტომატურად ინახება სისტემის ცენტრალიზებულ არქივში, რითაც უზრუნველყოფილია შედეგების სანდოობა კონკრეტული, გადამოწმებადი მტკიცებულებით. საბოლოოდ, ვინაიდან ერთი და იმავე თარგით (template) შეფასებული ყველა სტუდენტის შედეგი ერთსა და იმავე კრიტერიუმებთან, სტანდარტთან და მტკიცებულებასთან მიმართებით მოწმდება სისტემურ დონეზე, მინიმუმამდეა დაყვანილი შემფასებელთა შორის სუბიექტური განსხვავებების რისკი და უზრუნველყოფილია ერთნაირი შედეგის მქონე სტუდენტების ერთგვაროვანი, ობიექტური შეფასება.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.2.1 შესაბამისია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

კულინარიის პროგრამის შეფასების სისტემაზე გავრცელდება სრულყოფილი ვერიფიკაციის პროცედურა, რომელსაც კოლეჯის პრაქტიკის მიხედვით წარმართავს ხარისხის მენეჯერი ხარისხის კოორდინატორისა და დარგის სპეციალისტის ჩართულობით (ამასთან, ერთი და იმავე დარგის სპეციალისტი ვერ განახორციელებს როგორც ვალიდაციას, ისე იმავე ინსტრუმენტის ვერიფიკაციას). პროცესის დაწყებამდე ხარისხის მენეჯერი ადგენს წინასწარ გეგმასა და განრიგს, განსაზღვრავს გამოსაყენებელ ფორმებს, ჯგუფის შემადგენლობასა და პასუხისმგებელ პირებს, ასევე, შეფასების ობიექტების შერჩევის პრინციპსა და რისკების სისტემას. შერჩევა ძირითადად შემთხვევითობაზეა დაფუძნებული (ერთი ინსტრუმენტის ფარგლებში მოპოვებული მტკიცებულებების არანაკლებ 50%, ან სრულად, თუ საერთო რაოდენობა 12-ს არ აღემატება), თუმცა კოლეჯი არ გამორიცხავს მიზნობრივ, რისკზე დაფუძნებულ შერჩევასაც ანუ თუ არსებობს კონკრეტული საფუძველი (მაგ. ადრე გამოვლენილი ხარვეზი, ახალი განმახორციელებელი, სტუდენტთა საჩივარი კონკრეტულ მოდულზე), ვერიფიკაცია მიზანმიმართულად ტარდება სწორედ ამ რისკის შემცველ ობიექტზე. ჯგუფი ვალდებულია ოთხ-ექვს თვეში ერთხელ დირექტორს წერილობით წარუდგინოს დასკვნა, სადაც ცალ-ცალკე ფასდება ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალობა, სამართლიანობა და ობიექტურობა, გამოვლენილი პრობლემები და მათი აღმოფხვრისთვის საჭირო სამოქმედო გეგმა.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.2.2 შესაბამისია

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

კოლეჯს აქვს პრაქტიკა მტკიცებულებების აღრიცხვასა და შენახვასთან დაკავშირებით, კერძოდ: წარმოებული მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ თითოეული სწავლის შედეგის მიღწევას და შესაფასებელი პირის იდენტიფიცირებას უზრუნველყოფენ, შემფასებელი გადასცემს პროგრამის კოორდინატორს, რომელიც პასუხისმგებელია მათ პორტფოლიოში განთავსებასა და შენახვაზე, მატერიალური ან/და ელექტრონული ფორმით, ფორმირებიდან სამწლიანი ვადით. იმავე ვადით და იმავე პასუხისმგებელ პირთან ინახება შეფასების უწყისებიც, რომლებშიც ფიქსირდება შემფასებლის ვინაობა და უწყისის სარეგისტრაციო ნომერი; ხარისხის მენეჯერს უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოსთხოვოს შემფასებელს ამ მტკიცებულებებისა და გამოყენებული ინსტრუმენტების წარდგენა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნული პრაქტიკის ტექნიკურ და სისტემურ საფუძველს დისტანციურად განხორციელებადი მოდულების ფარგლებში ჩატარებული შეფასებებისთვის უზრუნველყოფს 10x LMS-ის მტკიცებულებათა ცენტრალიზებული არქივი, რომელშიც ამ მოდულების შეფასების პროცესში წარმოქმნილი ყველა მასალა (ნამუშევარი, ფაილი, ფოტო, ტექსტური პასუხი, გარე ბმული) ავტომატურად ან, საჭიროებისამებრ, ხელით მართვით გროვდება და ინახება სტრუქტურირებულად: პროგრამის, მოდულისა და კონკრეტული სტუდენტის მიხედვით რაც გამორიცხავს მტკიცებულების დაკარგვის ან არასრულყოფილად აღრიცხვის რისკს, დამახასიათებელს არასისტემური (მაგ. მხოლოდ მატერიალურ ან დაუსტრუქტურებელ ელექტრონულ) შენახვისთვის. სისტემაში ჩაშენებული „აკლია" (missing items) ფუნქცია ავტომატურად ადარებს რეალურად არსებულ მტკიცებულებებს პროგრამის მოთხოვნებთან და გამოკვეთს ხარვეზებს, რითაც პროგრამის კოორდინატორსა და ხარისხის მენეჯერს აძლევს შესაძლებლობას, ნებისმიერ დროს, დაუყოვნებლივ და სრულყოფილად გადაამოწმონ დისტანციურად ჩატარებული კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევის დამადასტურებელი მტკიცებულება და გამოყენებული ინსტრუმენტის, ინდივიდუალური მოთხოვნის გარეშეც კი. ამასთან, სისტემაში ინახება ამ მოდულების შეფასების უწყისებთან დაკავშირებული ყველა მოქმედების ჩანაწერიც (აუდიტის ჟურნალის სახით) შემფასებლის ვინაობის, თარიღისა და უწყისის სტატუსის ჩათვლით, რაც, ფიზიკურად/მატერიალურად შენახულ მტკიცებულებებთან ერთად, სამწლიან ვადაში მათი ხელმისაწვდომობისა და წარმომავლობის გამჭვირვალობას დამატებით აძლიერებს.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.2.3 შესაბამისია

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას მოდულის განმახორციელებელი იყენებს განმავითარებელ მიდგომას: გამოკითხვისა და პრაქტიკული დავალებების შედეგებზე დაყრდნობით სტუდენტს აძლევს კონკრეტულ რეკომენდაციებს და მიმართავს სწორი, სწავლის შედეგზე ორიენტირებული გზით; ეს ინფორმაცია შემფასებელს ევალება გამოიყენოს სტუდენტის შემდგომი განვითარებისთვის და, განზოგადებული სახით, განიხილოს მთელ ჯგუფთან. ინდივიდუალურ დონეზე, საჭიროების შემთხვევაში, ეს გადადის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაშიც (მაგ. განმეორებითი შეფასების ან დამატებითი მხარდაჭერის საჭიროებისას). ჯგუფურ/პროგრამულ დონეზე კი ვერიფიკაციისა და კმაყოფილების კვლევის შედეგები PDCA ციკლისა და წლიური ანგარიშგების ფარგლებში გამოიყენება პროგრამის, სასწავლო რესურსისა და შემფასებელთა კომპეტენციის გაუმჯობესებისთვის.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.2.4 შესაბამისია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დანართი N9 (პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი)
- დანართი N10 (ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები)
- LMS პროგრამის აღწერა
- ვალიდაციის და ვერიფიკაციის რეალური პრაქტიკა ავტორიზირებული პროგრამების ფარგლებში
- ინტერიუს შედეგები სტუდენტის შეფასების სისტემის განხორციელებაზე და ვერიფიკაციაზე პასუხისმგებელ პირებთან

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

პროგრამის სახელწოდება	სასტუმროს მომსახურება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე დონე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასტუმროს მომსახურებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1013
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ბათუმი, თამარ მეფის გამზირი N 38
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალური სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	300
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	–
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	–
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	74
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	–

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	104

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

9. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
10. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
11. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

12. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
13. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
14. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
15. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
16. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

10X-ის მისია ითვალისწინებს გლობალური მოთხოვნებისადმი რეაგირებას თანამედროვე, პრაქტიკაზე ორიენტირებული პროფესიული პროგრამებით, სადაც ციფრული ტექნოლოგიები ორგანულად არის ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროცესში. სასტუმრო მომსახურების პროგრამა შესაბამისობაშია მისიასთან: თეორიული მოდულები ტარდება დისტანციურად, 10X-ის სასწავლო პლატფორმის გამოყენებით, ხოლო პრაქტიკული კომპონენტი - რეალური სამუშაო გარემოს პირობებში. ეს ჰიბრიდული მოდელი უზრუნველყოფს მისიით განსაზღვრული ციფრული და პრაქტიკული განათლების ერთიანობას. ამასთან, პროგრამა თანხვედრაშია კოლეჯის ხედვასთან - გახდეს ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე აღიარებული პროფესიული განათლების ცენტრი - ვინაიდან ის ორიენტირებულია სწორედ შრომის ბაზრის რეალურ მოთხოვნებზე მორგებული განათლების მიწოდებაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის მიხედვით, სასტუმროს მომსახურების პროგრამის დამატება პირდაპირ უკავშირდება **მიზანი 1-ს - „საქართველოს რეგიონ(ებ)ში თანამედროვე სწავლება-სწავლის სივრცის შეთავაზება-განვითარება, როგორც გრძელვადიანი, ასევე მოკლევადიანი პროფესიული პროგრამებით"** და კონკრეტულად **ამოცანა 1.1-ს - „შრომის ბაზარზე მოთხოვნადი გრძელვადიანი/მოკლევადიანი პროგრამის/კურსის დანერგვა-განვითარება"** (პერიოდი: 2025წ.-2032წ.), რომლის ინდიკატორია შრომის ბაზრის კვლევის შედეგად იდენტიფიცირებული და შემუშავებული პროგრამის/კურსის განხორციელება და მისი პერიოდული შეფასება-განვითარება. პროგრამის დამატება ასევე ეხმიანება **მიზანი 5-ს - „საერთაშორისო პარტნიორობის განვითარება"**, კერძოდ ამოცანა 5.1-ს (თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება უცხო ქვეყნის ორგანიზაციასთან, რომლის შედეგადაც ძლიერდება კოლეჯის ადამიანური ან/და პროგრამული რესურსი), რადგან პროგრამა ეყრდნობა უკვე არსებულ თანამშრომლობას საერთაშორისო პარტნიორთან - ჩეხური სასტუმროების ქსელთან.

პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთება ეყრდნობა კონკრეტულ და გადამოწმებად მონაცემებს: აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატის კვლევის მიხედვით ტურიზმისა და მასპინძლობის სექტორში (HoReCa) განსაკუთრებით მწვავეა საშუალო რგოლის მენეჯერების - სასტუმროსა და რესტორნის ადმინისტრატორების - დეფიციტი; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შრომის ბაზრის კვლევისა და საქსტატის მონაცემებით სასტუმრო და რესტორნების სექტორი ეროვნულ დონეზე ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი დარგია (99,000 ახალი სამუშაო ადგილი მომდევნო 5 წელში), ხოლო დასაქმებულთა მხოლოდ 19%-ს აქვს პროფესიული განათლება; საერთაშორისო დონეზე (WTTC) დასტურდება როგორც სექტორის ზრდა, ისე კადრების მასშტაბური დეფიციტი; დამსაქმებელთა და სასტუმროების წერილობითი უკუკავშირით და დასაქმების პლატფორმების ანალიზით (130 ვაკანსია) დასტურდება კონკრეტული მოთხოვნადი პოზიციები (Front Office, Housekeeping, F&B Service და სხვ.), რომლებიც პირდაპირ შეესაბამება პროგრამის სასწავლო შედეგებს. ამასთან, დასაბუთება არა მხოლოდ კვლევით მონაცემებზეა დაფუძნებული, არამედ გამყარებულია რეალურ სექტორთან უკვე არსებული ხელშეკრულებით: 2026 წლის 28 აპრილს შპს „თენექსსა" და შპს „პირველი საინვესტიციო კომპანიას" (სასტუმრო „მირამარ მაგნეტიკ") შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის ფარგლებშიც პარტნიორი ვალდებულია ხელი შეუწყოს სტუდენტთა ჩართვას საწარმოო პროცესებში და პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას. ეს მრავალწყაროვანი მტკიცებულებები ერთმანეთს ავსებენ და ადასტურებენ, რომ მიზანშეწონილობის დასაბუთება რეალურ, პრაქტიკულ საჭიროებას ეფუძნება და არა მხოლოდ სტატისტიკურ ვარაუდს.

პროგრამის დამატების მზადების პროცესი განხორციელებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა-შემუშავება, დამტკიცების, ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესის" (დანართი N1) შესაბამისად: კოლეჯი პერიოდულად ატარებს შრომის ბაზრის კვლევას ან ახორციელებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპეტენტური ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევების ანალიზს, რომლის საფუძველზეც იღებს პროგრამის შემუშავება-დანერგვის გადაწყვეტილებას. დირექტორის ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც პირველ ეტაპზე განახორციელა კვლევითი აქტივობები და მოამზადა კვლევის ანგარიში - პროგრამის შემუშავების დასაბუთების საფუძველი - რომელიც წარედგინა დირექტორს. დირექტორის შემდგომი გადაწყვეტილებით სამუშაო ჯგუფმა გააგრძელა მუშაობა მეორე ეტაპზე და განახორციელა პროგრამის შემუშავების აქტივობები, მეთოდოლოგიით განსაზღვრული პრინციპების დაცვით, მათ შორის: პროგრამის შესაბამისობა კოლეჯის მისიასთან და სტრატეგიულ მიზნებთან; შრომის ბაზარზე არსებული ან პროგნოზირებული მოთხოვნის ანალიზი პირველად და მეორად წყაროებზე დაყრდნობით; და პროგრამის შესაბამისობა დაწესებულების ძირითად პროფილურ მიმართულებასთან და პროგრამათა სპექტრის გაფართოების მიზანთან.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.1.1.1 შესაბამისია

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, რაც შეესაბამება პროგრამის სტნდარტს და შეესაბამება მეოთხე (NQF) დონეს. ზოგადი განათლების ფარგლებში მიღებული ცოდნა და უნარები საკმარისია პროგრამის ათვისების დასაწყებად, ვინაიდან სწავლება იწყება საწყისი მოდულით „სტუმარმასპინძლობის შესავალი“ და ეტაპობრივად გადადის უფრო სპეციფიკურ მოდულებზე. პროგრამის ნაწილი ხორციელდება რეალურ სამუშაო გარემოში (პარტნიორი სასტუმროები), რაც უზრუნველყოფს პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბებას პროგრამის ვადაში (74 კრედიტი, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის – 104 კრედიტი). შესაბამისად, დადგენილი წინაპირობა და პროგრამის აგებულება უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას პროგრამის ვადაში.

დამატებით, დანართი N15-ის („პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი") თანახმად, დაშვების წინაპირობის დაცვა უზრუნველყოფილია ჩარიცხვის ეტაპობრივი პროცედურით - რეგისტრაცია, შერჩევა და რეიტინგული სიის შედგენა - რომელიც ხორციელდება მინისტრის მიერ დადგენილი წესითა და ვადებში. დაწესებულების დირექტორის ბრძანებით განისაზღვრება პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესაბამისად ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი და ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძვლები, რითაც დასტურდება, რომ პროგრამაზე დაიშვებიან მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტაციის მქონე აპლიკანტები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.1.1.2 შესაბამისია

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

„სასტუმროს მომსახურების“ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა (300 სტუდენტი) განსაზღვრულია კოლეჯის „პერსონალის, პროფესიული სტუდენტის, მსმენელის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ შესაბამისად, კერძოდ – მე-5, მე-6, მე-7 და მე-8 მუხლების მოთხოვნების დაცვით. ოდენობა დასაბუთებულია სპეციალურად შემუშავებული „ზღვრული ოდენობის განსაზღვრის დოკუმენტით“, რომელშიც გაანალიზებულია A, B და C სასწავლო გარემოების გამტარუნარიანობა.

A/B გარემოსთვის კონტინგენტის განსაზღვრისას სამუშაო ჯგუფმა გაითვალისწინა არა მხოლოდ სივრცის ფიზიკური ტევადობა, არამედ სასწავლო პროცესის ინტენსივობა და ცვლების განაწილების ეფექტიანობა. კერძოდ, შეფასდა, თუ რამდენად შესაძლებელია ერთი და იმავე სასწავლო სივრცის თანმიმდევრული გამოყენება სხვადასხვა ჯგუფის მიერ დღის განმავლობაში ისე, რომ არ დაირღვეს სასწავლო პროცესის ხარისხი და თითოეულ სტუდენტს ჰქონდეს თანაბარი წვდომა საჭირო ინვენტარსა და სასწავლო რესურსებზე. სწორედ ამ პრინციპზე დაყრდნობით შემუშავდა შეჭრილი ცხრილებისა და ორცვლიანი მუშაობის მოდელი, რომელმაც შესაძლებელი გახადა არსებული სივრცის მაქსიმალურად რაციონალური გამოყენება 300 სტუდენტის ფარგლებში.

C გარემოს, ანუ პრაქტიკული სწავლების გამტარუნარიანობის განსაზღვრისას, პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, სამუშაო ჯგუფმა პრიორიტეტულად გაითვალისწინა არა აბსტრაქტული ფიზიკური ტევადობა, არამედ პრაქტიკული სწავლების უსაფრთხოებისა და ხარისხის სტანდარტები რეალურ სამუშაო გარემოში – ოთხ პარტნიორ სასტუმროში (Ibis Style Batumi, The Grandeur Hotel, White Sails Residential Hotel, New Wave Hotel Batumi), რომლებთანაც გაფორმებულია თანამშრომლობის ხელშეკრულებები. კერძოდ, შეფასდა, რამდენი სტუდენტის ერთდროული ჩართულობაა შესაძლებელი თითოეულ პარტნიორ ობიექტზე (Front Office/Reception, Housekeeping, Food & Beverage Service მიმართულებებით) ისე, რომ დაცული იყოს მომსახურების ხარისხისა და უსაფრთხოების სტანდარტები, ინდივიდუალური ზედამხედველობის შესაძლებლობა (მენტორები/სუპერვაიზერები) და აღჭურვილობასა და სამუშაო პროცესზე უსაფრთხო წვდომა. ამ ფაქტორების გათვალისწინებით შემუშავდა ჯგუფების ეტაპობრივი და როტაციული,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დეპარტამენტების მიხედვით განაწილების მოდელი (საშუალოდ 75 სტუდენტი თითოეულ პარტნიორ სასტუმროზე), რომელიც უზრუნველყოფს პრაქტიკული უნარების თანაბარ და ხარისხიან გამომუშავებას ყველა სტუდენტისთვის, ერთდროული გადატვირთვის რისკის გარეშე.

დისტანციური სწავლის უზრუნველსაყოფად გამოყენებულია ონლაინ პლატფორმები, რომლებიც არა მხოლოდ ტექნიკური მახასიათებლებით, არამედ იმ პრინციპით არის შერჩეული, რომ პლატფორმამ უზრუნველყოს განათლების ხარისხის სტანდარტების შენარჩუნება ონლაინ ფორმატშიც, მათ შორის – სტუდენტთა ჩართულობის მონიტორინგი, მასწავლებელთან უწყვეტი კომუნიკაცია და სასწავლო მასალებზე თანაბარი წვდომა. დისტანციური სწავლების კომპონენტის ინტეგრირება თეორიულ ბლოკებში (მაგ. ინფორმაციული წიგნიერება, გარემოსდაცვითი საფუძვლები, სტუმარმასპინძლობის შესავალი, ინგლისური და მეორე უცხო ენა) განხორციელდა შერჩევითად, მხოლოდ იმ მოდულებისთვის, სადაც ეს არ აისახება პრაქტიკული უნარების ხარისხზე, რითაც მიღწეულია ბალანსი ფიზიკური რესურსის განტვირთვასა და სწავლის ხარისხის შენარჩუნებას შორის. გარდა ამისა, 2026 წლიდან დისტანციური სწავლების პლატფორმებს დაემატა სპეციალიზებული სასწავლო მართვის სისტემა (LMS), რომელიც უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების, დასწრებისა და ჩართულობის დეტალურ და რეალურ დროში მონიტორინგს. აღნიშნული პლატფორმა Discord-თან ერთად ქმნის დისტანციური სწავლების ორკომპონენტიან სისტემას, სადაც Discord უზრუნველყოფს არაფორმალურ კომუნიკაციასა და საზოგადოებრივ ჩართულობას, ხოლო LMS – აკადემიური პროცესის ფორმალიზებულ მართვასა და კონტროლს.

ამგვარად, ზღვრული ოდენობა განისაზღვრა მეთოდოლოგიით დადგენილი საკმარისობის პრინციპისა და ყველა რელევანტური ფაქტორის (მატერიალურ-ტექნიკური, ციფრული, ადამიანური, პრაქტიკის ბაზაზე დაფუძნებული) ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.1.1.3 შესაბამისია

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სასტუმროს მომსახურება" უზრუნველყოფილია ადამიანური, მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსებით, რომლებიც შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან (პუნქტები 8.1–8.8) და მისი განხორციელების ფორმასთან (კოოპერაციული, შპს „თენექსი" და პარტნიორი სასტუმროები).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პრაქტიკის ობიექტების (სასტუმროების) მიერ ხელშეკრულებით უზრუნველყოფილია საჭირო რესურსი. პრაქტიკის ობიექტია 4 სასტუმრო: Ibis Styles Batumi, The Grandeur Hotel, White Sails Residential Hotel და New Wave Hotel Batumi. პროგრამის თანახმად, „სწავლის შედეგების დეტალური განაწილება თან ახლავს ამ სასტუმროებთან გაფორმებულ თანამშრომლობის ხელშეკრულებას" ანუ პრაქტიკული სწავლისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (სასტუმროს ნომრები, მიღება-განთავსების ინფრასტრუქტურა, დასუფთავების ინვენტარი, კვება-სასმელების ობიექტები, სამეურნეო და ადმინისტრაციული განყოფილებები) უზრუნველყოფილია პარტნიორი დაწესებულებების მიერ, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით. ეს პირდაპირ კავშირშია იმ სწავლის შედეგებთან, რომლებიც ცხრილში მონიშნულია ✓ „სამუშაო გარემოში სწავლისთვის" (სასტუმროს პერსონალისა და ადმინისტრაციული პროცესები, დაჯავშნა და მიღება-განთავსება, დასუფთავება, კვება-სასმელების მომსახურება, უსაფრთხოება, გაყიდვები და მარკეტინგი, შესყიდვები და მარაგები, პრობლემური სიტუაციების მართვა).

უშუალოდ კოლეჯის მიერ უზრუნველყოფილი მატერიალური რესურსი, პროგრამის შემადგენელი ადაპტირებული მოდულებისა და მათი განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის ნუსხა დამტკიცებულია ცალკე დანართით (დანართი N2 პროგრამაში).

დისტანციური/საინფორმაციო რესურსების კუთხით, პროგრამის თეორიული და ნაწილობრივ პრაქტიკული კომპონენტების უზრუნველსაყოფად გამოიყენება რამდენიმე ურთიერთშემავსებელი, ფუნქციურად დიფერენცირებული პლატფორმა: Google Classroom სასწავლო მასალების ოფიციალური განთავსებისა და დავალება-უკუკავშირის მართვისთვის; Discord - რეალურ დროში კომუნიკაციისა და არაფორმალური, საზოგადოებრივი ჩართულობისთვის; და 10x LMS - სპეციალურად პროფესიული განათლების მართვის საჭიროებებზე მორგებული ერთიანი საინფორმაციო სისტემა.

10x LMS-ის დანერგვით კოლეჯმა უზრუნველყო არა მხოლოდ სასწავლო მასალის გადმოცემა, არამედ აკადემიური პროცესის სრული ციკლის ინსტიტუციური მართვა და კონტროლი, კერძოდ: სტუდენტთა აკადემიური მოსწრების, დასწრებისა და ჩართულობის რეალურ დროში მონიტორინგი; პროგრამებისა და მოდულების კვირებზე გადანაწილებული, სტრუქტურირებული ორგანიზება; შეფასების სტანდარტიზებული თარგები და თითოეული სტუდენტისთვის შედეგების გამჭვირვალე ხელმისაწვდომობა; ონლაინ შეფასების უსაფრთხოებისა და აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის ავტომატური მექანიზმები, მათ შორის არაავტორიზებული მოწყობილობებისა და ქცევის დეტექცია; ყველა აკადემიური მოქმედების ასახვა აუდიტის ჟურნალში, როლებისა და პასუხისმგებლობების მკაფიო გამიჯვნით; მტკიცებულებათა ცენტრალიზებული არქივი, რომელიც ემსახურება ხარისხის კონტროლისა და გარე შეფასების პროცესებს; ასევე აკადემიურ კალენდართან ინტეგრირებული ავტომატური საკომუნიკაციო და შეხსენების სისტემა.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.1.1.4 შესაბამისია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

პროგრამა შეიცავს ერთ არჩევით ბლოკს „პრაქტიკული პროექტი - სასტუმრო მომსახურება" (5 კრედიტი, დანართი N17).

ლოგიკური კავშირი გამოიხატება შემდეგში, რომ მოდული წარმოადგენს პროგრამის დასკვნით, ინტეგრირებულ საფეხურს, სადაც სტუდენტი აერთიანებს ყველა პროფესიულ დარგობრივ მოდულში მიღწეულ კომპეტენციებს ერთიან პრაქტიკულ პროექტში, რაც პირდაპირ შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას - „საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასტუმროს მომსახურებაში". მოდული განხორციელა გათვალისწინებულია რეალურ სამუშაო გარემოში (პარტნიორ სასტუმროებში), რაც უშუალოდ ამზადებს კურსდამთავრებულს პროგრამის მე-7 პუნქტში მითითებული დასაქმების მიმართულებებისთვის. არჩევითი ბლოკის რეალურ სამუშაო გარემოში განხორციელება (✓ „სამუშაო გარემოში სწავლისთვის") თანხვედრაშია პროგრამის საერთო „კოოპერაციულ" განხორციელების ფორმასთან და დასაქმებულ პარტნიორ სასტუმროებთან თანამშრომლობის ხელშეკრულებებთან. პროგრამის ერთადერთი არჩევითი მოდული უშუალოდ და დასაბუთებულად უკავშირდება მისანიჭებელ კვალიფიკაციასა და კურსდამთავრებულის სამომავლო პროფესიულ საქმიანობას სასტუმრო ინდუსტრიაში, პარტნიორ ობიექტებზე რეალურ სამუშაო პირობებთან პირდაპირი კავშირით.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.1.1.5 შესაბამისია

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სასტუმროს მომსახურება" დამტკიცებულია შპს „თენექსი"-ს დირექტორის, 2026 წლის 25 მაისის N01-03/23 ბრძანებით, რომელიც გამოცემულია კოლეჯის საქმიანობის მარეგულირებელი დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „გ" და „ტ" ქვეპუნქტების საფუძველზე. აღნიშნული უფლებამოსილება შესაბამისობაშია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა-შემუშავება, დამტკიცების, ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესის" (დანართი N7, დირექტორის 2024 წლის 20 სექტემბრის ბრძანების დანართი, ცვლილება 2026 წლის 30 იანვრის ბრძანებით) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტთან, რომლის თანახმადაც პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება მინიჭებული აქვს დირექტორს. ბრძანება გამოცემულია პროგრამის შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დასკვნისა და ხარისხის მენეჯერის ანგარიშის საფუძველზე, რაც ადასტურებს მეთოდოლოგიის მე-2 მუხლით გათვალისწინებული პროცედურის დაცვას: პროგრამის დაგეგმვა-შემუშავების მიზნით შექმნილი იქნა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სამუშაო ჯგუფი (მუხლი 2, პ. 2); სამუშაო ჯგუფმა განახორციელა კვლევითი და შემდგომ პროგრამის შემუშავების აქტივობები (მუხლი 2, პ. 4-6); პროგრამის პროექტმა გაიარა გარე შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში (მუხლი 2, პ. 9); საბოლოო პროექტი გარე შეფასების ანგარიშთან ერთად წერილობით წარედგინა დირექტორს დამტკიცების მიზნით (მუხლი 2, პ. 10). ბრძანებით დამტკიცდა თავად პროგრამა (დანართი N1), ადაპტირებული მოდულები და მატერიალური რესურსის ნუსხა (დანართი N2), ასევე სასწავლო გეგმა (დანართი N3), რომლებიც ბრძანების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ (პ. 6).

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.1.1.6 შესაბამისია

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

შპს „თენექსის" მიერ დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სასტუმროს მომსახურება" (დირექტორის 2026 წლის 25 მაისის ბრძანების დანართი № 1), რომელიც სრულად შეესაბამება პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს „სასტუმროს მომსახურება; Hotel Service" (სარეგისტრაციო № 10.3.1). პროგრამის სახელწოდება უცვლელად, ზუსტად იმეორებს სტანდარტის სახელწოდებას და სწავლის შედეგებს. კოლეჯს არ შეუცვლია და არ დაუზუსტებია სახელწოდება სტანდარტთან შედარებით, რაც გამორიცხავს ტერმინოლოგიურ შეუსაბამობას სტანდარტსა და პროგრამას შორის. ამასთან, სახელწოდება სრულად ასახავს პროგრამის შინაარსსა და მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.1.1.7 შესაბამისია

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

შპს „თენექსს" დამტკიცებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (დირექტორის 2026 წლის 25 მაისის ბრძანების დანართი № 1), რომელიც შემუშავებულია სტანდარტის „სასტუმროს მომსახურება" (№ 10.3.1) საფუძველზე და სრულად იზიარებს მასში მითითებულ ნორმატიულ საფუძვლებს: საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ"; ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო (პროგრამა განთავსებულია NQF-ის მე-4 დონეზე, სტანდარტის შესაბამისად); პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტისა და მოდულის/მოდულების შემუშავების, განვითარებისა და დამტკიცების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წესი; პროფესიული კვალიფიკაციების შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია; პროფესიის სტანდარტი სასტუმრო საქმის სპეციალისტი; საერთაშორისო კლასიფიკატორები - ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორი (2016), ISCO-2008 და ISCED-2013.

დამტკიცებული პროგრამის სტრუქტურა სრულად შეესაბამება სტანდარტითა და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. პროგრამის კრედიტების საერთო მოცულობა პროგრამის მიხედვით მოიცავს 13 პროფესიულ მოდულს (60 კრედიტი) და 3 ზოგად მოდულს (9 კრედიტი), ჯამში 69 კრედიტი, პლუს არჩევითი ბლოკი (5 კრედიტი) კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭირო 74 კრედიტის დაგროვებით, სტანდარტში განსაზღვრული მოცულობის ზუსტი დაცვით. პროგრამაში მკაფიოდაა განსაზღვრული (სრული ზოგადი განათლება), სტანდარტთან შესაბამისობით. სწავლის შედეგების დადასტურებისა და კრედიტის მინიჭების წესები იზიარებს სტანდარტში მოცემულ, კანონმდებლობით დადგენილ პრინციპებს წინმსწრები ფორმალური და არაფორმალური განათლების აღიარება, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების წესები.

დამტკიცებული პროგრამა ხორციელდება კოოპერაციული ფორმით, ოთხ პარტნიორ სასტუმროსთან (Ibis Styles Batumi, The Grandeur Hotel, White Sails Residential Hotel, New Wave Hotel Batumi) გაფორმებული თანამშრომლობის ხელშეკრულებების საფუძველზე, პროფესიულ მოდულებში სწავლის შედეგების 50%-ზე მეტის რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევით, რაც შესაბამისად საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამატებით პირობასაც განაპირობებს. სსსმ/შშმ სტუდენტების ჩართულობის წესი დამტკიცებულ პროგრამაშიც ზუსტადაა ასახული სტანდარტით განსაზღვრული რეგულირება.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.1.1.8 შესაბამისია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დირექტორის 2026 წლის 25 მაისის N01-03/22 ბრძანება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კულინარია" დამტკიცების შესახებ.
- შპს „თენექსი"-ს საქმიანობის მარეგულირებელი დებულება (მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „გ" და „ტ" ქვეპუნქტები);
- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა-შემუშავება, დამტკიცების, ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი" (დანართი N7, დირექტორის 2024 წლის 20 სექტემბრის ბრძანება, ცვლილება 2026 წლის 30 იანვრის ბრძანებით);
- „პერსონალის, პროფესიული სტუდენტის, მსმენელის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია" (მე-5, მე-6, მე-7, მე-8 მუხლები) და პროგრამისთვის შემუშავებული „ზღვრული ოდენობის განსაზღვრის დოკუმენტი";

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- მისია და შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- დანრთი N5 - პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- დანართი N2 - მატერიალური რესურსის ნუსხა;
- პროგრამის კომპონენტების დისტანციურად/ელექტრონული ფორმით განხორციელების გზამკვლევი - Google Classroom და Discord პლატფორმების ტექნიკური აღწერა/დაშვების დეტალები;
- LMS პროგრამის აღწერა.
- დანართი N1 და დანართი N2 - დამტკიცებული პროგრამა და ადაპტირებული მოდულები (არჩევითი მოდულის „პრაქტიკული პროექტი - კულინარია");
- ინტერვიუს შედეგები პასუხისმგებელ პირებთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

8. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

9. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
10. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
11. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
12. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
13. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
14. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

„სასტუმროს მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით, სასწავლო გარემოთი და პარტნიორი პრაქტიკის ობიექტების ინფრასტრუქტურით.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება: ა) თეორიული და ზოგადი მოდულები - 10X-ის ციფრული სასწავლო პლატფორმის გამოყენებით, დისტანციური ფორმატით ბ) პრაქტიკული დარგობრივი მოდულები - შპს თენექსის პარტნიორ სასტუმროებში:

- სასტუმრო „იბის სთაილს ბათუმი“/IBIS STYLE BATUMI - შპს “აი ეს ბი ეიჩ“;
- The Grandeur Hotel, შპს „ვაით მენეჯმენტი“;
- სასტუმრო White Sails Residential Hotel, შპს „კონსიერჟ ფროფერთი“;
- სასტუმრო “New Wave”, შპს “სახლი ხეივანში”.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პარტნიორი სასტუმროების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით სარგებლობის გარანტიები გამყარებულია გაფორმებული ხელშეკრულებებით, რომლებსაც თან ერთვის რესურსების ჩამონათვალი. შპს "თენექსის" და პარტნიორი სასტუმროების მფლობელობაში არსებული მატერიალურტექნიკური ბაზა აკმაყოფილებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა მისაღებ კონტიგენტს.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.1.1 შესაბამისია

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

პროგრამის დარგობრივი მასწავლებლები არიან დარგის მოქმედი პრაქტიკოსები, დასაქმებული უშუალოდ პარტნიორ სასტუმროებში დეპარტამენტების მმართველ პოზიციებზე, მათ შორის გენერალური მენეჯერის პოზიციაზე. დანართი N2-ის მიხედვით, პროგრამაზე განსაზღვრულია სულ 38 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის 23 — დარგობრივი (სასტუმროს) მოდულების განმახორციელებელი; თითოეული დარგობრივი მოდული დაფარულია ერთზე მეტი მასწავლებლით. დარგობრივ სპეციალისტებს კომპეტენცია უდასტურდებათ ერთზე მეტ მოდულზე, რაც საჭიროების შემთხვევაში ერთმანეთის მოდულების ჩანაცვლების შესაძლებლობას იძლევა და უზრუნველყოფს განხორციელების მდგრადობას. დატვირთვის კუთხით შეუსაბამობა არ გამოვლენილა.

შპს - "თენექსის" პერსონალის მართვა განვითარების დოკუმენტი არეგულირებს პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევის (სამსახურში მიღების) პროცესს, ხოლო "პერსონალის, პროფესიული სტუდენტის, მსმენელის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით" რეგულირდება სამუშაო დატვირთვის განსზღვრის. პროფესიული მასწავლებლის დატვირთვა გულისხმობს: მოდულ(ებ)ის საკონტაქტო საათების განხორციელებას, კომპანიის პროგრამის სასწავლო გეგმისა და მეცადინეობის განრიგის შესაბამისად; სასწავლო პროცესის დაწყებამდე მომზადებას, მათ შორის - კალენდარული გეგმის შედგენა, სასწავლო პროცესის განხორციელების მიზნებისათვის პრეზენტაციების, სასწავლო მასალებისა და სხვ. მომზადებას, რაც ხელს შეუწყობს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებას ეფექტიანი სწავლებისათვის; პროფესიულ სტუდენტთა კონსულტირებას, მათი საჭიროების შესაბამისად, ინდივიდუალურად ან ჯგუფურად სასწავლო პროცესის განმავლობაში, შეფასების განხორციელებამდე, განმეორებითი შეფასების განხორციელებამდე და სხვ; შეფასების ინსტრუმენტების მომზადებას, განახლებასა და მათი ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას; სწავლების პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებებში მონაწილეობას, მათ შორის შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციაში, შეფასების სისტემის ვერიფიკაციასა და სხვა ღონისძიებებში ჩართულობას; სამუშაო ჯგუფებში, კომისიებში, დაწესებულების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში მონაწილეობას, რაც ხელს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უწყობს სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების სრულფასოვან წარმართვას; საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვას; სხვა სამუშაოს შესრულებას, რაც არ მოითხოვს დასაქმებულის განსაკუთრებულ დროსა და ძალისხმევას და ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ხარისხიან წარმართვას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული მოდულისთვის შერჩეულია შესაბამისი რაოდენობის პროფესიული მასწავლებელი, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მდგრად განხორციელებას. მასწავლებელთა განაწილების დროს გათვალისწინებულია სასწავლო დატვირთვა, ჯგუფის ზომა და პრაქტიკული სწავლების სპეციფიკა, რაც გამორიცხავს გადატვირთვას და უზრუნველყოფს სწავლების მაღალ ხარისხს. პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად თითოეულ მოდულს ახორციელებს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე სამი ან მეტი პირი.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.1.2 შესაბამისია

3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

არსებული მოთხოვნების მიხედვით პროფესიული განათლების მასწავლებელს უნდა გააჩნდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი მოდულის პროფესიული სტუდენტისათვის სწავლის შედეგების გამომუშავების და სწავლის შედეგების შეფასების კომპეტენცია, რაც შესაძლებელია დადასტურდეს: მასწავლებლის განათლების დამადასტურებელი დოკუმენტებით (პროფესიული ან/და უმაღლესიგანათლების დიპლომი/სერტიფიკატი - შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის სწავლების მიზნებისათვის) ან/და სამუშაო გამოცდილებით (პრაქტიკული უნარები). „სასტუმროს მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პროფესიულ მასწავლებლებს გააჩნიათ შესაბამისი ცოდნა, პრაქტიკული გამოცდილება და შეფასების კომპეტენცია, რაც უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტებში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების გამომუშავებასა და შეფასებას. დაწესებულება ასევე უზრუნველყოფს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პროფესიული განვითარების მხარდაჭერას, მათ შორის პროფესიული და პედაგოგიური კომპეტენციების განვითარებისთვის შესაბამის აქტივობებში ჩართულობას. **აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.1.3 შესაბამისია**

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

პროგრამის „სასტუმროს მომსახურების“ ხელმძღვანელი არის 20-წლიანი დარგობრივი გამოცდილების მქონე სპეციალისტი, საზღვარგარეთ მიღებული განათლებით, მასწავლებლობისა და ტრენინგების ჩატარების გამოცდილებით. იცნობს დარგის გამოწვევებსა და საჭიროებებს; პროგრამის განხორციელებაში გეგმავს საერთაშორისო პრაქტიკის გადმოტანას, ადგილობრივ გამოწვევებსა და საჭიროებებზე მორგებით. იგი მონაწილეობს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის მექანიზმებში, თანამშრომლობს ხარისხის მენეჯერთან, პროგრამის განმახორციელებელ პირებთან და პროგრამის მართვის კოორდინატორთან სასწავლო პროცესის მიმდინარე საკითხებზე, ახდენს პროგრამის განხორციელების შეფასებასა და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი რეკომენდაციების ინიცირებას. ამასთან, პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობს სასწავლო რესურსების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და პროგრამის შემდგომი განვითარების პროცესში, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ხარისხიან განხორციელებასა და უწყვეტ გაუმჯობესებას. პროგრამის ხელმძღვანელის - კვალიფიკაცია და კომპეტენცია სრულ შესაბამისობაშია შპს „თენექსის" მიერ პროგრამის ხელმძღვანელისთვის დადგენილ მოთხოვნებთან. **აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.1.4 შესაბამისია**

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსის მოძიება პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ როგორც მატერიალური სახით სასწავლებლის ბიბლიოთეკაში, ისე ციფრულ ფორმატში - Open Biblio-ს ელექტრონული ბაზის გამოყენებით . სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვისთვის, მასალების სისტემატიზაციას, დავალებების მიცემასა და შეფასებას უზრუნველყოფს Google Classroom-ის პლატფორმა. ამასთანავე, პროფესიულ სტუდენტებსა და მასწავლებლებს შორის ინტერაქციული კომუნიკაციის, მხარდაჭერისა და კოლაბორაციისთვის დამატებით გამოიყენება Discord-ის სივრცე. პროგრამის ხელმძღვანელობა, ხარისხის პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის მენეჯერი და პროფესიული განათლების მასწავლებლები პერიოდულად აფასებენ სასწავლო რესურსების რელევანტურობასა და ეფექტიანობას, მათ შორის პროფესიული სტუდენტების უკუკავშირის გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს სასწავლო რესურსების განახლებასა და პროგრამის საჭიროებებთან შესაბამისობას. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

დათვალიერდა დაწესებულების ბიბლიოთეკა — მოწყობილია სამუშაო ადგილები ლეპტოპებით. საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით: Housekeeping-მიმართულებით დათვალიერდა სტანდარტით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსები.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.1.5 შესაბამისია

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შპს თენექსი“ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) პროფესიული სტუდენტების თანაბარ ხელმისაწვდომობას სასწავლო რესურსებზე. დაწესებულებაში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმები და ინკლუზიური განათლების მხარდაჭერის მიდგომები უზრუნველყოფს სსსმ პროფესიული სტუდენტისთვის ინდივიდუალურად მორგებული სასწავლო პროცესის ორგანიზებას. საჭიროების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტისთვის მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომლის შესაბამისადაც ხორციელდება სწავლების, შეფასებისა და სასწავლო რესურსების ადაპტირება. ადაპტაციის პროცესი შეიძლება მოიცავდეს მასალის მიწოდების ფორმის შეცვლას, ვიზუალური და ციფრული ხელსაწყოების ჩართვას, დამატებითი განმარტებების მიწოდებას, სწავლის ტემპის შერჩევასა და ალტერნატიული საგამოცდო ფორმატების გამოყენებას. ავტორიზებული დაწესებულება საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მაქსიმალურად უწყობს ხელს სსსმ პირთა სრულფასოვან ინტეგრაციას სასწავლო გარემოში და ეხმარება მათ პროგრამით დასახული შედეგების მიღწევაში. **აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.1.6 შესაბამისია**

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას აფინანსებს სახელ-მწიფო (ვაუჩერული დაფინანსება). ვაუ-ჩერუ-ლი დაფინანსება დაწესებულებას მიეცემა „სასწავლო პროცესის წარმართვისათვის აუ-ცილებელი ხარჯებისათვის, მათ შორის პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომის ასანაზღაურებლად“ (საქართვე-ლოს მთავრობის დადგენილება №244, 2013 წლის 19 სექტემბერი, „პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმა-ლური ოდენობის დამტკიცების თაობაზე“). აღნიშნული წესის გათვალისწინებით შედგენილ იქნა პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი დაწესებულება პერიოდულად აფასებს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ ფინანსურ საჭიროებებს, რაც უზრუნველყოფს რესურსების ეფექტიან განაწილებასა და პროგრამის განვითარების უწყვეტ მხარდაჭერას. **აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.1.7 შესაბამისია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელ ი დოკუმენტაცია ქირავნობის ხელშეკრულება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- დასაბუთება პროგრამის კომპონენტის სრულად დისტანციური ან ნაწილობრივ დისტანციური ფორმით განხორციელების შესაძლებლობის თაობაზე;
- შპს „თენექსში“ პროგრამის კომპონენტების დისტანციურად/ელექტრონული ფორმით განხორციელების გზამკვლევი;
- იჯარის ხელშეკრულება;
- “შპს- “თენექსი” პერსონალის მართვაგანვითარება”
- “პერსონალის, პროფესიული სტუდენტის, მსმენელის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისთვ ის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ;
- პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობა;
- პროგრამის ხელმძღვანელის დანიშნვის ბრძანება;
- “საბიბლიოთეკო საქმე”.
- “სასწავლო პროცესის მართვის წესი”
- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

3. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
4. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

შპს "თენექსში" პროგრამების მონიტორინგი და განახლება ეფუძნება კომპანიის ხელმძღვანელის 2026 წლის 15 იანვრის ბრძანებით დამტკიცებულ „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს", რაც ეყრდნობა მართვის მუდმივი გაუმჯობესების (PDCA) მოდელს. აღნიშნული კონტროლი ითვალისწინებს როგორც გარე, ისე შიდა შეფასების კომპონენტებს. გარე შეფასების ფარგლებში ორგანიზაცია ხელმძღვანელობს ავტორიზაციის მონიტორინგის მიგნებებით, გლობალური გამოცდილების ანალიზით, პოტენციური დამსაქმებლების პოზიციით, ასევე მოწვეული სპეციალისტების რეკომენდაციებით. პარალელურად, ხარისხის მენეჯერი მინიმუმ ორწელიწადში ერთხელ ატარებს შრომის ბაზრის კომპლექსურ კვლევას, რაც საფუძვლად ედება ახალი მიმართულებების შექმნასა და არსებულის დახვეწას. შიდა მონიტორინგი კი მოიცავს სტუდენტთა კმაყოფილების დადგენას, პარტნიორების უკუკავშირს, კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკის ანალიზსა და პროფესიულ მასწავლებელთა საქმიანობის შეფასებას. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს, ხარისხის მენეჯერი დირექტორს წარუდგენს შეჯამებულ წლიურ ანგარიშს, სადაც ასახულია მთავარი მიგნებები, გამოკვეთილი ტენდენციები და განვითარების გზები.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.3.1.1 შესაბამისია

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპანია ყოველწლიურად აფასებს პროგრამის განხორციელების ხარისხს „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით" განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. შეფასების პროცესი მოიცავს: სასწავლო პროცესის მონიტორინგს - ლექციებზე, პრაქტიკულ მეცადინეობებზე და შეფასების პროცესზე დასწრებით; შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციას, რომელიც ხორციელდება ხარისხის მენეჯერისა და დარგის სპეციალისტის ჩართულობით; ეფექტიანობის ინდიკატორების (KPI და OKR) მონიტორინგს. ხარისხის მენეჯერი ვალდებულია ყოველი სასწავლო წლის ბოლოს წარადგინოს წლიური ანგარიში, რომლის საფუძველზე კომპანია შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას. ამ გეგმის ფარგლებში საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება: პროგრამის შინაარსის განვითარება ან მოდიფიცირება; მატერიალურტექნიკური და სასწავლო რესურსების განახლება; შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებში ცვლილებების შეტანა; პედაგოგიური პერსონალის პროფესიული განვითარების აქტივობების დაგეგმვა. პროგრამაში ცვლილებების შეტანა რეგულირდება კომპანიის "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვაშემუშავება, დამტკიცების, ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესით". აღნიშნული წესის შესაბამისად, პროგრამაში ცვლილებების პროექტის დასაბუთება შესაძლო ეფუძნებოდეს კომპანიაში ხარისხის მექანიზმების განხორციელების შედეგად გამოკვეთილ ხარვეზებს, ან/და შრომის ბაზრის განახლებულ მოთხოვნ(ებ)ს, ან/და დამსაქმებელთა გაფორმებულ ხელშეკრულებას/მემორანდუმს, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს და სხვა.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.3.1.2 შესაბამისია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- " პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვაშემუშავება, დამტკიცების, ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი".

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

7. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
8. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
9. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
10. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
11. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
12. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

შპს „თენექსის" დირექტორის 2026 წლის 25 მაისის N01-03/23 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სასტუმროს მომსახურება" და მისი შემადგენელი დანართი N3 - პროგრამის სასწავლო გეგმა. სასწავლო გეგმაში გაწერილია პროგრამის ყველა მოდული (3 ზოგადი მოდული, 13 პროფესიული მოდული და არჩევითი ბლოკი), თითოეული მოდულის კოდი, კრედიტების რაოდენობა, საკონტაქტო, შეფასების და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა, საათების ჯამური მოცულობა და კვირეული განაწილება 50 სასწავლო კვირის განმავლობაში, აგრეთვე კვირეული დატვირთვის ცხრილი. ცალკე გეგმაა ჩამოყალიბებული არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის „ქართული ენა A2" და „ქართული ენა B1" მოდულების სახით (თითოეული 15 კრედიტი, 375 საათი), რომლებიც ემატება ძირითად გეგმას.

სასწავლო პროცესის მართვის წესის მე-16 მუხლის თანახმად, სწავლება-სწავლის პროცესის დაგეგმვისას პროგრამის კოორდინატორი ხელმძღვანელობს შესაბამისი პროგრამის სასწავლო გეგმით/პროგრამით, რომელშიც გაწერილია პროგრამის სტრუქტურა, კომპონენტები და მათი თანმიმდევრობა, ხოლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოდულების განხორციელების დაგეგმვისას დაცული უნდა იყოს პროგრამის კომპონენტებზე არსებული წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა. იმავე წესის მე-17 მუხლის მიხედვით, სასწავლო პროცესის განრიგი განისაზღვრება სასწავლო კალენდრის მიხედვით (დანართი N4), რომელიც ეფუძნება პროგრამის სასწავლო გეგმას და მუშავდება თითოეული ჯგუფისათვის ინდივიდუალურად, ხოლო მეცადინეობები ტარდება საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმის საფუძველზე შედგენილი სასწავლო ცხრილების შესაბამისად.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.1.1 შესაბამისია

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

სასწავლო პროცესის მართვის წესის მე-14 მუხლის თანახმად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (ისგ) წარმოადგენს დოკუმენტს, რომელშიც პროფესიული სტუდენტის საჭიროებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე კოლეჯი განსაზღვრავს ამავე სტუდენტის სწავლა-სწავლებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას. ისგ მუშავდება რამდენიმე კონკრეტული საფუძვლის არსებობისას: პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენისას, შიდა ან გარე მობილობისას, ფორმალური/არაფორმალური განათლების აღიარების შემდგომ სწავლის გაგრძელებისას და სსსმ/შშმ პირთა სწავლებისას. წესი ცალკე გამოყოფს ისგ-ს სამ ტიპს: სრული დატვირთვით ჩართული სტუდენტისთვის, ნაწილობრივი დატვირთვით ჩართული სტუდენტისთვის/ჯგუფისთვის და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის. მე-15 მუხლის მიხედვით, ისგ ფორმირდება პროგრამის ხელმძღვანელის კოორდინირებით და პროგრამის კოორდინატორის ჩართულობით, პროფესიულ სტუდენტთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან თანამშრომლობის შედეგად, ხოლო მისი პროექტი დასამტკიცებლად წარედგინება დირექტორს.

წესი ასევე ითვალისწინებს მექანიზმებს, რომლებითაც კოლეჯი რეაგირებს სტუდენტთა შემხვედრ საჭიროებებზე: მე-4 მუხლის მიხედვით პროფესიულ სტუდენტს შეუძლია სტატუსის შეჩერება პირადი, საოჯახო თუ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული გარემოებების გამო და შემდგომში მისი აღდგენა (მათ შორის, საჭიროებისამებრ ისგ-ს შემუშავებით), მე-6 მუხლი აწესრიგებს შიდა და გარე მობილობას, ხოლო 21-ე და 22-ე მუხლები განსაზღვრავს სასწავლო გარემოსთან ადაპტაციისა და მხარდაჭერის ღონისძიებებს (საინფორმაციო-საორიენტაციო შეხვედრები, ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციები პროგრამის ხელმძღვანელთან/განმახორციელებელ პერსონალთან და ადმინისტრაციასთან) და ინდივიდუალური მეცადინეობებისა და კონსულტაციების ორგანიზების წესს, მათ შორის შუალედური/საკვალიფიკაციო შეფასების წინ დამატებითი მეცადინეობის საჭიროების შემთხვევაში. მე-18 მუხლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიხედვით, პროგრამის დაწყებამდე პროგრამის კოორდინატორი განმახორციელებელ პირებთან ინდივიდუალურად გეგმავს სამუშაო შეხვედრებს, სადაც განიხილება, სხვა საკითხებთან ერთად, ინდივიდუალური გეგმის არსებობის შემთხვევაში მეცადინეობის განრიგი და პირობები და პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების საკითხები.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.1.2 შესაბამისია

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

„პროგრამის კომპონენტების დისტანციურად/ელექტრონული ფორმით განხორციელების გზამკვლევი" და LMS პროგრამის აღწერის თანახმად, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. დისტანციური სწავლება ხორციელდება სინქრონული და ასინქრონული კომუნიკაციის ფორმებით, თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესის მეშვეობით, ხოლო სასწავლო პლატფორმის შერჩევა ეფუძნება მისი ტექნიკური, ფუნქციური და უსაფრთხოების მახასიათებლების (ერთდროული დატვირთვის შესაძლებლობა, სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუმენტები, რესურსებთან წვდომა, კომუნიკაციისა და ჩართულობის მექანიზმები, ინფორმაციული უსაფრთხოება) ანალიზს.

„დასაბუთება პროგრამის კომპონენტების ნაწილობრივ დისტანციური ფორმით განხორციელების შესაძლებლობის თაობაზე" თანახმად, „სასტუმროს მომსახურების" პროგრამის ცალკეული კომპონენტების დისტანციურ/ელექტრონულ ფორმატში განხორციელების დასაბუთება ეყრდნობა პრინციპს, რომ პროგრამის თითოეული მოდულის შინაარსობრივი სპეციფიკა თავადვე განაპირობებს, რომელი ფორმატი სრულად დისტანციური, შერეული თუ პირისპირ არის მისთვის ყველაზე მისადაგებული.

სრულად დისტანციურ ფორმატში ხორციელდება თეორიული ხასიათის მოდულები, რომლებიც არ საჭიროებენ უშუალო კონტაქტს სასტუმროს ფიზიკურ ინფრასტრუქტურასთან: უცხოური ენა, ინფორმაციული წიგნიერება, გარემოსდაცვითი საფუძვლები, სტუმარმასპინძლობის შესავალი, ინგლისური ენა და მეორე უცხო ენა მომსახურების სფეროსთვის. შერეულ ფორმატში ხორციელდება ის მოდულები, სადაც თეორიული ცოდნის გადმოცემა შესაძლებელია ონლაინ სივრცეში, ხოლო კონკრეტული პროფესიული როლების პრაქტიკული დამუშავება მოითხოვს სინქრონულ, ცოცხალ ურთიერთქმედებას: მეწარმეობა, ეთიკა და ეტიკეტი მომსახურების სფეროში, სასტუმროს პერსონალისა და ადმინისტრაციული პროცესების უზრუნველყოფა, სასტუმროს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უსაფრთხოების უზრუნველყოფა, შესყიდვებისა და მარაგების კონტროლი, პრობლემური სიტუაციების მართვა და სასტუმროს გაყიდვებისა და მარტივი მარკეტინგული საქმიანობის უზრუნველყოფა. ამ მოდულებში ონლაინ კომპონენტი ეთმობა თეორიულ ლექციებსა და დავალებების ციფრულ ადმინისტრირებას, ხოლო სინქრონული სესიები პრაქტიკული სცენარებისა და როლური სავარჯიშოების განხილვას. ფიზიკურ გარემოში, სასტუმროს რეალურ სამუშაო სივრცეში, ხორციელდება ის მოდულები, რომლებიც მოითხოვს უშუალო ტექნიკურ და პროცედურულ უნარ-ჩვევებს სასტუმროს დაჯავშნისა და მიღება-განთავსების პროცედურების, დასუფთავების მომსახურებისა და კვებისა და სასმელების მომსახურების უზრუნველყოფა.

დისტანციური და შერეული კომპონენტების ტექნიკურ-ორგანიზაციულ ბაზას წარმოადგენს ორი პლატფორმა : Discord და Google Classroom. Discord-ის Stage Channel და Voice Channel ფუნქციონალით მიმდინარეობს არა მხოლოდ სინქრონული ლექციები, არამედ სიმულაციური სავარჯიშოებიც, რომელთა ფარგლებშიც სტუდენტს ევალება კონკრეტული პროფესიული როლის (მაგალითად, მიმღები ადმინისტრატორის ან დასუფთავების სამსახურის სუპერვაიზორის) განთავსება და შესრულება. ორივე პლატფორმაზე მიმდინარე პროცესს ზედამხედველობს Python-ის ბაზაზე შექმნილი მონიტორინგის ავტომატური ბოტი „Big Brother", რომელიც 24/7 რეჟიმში აღრიცხავს დასწრებას, სესიაში გატარებულ დროს, დავალებების შესრულების დინამიკასა და ჯგუფურ ინტერაქციებს; შეგროვებული მონაცემები ცენტრალიზებულად ინახება MongoDB-ის ბაზაში და გამოიყენება ხარისხის მართვის პროცესში. დოკუმენტში ცალკე დასაბუთებულია, რომ გამოყენებული მეთოდოლოგიური მიდგომა თეორიული ცოდნის ონლაინ გარემოში გადაცემა და პრაქტიკული კომპეტენციების რეალურ, ფიზიკურ გარემოში დადასტურება შესაბამისობაშია საერთაშორისო პრაქტიკასთან, კერძოდ Swiss Hotel Schools-ისა და Cornell University School of Hotel Administration-ის კურსებში გამოყენებულ მეთოდოლოგიასთან, და ეფუძნება Agile სწავლების პრინციპებს.

პსდ-ში ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი მასალა და პრეზენტაცია რომელიც ექსპერტთა ჯგუფთა ჩატარდა, სასტუმროს მომსახურების პროგრამის ჩათვლით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც საუკეთესო პრაქტიკა მაგალითი იმისა, თუ როგორ არის შესაძლებელი, ციფრული ტრანსფორმაციის პირობებში, საკუთარ პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, თანმიმდევრულად გაუმჯობესდეს კოლეჯის სასწავლო პროცესის მართვისა და შეფასების მექანიზმები. ამის კონკრეტულ გამოხატულებას წარმოადგენს დისტანციური სწავლების ტექნიკურ-ორგანიზაციული მოდელის სისტემატური განვითარება და, კერძოდ, სპეციალიზებული სასწავლო მართვის სისტემის **10x LMS** დანერგვა და მისი ადაპტაცია სასტუმროს მომსახურების პროგრამის სპეციფიკურ საჭიროებებზე.

10x LMS-ის დანერგვის საჭიროება გამომდინარეობდა უკვე არსებული ინსტრუმენტების ფუნქციური შესაძლებლობების ანალიზიდან: მართალია, Discord ეფექტურად უზრუნველყოფდა რეალურ დროში კომუნიკაციასა და სასწავლო თემის ჩამოყალიბებას, ხოლო Google Classroom დავალებების ძირითად ადმინისტრირებას, თუმცა ორივე ინსტრუმენტი ზოგადი დანიშნულებით შექმნილი პლატფორმაა და არ იყო მორგებული პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განათლების მართვის სპეციფიკურ მოთხოვნებზე. კონკრეტულად, ეს ინსტრუმენტები ვერ ქმნიდნენ: (ა) კოლეჯის საკადრო სტრუქტურის შესატყვის, როლებზე დაფუძნებულ წვდომისა და უფლებამოსილებათა დიფერენცირებულ სისტემას; (ბ) აკადემიური მოქმედების სისტემურ, აუდიტს დაქვემდებარებულ ჩანაწერს; (გ) აკადემიური მოსწრების, დასწრებისა და ჩართულობის ცენტრალიზებულ, პროგრამების მიხედვით სტრუქტურირებულ ანალიტიკურ სურათს; (დ) სტანდარტიზებული შეფასების ინსტრუმენტების ერთიან ბაზაზე დაფუძნებულ გამოყენებას; (ე) ონლაინ შეფასების პროცესის აკადემიური კეთილსინდისიერების ავტომატურ დაცვას. „Big Brother" ბოტი და MongoDB-ის ბაზა ამ ხარვეზის მხოლოდ ნაწილობრივ, ფრაგმენტულ გადაწყვეტას წარმოადგენდა, რომელიც არ იყო ინტეგრირებული ერთიან, მომხმარებელზე ორიენტირებულ სისტემაში.

ამ ანალიზზე დაყრდნობით დანერგილი 10x LMS წარმოადგენს ერთიან პლატფორმას სტუდენტის, პროფესიული მასწავლებლის და ადმინისტრაციული კონსოლის სამი ურთიერთდაკავშირებული აპლიკაციის სახით და, სასტუმროს მომსახურების პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, მოიცავს: (1) სასწავლო პროცესის მართვას: მოდულების კვირებზე გადანაწილებულ ორგანიზებასა და დავალების ჩაბარების მრავალფეროვან ფორმატებს (ფაილი, ფოტო, ტექსტი, გარე ბმული); (2) შეფასებასა და აკადემიურ კეთილსინდისიერებას: სტანდარტიზებულ თარგებსა და ონლაინ ტესტირების უსაფრთხოების მექანიზმებს (ბრაუზერის ჩანართის გადართვის, ფოკუსის დაკარგვისა და პარალელური მოწყობილობის გამოვლენა), რაც მნიშვნელოვნად სჯობს Discord/Classroom-ის მონიტორინგის შესაძლებლობებს; (3) უსაფრთხოებას, როლებსა და აუდიტს: კოლეჯის ორგანიზაციული სტრუქტურის ასახვას სისტემურ დონეზე და ყველა მოქმედების ავტომატურ ფიქსაციას აუდიტის ჟურნალში; (4) ანალიტიკასა და ადრეულ გაფრთხილებას: დასწრების, ჩართულობისა და აკადემიური მოსწრების რეალურ დროში მონიტორინგსა და რისკის ქვეშ მყოფი სტუდენტების ავტომატურ იდენტიფიცირებას; (5) ხარისხის უზრუნველყოფას: ანონიმური კითხვარებისა და სესიის შემდგომი შეფასების ფორმების ავტომატურ, გვერდის ავლის შეუძლებელ გავრცელებას; (6) მტკიცებულებათა მართვას: სასწავლო და შეფასების პროცესში შექმნილი მასალების ავტომატურ არქივირებას; და (7) კარიერული მხარდაჭერისა და რესურსების მართვას: ვაკანსიების, გრანტებისა და გაცვლითი პროგრამების გავრცელებას, ასევე პარტნიორ სასტუმროებთან (IBIS Style Batumi, The Grandeur Hotel, White Sails Residential Hotel, New Wave Hotel Batumi) კოოპერაციული განხორციელების კოორდინაციასა და რეალურ სამუშაო გარემოში პრაქტიკის დაგეგმვასა და მონიტორინგს.

ამგვარად, LMS-ის დანერგვით მოხდა არა მხოლოდ დისტანციური სწავლების ტექნიკური ბაზის განახლება, არამედ ინსტიტუციური მართვის მოდელის ტრანსფორმაცია: Discord-ისა და Google Classroom-ის მიერ დაფარული არაფორმალური კომუნიკაციისა და დავალებების ბაზისური მართვის ფუნქციები უცვლელად შენარჩუნდა, ხოლო აკადემიური პროცესის სრული ციკლი: დაგეგმვიდან შეფასებამდე და მონიტორინგიდან ხარისხის კონტროლამდე,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გადავიდა ცენტრალიზებულ, აუდიტირებად და მონაცემებზე დაფუძნებულ სისტემაში, რაც სასტუმროს მომსახურების პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფს დისტანციური და ჰიბრიდული კომპონენტების ხარისხისა და უსაფრთხოების სტანდარტების შესრულებას.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.1.3 შესაბამისია

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

დანართი N1-ის (პროგრამის) მე-12.3 პუნქტის თანახმად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე, ხოლო კრედიტები ენიჭებათ მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში.

სასწავლო პროცესის მართვის წესის 23-ე მუხლი დეტალურად აღწერს შშმ/სსსმ სტუდენტთა სწავლებისა და მხარდაჭერის ღონისძიებებს: სპეციალისტის მოწვევას, საჭიროებაზე მორგებულ საგანმანათლებლო რესურსს, კოლეჯის ტერიტორიაზე გადაადგილების ხელშეწყობას, სასწავლო პროცესში ინდივიდუალურ და ადმინისტრაციულ მხარდაჭერას. კოლეჯი საჭიროებისამებრ უზრუნველყოფს საგანმანათლებლო რესურსის ელექტრონული ვერსიის მომზადებას, საჭირო ზომის შრიფტით ამობეჭდვას და რესურსის შინაარსობრივ მორგებას სტუდენტის საჭიროებაზე (ტექსტების გამარტივება, ვიზუალური აღქმის შესაძლებლობის გაზრდა). ასეთი სტუდენტის ჩარიცხვისას, საჭიროების შემთხვევაში, ხორციელდება ექიმის ჩართულობით კონსულტაციები სტუდენტთან და პრაქტიკის ობიექტთან, ხოლო დირექტორის მიერ შექმნილი კომისია, რომელშიც სავალდებულოდ შედის შესაბამისი სპეციალისტი, შეისწავლის სტუდენტის მდგომარეობას და საჭიროების შემთხვევაში შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელიც ეფუძნება პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მისაღწევი სწავლის შედეგების მოდიფიცირებულ ვერსიას და/ან სწავლებისა და შეფასების მიდგომების აკომოდაციას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე. კრედიტები ასეთ სტუდენტებსაც ენიჭებათ მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - პროგრამით გათვალისწინებული ზოგადი წესით, ხოლო მიუღწევლობის შემთხვევაში გაიცემა შესაბამისი ცნობა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის შეფასების (პსდ) ვიზიტისას ცალკე იქნა განხილული ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებების საკითხი. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი, რეალურ პრაქტიკაზე დაფუძნებული დოკუმენტაციის ანალიზით გამოვლინდა, რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პრაქტიკა კოლეჯში დაფიქსირებულია მხოლოდ სტუდენტის სტატუსის აღდგენასთან დაკავშირებულ შემთხვევებში კონკრეტულად, „გრაფიკული დიზაინის" პროგრამის ერთ-ერთი პროფესიული სტუდენტის მაგალითზე.

აღნიშნულ სტუდენტს სტატუსი შეუწყდა 2025 წლის 28 მაისის №42/23 ბრძანებით, ხოლო შემდგომში, პირადი განცხადების საფუძველზე, დირექტორის 2025 წლის 31 ოქტომბრის №74/23 ბრძანებით სტატუსი აღუდგინდა 2025 წლის 20 ნოემბრიდან. ამ ბრძანების შესაბამისად, პროგრამის კოორდინატორმა და ხელმძღვანელმა ერთობლივად შეადგინეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელშიც გაითვალისწინეს სტუდენტის მიერ წინა პერიოდში — 2024 წლის საშემოდგომო მიღების ფარგლებში ჩარიცხვის შემდეგ, უკვე დაძლეული ოთხი მოდული (რასტრული გრაფიკა 1 და 2, დიზაინის პრინციპების გამოყენება, დარგობრივი ინგლისური ენა). შესაბამისად, სასწავლო პროცესი შემდგომში დაიგეგმა დარჩენილი მოდულების (ჯამურად 69 კრედიტი) ფარგლებში, 2025 წლის საშემოდგომო მიღების ჯგუფთან ერთად სწავლის გაგრძელების პრინციპით. გეგმა სტუდენტს კორპორატიული ელფოსტიდან პირად ელფოსტაზე გაეგზავნა 2025 წლის 15 ოქტომბერს, და იმავე დღეს სტუდენტმა როგორც ელექტრონულად, ისე ხელმოწერით დაადასტურა თანხმობა შემუშავებულ ინდ.გეგმაზე.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ განხილული შემთხვევა არ ეხება შეზღუდული შესაძლებლობის ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირს ინდ. გეგმა შემუშავდა არა შშმ/სსსმ სტუდენტთა ინკლუზიის ხელშეწყობის მიზნით, არამედ სტატუსაღდგენილი სტუდენტისთვის ადრე ჩაბარებული მოდულების აღიარებისა და შესაბამისი კრედიტების მინიჭების უზრუნველსაყოფად. შესაბამისად, წარმოდგენილი მასალა ადასტურებს, რომ კოლეჯს გააქვს ჩამოყალიბებული პრაქტიკა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისთვის, კონკრეტული სტუდენტის გამოკვეთილ და დასაბუთებულ საჭიროებაზე დაყრდნობით. **აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.1.4 შესაბამისია**

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

„სასტუმროს მომსახურების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დანართი N1-ის მე-12.5 პუნქტში მითითებულია, რომ პროგრამის განხორციელების ფორმაა კოოპერაციული, ხოლო პრაქტიკული სწავლების განხორციელების ადგილად დასახელებულია ოთხი სასტუმრო: „იბის სთაილს ბათუმის"/IBIS STYLE BATUMI, The Grandeur Hotel, White Sails Residential Hotel და New Wave Hotel Batumi, და მითითებულია, რომ სწავლის შედეგების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დეტალური განაწილება თან ახლავს ამ სასტუმროებთან გაფორმებულ თანამშრომლობის ხელშეკრულებას. შესაბამისად, თითოეულ ამ პარტნიორ ორგანიზაციასთან 2026 წლის 25 მაისს გაფორმებულია ცალკე თანამშრომლობის ხელშეკრულება.

ოთხივე ხელშეკრულება იდენტური სტრუქტურითაა შედგენილი და ეხება „სასტუმროს მომსახურების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის (C გარემო) რეალურ სამუშაო გარემოში განხორციელების საკითხებს.

ხელშეკრულების მიზანი (მუხლი 2) განისაზღვრება, როგორც პროფესიულ სტუდენტთა დარგობრივი კომპეტენციების განვითარება რეალურ სამუშაო გარემოში (C გარემო). ხელშეკრულებებში აღინიშნება, რომ სტუდენტთა მონაწილეობა პარტნიორ ორგანიზაციაში არ წარმოადგენს შრომით ურთიერთობას და ხორციელდება მხოლოდ სასწავლო მიზნებისთვის. პროფესიული მოდულების/პრაქტიკული კომპონენტების განხორციელება (მუხლი 3) დეტალურად ადგენს, თუ რომელი პროფესიული მოდულის სასწავლო შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს პარტნიორი ორგანიზაცია რეალურ სამუშაო გარემოში, კონკრეტული პრაქტიკული საათების მითითებით:

- „სასტუმროს დაჯავშნისა და მიღება-განთავსების პროცედურების უზრუნველყოფა" (მე-2, მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 შედეგი) - 182 საკონტაქტო საათი წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N2;
- „სასტუმროს კვებისა და სასმელების მომსახურების უზრუნველყოფა" (მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 შედეგი) 63 საკონტაქტო საათი (დანართი N3);
- „სასტუმროს დასუფთავების მომსახურებების უზრუნველყოფა" (მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 შედეგი) 56 საკონტაქტო საათი (დანართი N4)
- „პრაქტიკული პროექტი - სასტუმრო მომსახურება" (მე-2 შედეგი) 10 საკონტაქტო საათი (დანართი N5.)

ხელშეკრულებით ასევე დგინდება, რომ პროგრამის სხვა პროფესიული მოდულები ხორციელდება კოლეჯის ბაზაზე (A და B გარემო), ხოლო სასტუმრო უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა მომზადებას C გარემოში პრაქტიკული კომპონენტის შესრულებისთვის. ხელშეკრულებებში მითითებულია, რომ თითოეულ პარტნიორ ორგანიზაციაში 3.2 პუნქტში მითითებულ პროფესიულ მოდულებს გაივლის 75 (სამოცდათხუთმეტი) პროფესიული სტუდენტი, ხოლო კონკრეტული სტუდენტების პრაქტიკის გრაფიკები, ცვლები და ჯგუფების რაოდენობა მხარეებს შორის თანხმდება პარტნიორ ორგანიზაციაში სტუდენტთა მისვლამდე არაუგვიანეს 2 (ორი) კვირით ადრე.

პრაქტიკის ორგანიზება (მუხლი 4) განსაზღვრავს, რომ პრაქტიკა ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად, სტუდენტთა ჩართვა ხდება ჯგუფურად ან როტაციის პრინციპით, პრაქტიკის ხანგრძლივობა და დატვირთვა განისაზღვრება პროგრამით, ხოლო პროფესიული სტუდენტები მონაწილეობენ სამუშაო პროცესებში ზედამხედველობის ქვეშ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯის ვალდებულებებში (მუხლი 5) შედის სტუდენტთა თეორიული და პრაქტიკული მომზადება, პრაქტიკაზე დასაშვები პირის გამოყოფა, პრაქტიკის პროცესის მონიტორინგი, სტუდენტთა შეფასება და შესაბამისი ცნობით უზრუნველყოფა, პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის საჭირო ყველა აუცილებელი მასალითა და ნედლეულით უზრუნველყოფა (დანართი N8-ის მითითებით) და მხარეთა ურთიერთობის განმავლობაში მიღებული ცნობითი ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა. პარტნიორი ორგანიზაციის ვალდებულებებში (მუხლი 6) შედის სტუდენტისთვის სათანადო პირობების შექმნა, პრაქტიკული პროცესის ჩართვა, დაცვისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვა, საჭიროების შემთხვევაში მიღწეული სწავლის შედეგებისთვის საჭირო ყველა აუცილებელი მასალით/ნედლეულით ხელშეწყობა, სტუდენტის მიერ ჩადენილ ზიანზე პასუხისმგებლობის საკითხების დაზუსტება, და კოლეჯისთვის იმ ფაქტების შესახებ ინფორმირება, რომელიც ეხება სტუდენტის ჩანაცვლებას ან ორგანიზაციის მხრიდან თანამშრომლობის შეწყვეტის განზრახვას. მონიტორინგი (მუხლი 9) ითვალისწინებს კოლეჯის მხრიდან განმახორციელებლის პერიოდულ ვიზიტებს, შეფასოს პრაქტიკის მიმდინარეობა და მიიღოს უკუკავშირი პარტნიორი ორგანიზაციისგან.

ხელშეკრულების ვადა (მუხლი 10) დაკავშირებულია ხელმომწერთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს პროგრამის ავტორიზაციის ვადით, ხოლო ვადა შეიძლება გაგრძელდეს მხარეთა შეთანხმებით. ხელშეკრულების შეწყვეტა (მუხლი 11) დასაშვებია მხარეთა ურთიერთშეთანხმებით ან ცალმხრივად, 30-დღიანი წინასწარი წერილობითი შეტყობინებით, ხოლო წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში დაუყოვნებლივ. დავები წყდება მოლაპარაკების გზით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.1.5 შესაბამისია

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

„სასტუმროს მომსახურების" პროგრამის ფარგლებში სასწავლო/სამუშაო პროცესის უსაფრთხო გარემოში წარმართვა უზრუნველყოფილია ორ დონეზე ინსტიტუციურ (ზოგად, ყველა პროგრამისთვის საერთო) და პროგრამულ/დარგობრივ (სასტუმროს მომსახურების სპეციფიკიდან გამომდინარე) დონეზე.

დაწესებულებაში მოქმედებს რამდენიმე სამართლებრივი აქტი, რომლებიც ადგენენ უსაფრთხო გარემოს ზოგად სტანდარტებს ყველა პროფესიული სტუდენტისა და დასაქმებულისთვის: „ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა" (დამტკიცებული ბრძანება N40/23, 16.05.2024) განსაზღვრავს მენეჯმენტის ვალდებულებას, გამოავლინოს და შეამციროს სამუშაო/სასწავლო გარემოში არსებული რისკები, უზრუნველყოს აღჭურვილობის გამართულობა და პერსონალის/სტუდენტების პერიოდული ინსტრუქტაჟი; „უსაფრთხოების ზომები და მექანიზმები" (ბრძანება N44/23,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

20.05.2024) აღწერს კონკრეტულ მექანიზმებს სახანძრო უსაფრთხოებას, სამედიცინო დახმარებას, ვიდეომონიტორინგსა და საშვის სისტემას, წესრიგის დაცვას; ხოლო „დაწესებულებაში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი" (ბრძანება N75/23, 18.06.2024) კონკრეტულად ეხება პრაქტიკული სწავლების პროცესს და ადგენს ჰიგიენის, განათების, მიკროკლიმატის, ელექტროუსაფრთხოებისა და საევაკუაციო სისტემების მიმართ.

დარგობრივი/პროგრამული დონეზეე კი, ვინაიდან ზემოაღნიშნული დოკუმენტები ზოგადი დანიშნულებისაა და პირდაპირ არ ეხება სასტუმროს მომსახურების სპეციფიკურ რისკებს, „სასტუმროს მომსახურების" პროგრამის ფარგლებში დარგობრივი უსაფრთხოების ცოდნა და უნარები ინტეგრირებულია უშუალოდ პროფესიულ მოდულებში. კერძოდ, მოდული „სასტუმროს უსაფრთხოების უზრუნველყოფა" ცალკე ითვალისწინებს სტუდენტის მიერ ხანძრის ტიპების, ცეცხლმაქრების გამოყენების წესების, საევაკუაციო სამოქმედო გეგმის, შრომის უსაფრთხოების სტანდარტების, საეჭვო და საგანგებო სიტუაციებში მოქმედების წესებისა და კონფიდენციალურობის დაცვის ცოდნას; მოდული „სასტუმროს კვებისა და სასმელების მომსახურების უზრუნველყოფა" მოითხოვს კვების უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტის (HACCP) ცოდნას; ხოლო მოდული „სასტუმროს დასუფთავების მომსახურების უზრუნველყოფა" მოიცავს დასუფთავებასთან დაკავშირებული უსაფრთხოების ნორმებისა და ნარჩენების მართვის გარემოსდაცვითი პრინციპების ცოდნას. **აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.1.6 შესაბამისია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დირექტორის 2026 წლის 25 მაისის N01-03/23 ბრძანება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სასტუმროს მომსახურება" დამტკიცების შესახებ;
- დანართი N1 - პროგრამა (მე-12.3 და მე-12.5 პუნქტები);
- დანართი N3 - პროგრამის სასწავლო გეგმა;
- დანართი 13 - სასწავლო პროცესის მართვის წესი;
- დანართი N14 - „პროგრამის კომპონენტების დისტანციურად/ელექტრონული ფორმით განხორციელების გზამკვლევი";

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- დანართი N18 - „დასაბუთება პროგრამის კომპონენტების ნაწილობრივ დისტანციური ფორმით განხორციელების შესაძლებლობის თაობაზე" (Discord და Google Classroom პლატფორმების აღწერა, „Big Brother" ბოტი, MongoDB ბაზა);
- LMS პროგრამის აღწერა
- პარტნიორ ორგანიზებთან (Ibis Styles Batumi, The Grandeur Hotel, White Sails Residential Hotel, New Wave Hotel Batumi) 2026 წლის 25 მაისს გაფორმებული თანამშრომლობის ხელშეკრულებები და მათზე დართული დანართები N2, N3, N4, N5
- ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა, დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 16 მაისის ბრძანება N40/23-ით.
- უსაფრთხოების ზომები და მექანიზმები, დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 20 მაისის ბრძანება N44/23-ით.
- დაწესებულებაში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი, დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 18 ივნისის ბრძანება N75/23-ით.
- ინტერვიუს შედეგები სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელ პირებთან და პროგრამის განმახორციელებლებთან.
-

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

5. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
6. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
7. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
8. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯში დამტკიცებული „პროფესიული სტუდენტის შეფასების წესის“ შესაბამისად, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება ეკისრება მოდულის განმახორციელებელ პირს, საჭიროებისამებრ დარგის დამატებითი სპეციალისტების ჩართულობით, ხოლო პროგრამის კოორდინატორი ვალდებულია დაადასტუროს თითოეული ინსტრუმენტის ფორმალური სისრულე (მოდულის კოდი, სწავლის შედეგის დასახელება, შეფასების მიმართულება და ხანგრძლივობა, საჭირო მასალა-რესურსი, ინსტრუქცია, დადასტურებისა და განმეორებითი შეფასების პირობები) და შინაარსობრივი გამართულობა, იმ პრინციპის დაცვით, რომ ინსტრუმენტის ავტორი ვერასდროს იქნება მისივე ვალიდატორი. ვალიდაციის გზით ხდება ინსტრუმენტის რელევანტურობის უზრუნველყოფა სწავლის შედეგის ყველა კრიტერიუმთან (ვალიდურობა); დასკვნების დაფუძნებას რეალურ, პორტფოლიოში დაცულ მტკიცებულებაზე (სანდოობა); დადგენილი პირობებისა და ვადების წინასწარ ცნობადობას ყველა სტუდენტისთვის, მათ შორის საორიენტაციო შეხვედრის ფარგლებში (გამჭვირვალობა); დროის, გარემოსა და აღჭურვილობის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველასთვის (სამართლიანობა); და ერთნაირი შესრულების პირობებში სტუდენტთა ერთგვაროვან შეფასებას, დამოწმებულს უწყისითა და მტკიცებულებით (ობიექტურობა).

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, დისტანციური ფორმატით განსაზღვრული მოდულების შეფასების პროცესი ხორციელდება ელექტრონული პლატფორმების საშუალებით, ხოლო ზემოთ აღწერილი პრინციპების ტექნიკურ დაცვას სისტემურ დონეზე უზრუნველყოფს 10x LMS. კონკრეტულად, სისტემაში ინტეგრირებული შეფასების თარგები (templates) მოდულის განმახორციელებელ პირს საშუალებას აძლევს, წინასწარ დადგენილი სტრუქტურისა და კრიტერიუმების (მიზანი, ვადა, წონა, კრიტერიუმები, საჭირო რესურსები, ინსტრუქცია) მიხედვით შექმნას შეფასების ინსტრუმენტი, კონკრეტულ სწავლის შედეგსა და შეფასების მიმართულებაზე მიბმულად რაც უზრუნველყოფს ინსტრუმენტის ფორმალურ სისრულესა და ვალიდურობას სისტემურ დონეზე. თითოეული სტუდენტისთვის დადასტურების პირობები, ვადები და ინსტრუქცია პორტალზე გამოქვეყნდება ავტომატურად და ერთდროულად, რითაც გამორიცხულია ინფორმაციის არათანაბარი ან დაგვიანებული მიწოდება და უზრუნველყოფილია პროცესის გამჭვირვალობა.

შეფასების ობიექტურობისა და სამართლიანობის დასაცავად, დისტანციურად ჩატარებულ ონლაინ შეფასებას ახლავს ავტომატური მონიტორინგის მექანიზმები, რომლებიც აღრიცხავენ ბრაუზერის ჩანართის გადართვას, ფოკუსის დაკარგვას, სრულეკრანიანი რეჟიმიდან გამოსვლას, ასევე პარალელურად სხვა მოწყობილობის (მაგალითად, სმარტფონის) გამოყენების მცდელობას; ამის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობება შემფასებელს, ხოლო შესაბამის სესიას ენიჭება „ეჭვმიტანილის" სტატუსი. ეს მექანიზმი ყველა სტუდენტისთვის მოქმედებს ერთნაირი წესითა და კრიტერიუმებით, დისკრიმინაციის გარეშე, რითაც უზრუნველყოფილია დისტანციური შეფასების თანაბარი და სამართლიანი გარემო. ამასთანავე, შეფასების პროცესში წარმოქმნილი ყველა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მტკიცებულება ნამუშევარი, პასუხი, ფაილი თუ ფოტო ავტომატურად ინახება სისტემის ცენტრალიზებულ არქივში, რაც შედეგების სანდოობას კონკრეტული, გადამოწმებადი მტკიცებულებით ამყარებს.

ვინაიდან ერთი და იმავე თარგით შეფასებული ყველა სტუდენტის შედეგი სისტემურ დონეზე მოწმდება ერთსა და იმავე კრიტერიუმებთან, სტანდარტთან და მტკიცებულებასთან მიმართებით, მინიმუმამდეა დაყვანილი შემფასებელთა შორის სუბიექტური განსხვავებების რისკი, რითაც უზრუნველყოფილია ერთგვაროვანი შედეგების მქონე სტუდენტების თანაბარი და ობიექტური შეფასება.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.2.1 შესაბამისია

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

დაწესებულებაში დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“ მიხედვით, ყველა პროგრამის შეფასების ინსტრუმენტები და მათი გამოყენებით მოპოვებული მტკიცებულებები ექვემდებარება პერიოდულ ვერიფიკაციას, რომელსაც ხელმძღვანელობს ხარისხის მენეჯერი, ხარისხის კოორდინატორისა და შესაბამისი დარგის სპეციალისტის მონაწილეობით, იმ პირობით, რომ ერთი და იმავე სპეციალისტი ვერ განახორციელებს ერთდროულად როგორც ინსტრუმენტის ვალიდაციას, ისე მისივე ვერიფიკაციას. ვერიფიკაციის დაწყებამდე ხარისხის მენეჯერი ამზადებს გეგმასა და განრიგს, განსაზღვრავს გამოსაყენებელ ფორმებს და, სავალდებულო წესით, ადგენს შეფასების ობიექტების შერჩევის პრინციპსა და რისკების სისტემას. საბაზისო შერჩევა ხორციელდება შემთხვევითობის პრინციპით (თითოეული ინსტრუმენტის ფარგლებში არსებული მტკიცებულებების არანაკლებ ნახევარი, ან 12-მდე რაოდენობის შემთხვევაში მთლიანად), თუმცა, კონკრეტული რისკის საფუძვლის არსებობისას (მაგალითად, ადრე დაფიქსირებული ხარვეზი ან სტუდენტთა უკუკავშირი), კოლეჯი უფლებამოსილია მიზანმიმართულად შეარჩიოს კონკრეტული ობიექტი, შემთხვევითობის პრინციპის მიღმა. ვერიფიკაციის ჯგუფი ოთხ-ექვს თვეში ერთხელ დირექტორს წარუდგენს წერილობით დასკვნას ხუთივე პრინციპის (ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალობა, სამართლიანობა, ობიექტურობა) დაცულობის შესახებ, გამოვლენილი ხარვეზებისა და საჭირო სამოქმედო ნაბიჯების მითითებით.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.2.2 შესაბამისია

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებაში დამტკიცებული „პროფესიული სტუდენტის შეფასების წესის“თანახმად, ყოველი მოპოვებული მტკიცებულება, რომელიც სტუდენტის ცალსახა იდენტიფიცირებას უზრუნველყოფს, შემფასებლის მიერ გადაეცემა პროგრამის კოორდინატორს და ინახება მასთან მატერიალურად ან ელექტრონულად, გაფორმებიდან სამწლის ვადით. იმავე პრინციპით ინახება შეფასების უწყისებიც, სტუდენტის პორტფოლიოში. ხოლო ხარისხის მენეჯერს შეეძლება, საჭიროებისამებრ, დამატებით მოითხოვოს ამ მტკიცებულებებისა და გამოყენებული ინსტრუმენტების წარმოდგენა შემფასებლისგან.

დისტანციურად განხორციელებადი მოდულების ფარგლებში ჩატარებული შეფასებების ტექნიკურ და სისტემურ საფუძველს წარმოადგენს 10x LMS-ის მტკიცებულებათა ცენტრალიზებული არქივი, სადაც ამ მოდულების შეფასების პროცესში წარმოქმნილი ყველა მასალა ნამუშევარი, ფაილი, ფოტო, ტექსტური პასუხი, გარე ბმული გროვდება და ინახება სტრუქტურირებულად, პროგრამის, მოდულისა და კონკრეტული სტუდენტის მიხედვით, ავტომატურად ან, საჭიროებისამებრ, ხელით მართვის გზით. ეს გამორიცხავს მტკიცებულების დაკარგვის ან არასრულყოფილად აღრიცხვის რისკს, რომელიც დამახასიათებელია არასისტემური მხოლოდ მატერიალური ან დაუსტრუქტურებელი ელექტრონული შენახვისთვის.

სისტემაში ჩაშენებული „აკლია" (missing items) ფუნქცია ავტომატურად ადარებს ფაქტობრივად არსებულ მტკიცებულებებს პროგრამის მოთხოვნებთან და გამოკვეთს არსებულ ხარვეზებს, რითაც პროგრამის კოორდინატორსა და ხარისხის მენეჯერს ეძლევათ შესაძლებლობა, ნებისმიერ დროს, დაუყოვნებლივ და სრულყოფილად გადაამოწმონ დისტანციურად მიღწეული კონკრეტული სწავლის შედეგის დამადასტურებელი მტკიცებულება და გამოყენებული ინსტრუმენტი, ინდივიდუალური მოთხოვნის გარეშეც. ამასთანავე, სისტემაში ინახება ამ მოდულების შეფასების უწყისებთან დაკავშირებული ყველა მოქმედების ჩანაწერი აუდიტის ჟურნალის სახით შემფასებლის ვინაობის, თარიღისა და უწყისის სტატუსის ჩათვლით რაც ფიზიკურად შენახულ მტკიცებულებებთან ერთობლიობაში, სამწლიან ვადაში, მათი ხელმისაწვდომობისა და წარმომავლობის დამატებით გამჭვირვალობას უზრუნველყოფს.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.2.3 შესაბამისია

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

თენექსში დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, სწავლების პროცესში მოდულის განმახორციელებელი იყენებს განმავითარებელ მიდგომას. გამოკითხვისა და პრაქტიკული დავალებების ანალიზის საფუძველზე სტუდენტს აწვდის კონკრეტულ მითითებებს, რომლებიც მას სწავლის შედეგებთან მიახლოებაში ეხმარება. შემფასებელს ევალება მიღებული ინფორმაციის გამოყენება როგორც ინდივიდუალურ დონეზე (საჭიროებისამებრ, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმირებამდეც. მაგალითად, განმეორებითი შეფასების ან დამატებითი მხარდაჭერის შემთხვევაში), ისე ჯგუფურ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დონეზე, სადაც შედეგები განზოგადებული სახით განიხილება. პროგრამის მასშტაბით კი ვერიფიკაციისა და კმაყოფილების კვლევის შედეგები, PDCA ციკლისა და ხარისხის მენეჯერის წლიური ანგარიშის ფარგლებში, გამოყენებული იქნება პროგრამის შინაარსის, სასწავლო რესურსისა და შემფასებელთა კომპეტენციის სისტემური განვითარებისთვის.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.2.4 შესაბამისია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დანართი N9 (პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი)
- დანართი N10 (ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები)
- LMS პროგრამის აღწერა
- ვალიდაციის და ვერიფიკაციის რეალური პრაქტიკა ავტორიზირებული პროგრამების ფარგლებში
- ინტერიუს შედეგები სტუდენტის შეფასების სისტემის განხორციელებაზე და ვერიფიკაციაზე პასუხისმგებელ პირებთან

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;

შპს "თენექსის" უზრუნველყოფილია შესაბამისი ფართით, რომელიც არის თანამედროვე სტანდარტებით ახალგარემონტებული, აღჭურვილი შესაბამისი ინვენტარით. მატერიალურ-ტექნიკური რესურსი და ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიან განხორციელებას და ხელს უწყობს პროფესიული სტუდენტებისთვის უსაფრთხო, თანამედროვე და პრაქტიკულ სწავლებაზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნას კომპანია უზრუნველყოფილია პროფესიული პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო სივრცეებით, ინფრასტრუქტურითა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და მატერიალური რესურსებით, რომლებიც შეესაბამება პროგრამების სპეციფიკას, პროფესიული სტუდენტების რაოდენობასა და სწავლის შედეგების მიღწევის მოთხოვნებს. სასწავლო გარემო მოიცავს თეორიული სწავლებისთვის განკუთვნილ სივრცეებს, პრაქტიკული სწავლების გარემოს, კომპიუტერულ და ციფრულ რესურსებს, ადმინისტრაციულ სივრცეებსა და სტუდენტთა მხარდაჭერისთვის აუცილებელ ინფრასტრუქტურას. კულინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის გათვალისწინებულია შესაბამისი პრაქტიკული სასწავლო გარემო, რომელიც აღჭურვილია პროგრამის სპეციფიკის შესაბამისი ინვენტარით, ტექნიკური აღჭურვილობითა და სახარჯი რესურსებით, რაც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ პრაქტიკული კომპეტენციების განვითარებასა და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. დაწესებულება საქმიანობას წარმართავს ძირითადად ორი ლოკაციაზე: გაფორმებული აქვს ქირავნობის ხელშეკრულება შპს ,,ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტთან".ამ ხელშეკრულებით, მფლობელი გადაცემს ფართს, რომელიც მდებარებს, ქალაქ ბათუმში, თამარ მეფის გამზირზე 38 ში. საკადასტრო კოდი – 05.34.23.195მ მიწის ფართობით 5257კვ.მ მასზედ განთავსებული სამი ნაგებობით. გათვალისწინებული ფართი არის N1 შენობა–ნაგებობის მე–4 სართილი, რომლის ფართობს შეადგენს 966.65 კვ.მ ფართი არის გარემონტებულ მდგომარეობაშიმ სელი წერტილრბით, დერეფნითა და სხვადასხვა სივრცეებით. ასევე ქალაქ ბათუმში, მეგობრობის ქუჩა N2-ში მდებარე უძრავ ქონებას (შემდგომში - „ფართი"), საერთო ფართით 768.30 კვ.მ. საკადასტრო კოდი: N 05.34.28.001.01.02.004 ფართი დაწესებულებას იჯარით გადაეცემა კულიწარიის პროფესიული საგაწმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტების განსახორციელებლად საჭირო მატერიალური გარემოს (C გარემო) მოსაწყობად 7 წლის ვადით.

აღჭურვილი გარემოები, სამუშაო და მოსასვენებელ სივრცეებს ადმინისტრაციული პერსონალისა და პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის, სამუშაო და დასასვენებელ სივრცეები პროფესიული სტუდენტებისათვის, სივრცეს პროფესიულ სტუდენტთა სპორტულ/შემოქმედებითი საქმიანობისათვის, ადაპტირებული სანიტარიულ კვანძები, სივრცეს არქივისთვის, ბიბლიოთეკა/სამკითხველო, პირველადი გადაუდებელი დახმარების კაბინეტი და სასადილო ოთახი. აღნიშნული სივრცეები ფუნქციურად გამიჯნულია და შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და დაწესებულების საქმიანობის სპეციფიკას. დადასტურებულია, რომ დაწესებულებას კანონიერ მფლობელობაში აქვს სხვადასხვა სახის ძირითადი აღჭურვილობა - მატერიალური რესურსი. ცენტრის სასწავლო აუდიტორიები აღჭურვილია პროგრამებით გათვალისწინებული მატერიალური რესურსებით და სხვა სწავლის პროცესისთვის საჭირო დამატებითი რესურსებით, როგორიცაა დაფა, სტუდენტებისა და მასწავლებლის სამუშაო სკამები და მაგიდები, პროექტორები, კომპიუტერები და სხვ. მოძრავი ქონებისა და სასწავლო რესურსის ფლობა დასტურდება უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ბუღალტრული დოკუმენტაციით - ინვენტარიზაციის აქტით, რომლითაც დასტურდება ქონების/რესურსების ბალანსზე არსებობა. შესაბამისად, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე დასტურდება, რომ დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით, რაც სრულად აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნებს მინიმუმ ავტორიზაციის ვადით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 5.1.1.1 შესაბამისია

2.დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;

დაწესებულებას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსის გამოყენების პოლიტიკა, რომლის თანახმად დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ დოკუმენტში - ,,პროფესიული სტუდენტის, მსმენელისა და შპს - „თენექსის“ თანამშრომლობისას განსაზღვრული მხარეთა უფლება-მოვალეობები, ასევე, პროფესიულ სტუდენტთან გასაფორმებელი სასწავლო ხელშეკრულების შაბლონშიც ცალსახად გაცხადებულია, რომ პროფესიული სტუდენტის უფლებაა ისარგებლოს კომპანიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ბიბლიოთეკით, სასწავლო რესურსებით საინფორმაციო საშუალებებით, ხოლო კომპანია ვალდებულია პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს მისცეს კომპანიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ბიბლიოთეკით, სასწავლო რესურსებით, კომპანიაში არსებული სერვისებით, მათ შორის საინფორმაციო საშუალებებით სარგებლობის საშუალება. შპს თენექსში პროფესიულ სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუებით დადასტურებულია, რომ მათ აქვთ თავისუფალი და არადისკრიმინაციული წვდომა დაწესებულების ინფრასტრუქტურასა და საერთო სარგებლობის სივრცეებზე. სტუდენტები სარგებლობენ მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საინფორმაციო რესურსებით, ბიბლიოთეკით/სამკითხველოთი და სხვა სასწავლო საშუალებებით. შესვენების პერიოდში მათთვის ხელმისაწვდომია ფოიეები, ღია ეზოები, შემოქმედებითი საქმიანობისა და დასვენებისთვის გამოყოფილი სივრცეები, რაც ხელს უწყობს სასწავლო გარემოს ფუნქციურობასა და სტუდენტთა კეთილდღეობას. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა პროგრამების განხორციელების ლოკაციებზე, როგორც თამარ ეგის გამზირზე N38, ასევე, მეგობრობის ქუჩაზე უზრუნველყოფილია მარტივი კონსტრუქციის პანდუსებითა და ადაპტირებული სანიტარული კვანძებით. ფუნქციონირებს ლიფტი. ზემოაღნიშნული ფაქტების, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულების ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის, ხოლო გამოვლენილ საჭიროებებზე რეაგირება ხორციელდება ეტაპობრივად დაგეგმილი და დასაბუთებული ღონისძიებების გზით.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 5.1.1.2 შესაბამისია

3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. აღნიშნულ მომსახურებას უზრუნველყოფს ქირავნობის ხელშეკრულების კონტრაქტორი. მას შემუშავებული აქვს შესაბამისი მექანიზმები, რომელიც თან ერთვის ქირავნობის ხელშეკრულებას , გარდა ამისა, დაწესებულებას შემუშავებული აქვს სანიტარული მდგომარეობის შემოწმების ფორმა. დაწესებულებაში მოქმედებს დირექტორის 2026 წლის 27 მაისის ბრძანებით დამტკიცებული ,, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „კულინარია“ პრაქტიკული ლაბორატორიის (სამზარეულოს) სპეციფიკური უსაფრთხოების ინსტრუქცია“, სადაც აღწერილია პროფესიული საქმიანობის სპეციფიკის შესაბამისი ინვენტარისა და აღჭურვილობის უსაფრთხო გამოყენების ინსტრუქციები, სანიტარულჰიგიენური ნორმების დაცვა, ასევე სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებული მოთხოვნების გათვალისწინება. პროფესიული სტუდენტები პროგრამის მიმდინარეობისას იღებენ შესაბამის ინსტრუქციებს შრომის უსაფრთხოების, აღჭურვილობის უსაფრთხო გამოყენებისა და საგანგებო სიტუაციებში მოქმედების წესების შესახებ,რომელშიც განსაზღვრულია დაწესებულების მფლობელობაში არსებული სასწავლო/სამუშაო და სხვა სივრცეების დასუფთავების წესი და პერიოდულობა. ვიზუალური დათვალიერებით დადასტურებულია, რომ მოწესრიგებულია სველი წერტილები, გამართულად ფუნქციონირებს ვენტილაცია, უზრუნველყოფილია უწყვეტი წყალმომარაგება და სანიტარულ-ჰიგიენური კვანძები აღჭურვილია ყველა საჭირო რესურსით. ვიზიტის დროს დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა სივრცეში დაცული იყო სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 5.1.1.3 შესაბამისია

4.შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;

შპს თენექსსა და შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულების თანახმად, გათბობა-გაგრილების სისტემის მომსახურების ვალდებულებას, რომელიც ეკისრება გამქირავებელს. დაწესებულების ვიზუალური დათვალიერებით დადასტურებულია შენობაში გათბობა - გაგრილების სისტემის არსებობა. დაწესებულების ყველა ლოკაციაზე, სასწავლო სივრცეებში, სადაც ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, დამონტაჟებულია გათბობის სისტემა. ვიზუალური დათვალიერებითა და კომუნალური ხარჯების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ანალიზით დადასტურებულია, რომ შენობა-ნაგებობები უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით და გათბობის რეჟიმი შეესაბამება სასწავლო პროცესის უწყვეტ განხორციელებას.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 5.1.1.4 შესაბამისია

5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დამტკიცებულია ,,შპს ,,თენექსი“ - ს უსაფრთხოების ზომები და მექანიზმები“, რომლის ფარგლებშიც დაწესებულებას შემუშავებული აქვს კონკრეტული მექანიზმები დაწესებულებაში უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, აქედან გამომდინარე, შპს “თენექსი” უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისთვის უსაფრთხო, ორგანიზებული და ჯანსაღი სასწავლო გარემოს შექმნას. კომპანიაში უსაფრთხოების უზრუნველყოფა ეფუძნება შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს, განსაზღვრულ პროცედურებსა და პრევენციულ მექანიზმებს, რომლებიც მიმართულია პროფესიული საგანმანათლებლო პროცესის უსაფრთხოდ განხორციელების, რისკების პრევენციისა და შესაძლო საგანგებო სიტუაციებზე ეფექტიანი რეაგირებისკენ. კომპანიაში მოქმედებს უსაფრთხოების, შრომის დაცვის, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების, ჯანმრთელობის დაცვისა და საგანგებო სიტუაციების მართვის შესაბამისი რეგულაციები, მათ შორის: ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა, უსაფრთხოების ზომები და მექანიზმები . კომპანიაში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი. დაწესებულების დებულების მიხედვით დაწესებულებაში შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფა ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულის პასუხისმგებლობაა. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი არის შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირი.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 5.1.1.5 შესაბამისია

6.დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;

დაწესებულებაში მოქმედებს დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის ბრძანებით დამტკიცებული მასალებით/ნედლეულით უზრუნველყოფა და სასწავლო პროცესში შექმნილი პროდუქტის განკარგვის წესი. ეს წესი განსაზღვრავს შპს - „თენექსის“ (შემდგომში -„კომპანია“) ძირითადი საქმიანობის ფარგლებში კომპანიის მატერიალური რესურსით, საჭირო მასალა-ნედლეულით უზრუნველყოფის მექანიზმს. კომპანიის საგანმანათლებლო პროგრამები, ძირითადად დაკავშირებულია ციფრულ ტექნოლოგიებთან, რომელთათვისაც გამოსაყენებელი მასალები, მათი დანახარჯი და მოთხოვნილება მცირე არჩევანით შემოიფარგლება.კომპანიის სივრცის მიღმა, პარტნიორ ორგანიზაციაში პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების შემთხვევაში, მატერიალურ-ტექნიკური რესურსით უზრუნველყოფისა და მასალა-ნედლეულით მომარაგების ვალდებულებები რეგულირდება მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით. კომპანიის საქმიანობის ადმინისტრირებისთვის, საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის საჭირო ინვენტარის, მასალებისა და ნედლეულის შეძენა უზრუნველყოფილია პერიოდულად მოწვეული სპეციალისტის მიერ, რომელთანაც ფორმდება მომსახურების ხელშეკრულება. აღნიშნული პირი კომპანიის პერსონალისგან ან დირექტორისგან მიიღებს წერილობით მოთხოვნას მასალების, ნედლეულის თუ ინვენტარის თაობაზე, შეაჯამებს და დაახარისხებს საერთო მაჩვენებლებით, შეჯამებული სახით წარუდგენს დირექტორს და რეზოლუციის შედეგად უზრუნველყოფს კომპანიის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მომარაგებას. აღნიშნული სპეციალისტის მოწვევა ხორციელდება დირექტორის გადაწყვეტილებით, გარკვეული პერიოდულობით, თუმცა არანაკლებ სასწავლო წლის დასაწყისში და შემდგომ ყოველი კვარტლის დასაწყისში.კომპანიაში დაგეგმილ, განხორციელების პროცესში მყოფ ნებისმიერი სახის საგანმანათლებლო პროგრამებში (შემდგომში „პროგრამები“), მოდულებში შემავალი საჭირო ინვენტარის, მასალებისა და ნედლეულის ნუსხას ადგენს პროგრამის კოორდინატორი და პროგრამის განმახორციელებელი პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად. აღნიშნულ ინფორმაციას პროგრამის კოორდინატორი წერილობით წარადგენს დირექტორის წინაშე, სწავლის დაწყებამდე 14 სამუშაო დღით ადრე.პროგრამების განხორციელების მიზნით მასალა-ნედლეული, შესაძლებელია შესყიდულ იქნას სასწავლო პროცესის დაწყებამდე წელიწადში ერთხელ ან ნაწილობრივად მოხდეს მარაგის შევსება, რა დროსაც დაცული უნდა იქნეს მასალა-ნედლეულის შენახვის ვადები და პირობები. ინვენტარის, მასალებისა და ნედლეულის შეძენისას, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მათი ვარგისიანობის ვადა, ასეთის არსებობის შემთხვევაში. მოდულისათვის, რომლის პრაქტიკული ნაწილი ტარდება პრაქტიკის ობიექტზე და პარტნიორი დაწესებულება თავად უზრუნველყოფს მასალა/ნედლეულით უზრულყოფის პროცესს, რაც ასახულია მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში. მასალებისა და ნედლეულის შენახვა ხორციელდება კომპანიის ფართში, საამისოდ გამოყოფილ ადგილას. სასწავლო მიზნებისათვის გადაცემული მასალა და ნედლეული, გამოყენებული უნდა იქნას მხოლოდ საგანმანათლებლო მიზნებისათვის, ხოლო სტრუქტურული ერთეულების საქმიანობისთვის შეძენელი, მხოლოდ კომპანიის საქმიანობის მიზნებისთვის, რაზედაც თითოეული პერსონალი არის პასუხისმგებელი.სპეციალისტის მიერ მომარაგებული მასალა-ნედლეული და ინვენტარი, კომპანიას ბარდება მიღებაჩაბარების აქტით, ასევე პერსონალს გადაეცემა წერილობითი ხელმოწერის დადასტურების საფუძველზე. პროგრამის/შესაბამისი კომპონენტის დასრულებისას, ხორციელდება გახარჯული მასალებისა და ნედლეულის შესახებ ანგარიშგება და საჭიროების შემთხვევაში, გაუხარჯავი მასალებისა და ნედლეულის დაბრუნება, რაც ასევე წერილობით აღირიცხება და წარედგინება დირექტორს. მასალებისა და ნედლეულის შენახვა ხორციელდება კონკრეტული მასალა-ნედლეულის შენახვის წესების დაცვით.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 5.1.1.6 შესაბამისია

7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;

დირექტორის 2026 წლის 15 იანვრის ბრძანებით დამტკიცებულ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში, მესამე თავი ეთმობა შიდა შეფასების მექანიზმებს, სადაც კომპანიაში შიდა შეფასების მექანიზმები ეფუძნება დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე“ (PDCA) ციკლს და მოიცავს სასწავლო პროცესის, პროფესიული სტუდენტებისა და მსმენელთა მომსახურების ხარისხის, მათი საჭიროებების, ასევე კომპანიის ადამიანური და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მატერიალური რესურსების სისტემურ შეფასებასა და გაუმჯობესებას. სასწავლო პროცესისთვის აქვს შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური და სასწავლო რესურსი, რომელიც ხელმისაწვდომია კომპანიის პერსონალისთვის და ყველა პროფესიული სტუდენტისთვის/მსმენელისთვის; კომპანია ახორციელებს პერიოდულ კვლევებს (სტუდენტთა/მსმენელთა კმაყოფილების კვლევა, დამსაქმებელთა უკუკავშირი, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლების შესწავლა და სხვა), რომელთა შედეგების ანალიზი გამოიყენება პროგრამებისა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით; ე) შეფასების სისტემის ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენად კომპანია ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტების, შეფასების პროცესის, მტკიცებულებების, დაკვირვებაგაუმჯობესების პროცესს - იგივე ვერიფიკაციას.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 5.1.1.7 შესაბამისია

8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;

თენექსის ყველა სასწავლო ლოკაციაზე, სადაც ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, მათ შორის შშმ პირების საჭიროებების შესაბამისად ადაპტირებული, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით და სათანადოდაა მოწესრიგებული (დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები); უზრუნველყოფილია უწყვეტი განათებითა და ბუნებრივი ვენტილაციით. სანიტარული კვანძები მუდმივად მარაგდება პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით, დამონტაჟებულია ხელის საშრობი აპარატები.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 5.1.1.8 შესაბამისია

9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;

დაწესებულების ორივე ლოკაციის, პროფესიული განათლების მიზნებისთვის გამოყოფილი შენობა- ნაგებობების ვიზუალური დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ მათში არსებულ სასწავლო/სამუშაო მიზნებისთვის განკუთვნილ სივრცეებსა და ბიბლიოთეკებს აქვთ როგორც ბუნებრივი ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა, რაც უზრუნველყოფს სწავლისთვის/მუშაობისთვის საჭირო შესაბამის პირობებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 5.1.1.9 შესაბამისია

10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;

დაწესებულებაში სასწავლო და ადმინისტრაციული სივრცეები დაგეგმარებულია და განლაგებულია იმგვარად, რომ უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესების ეფექტიანი, შეუფერხებელი და ერთმანეთისგან ფუნქციურად გამიჯნული წარმართვა. პროფესიული სტუდენტებისთვის განკუთვნილი სასწავლო გარემო და დასასვენებელი სივრცე უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და სტუდენტთა საჭიროებების დაკმაყოფილებას, ხოლო ადმინისტრაციული პერსონალისა და პროგრამის განმახორციელებელი პირებისთვის გამოყოფილი სამუშაო და დასასვენებელი სივრცეები შეესაბამება მათ ფუნქციურ დატვირთვას.სასწავლო და ადმინისტრაციული სივრცეების განაწილება უზრუნველყოფს პროცესების პარალელურად და ურთიერთშეუფერხებლად განხორციელებას, რაც ხელს უწყობს დაწესებულების ყოველდღიური საქმიანობის ორგანიზებულ და ეფექტიან მართვას.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 5.1.1.10 შესაბამისია

11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

დაწესებულებაში პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის უზრუნველყოფილია ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობა.ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზი აღჭურვილია მომხმარებელთა საჭიროებებზე მორგებული მატერიალურტექნიკური რესურსებით, მათ შორის ინტერნეტით, ხელოვნური განათებითა და შშმ პირებისთვის ადაპტირებული გარემოთი. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილზე განთავსებულია „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“, რომელიც მოიცავს ინფორმაციას საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობის პირობების, მომხმარებელთა უფლებებისა და ვალდებულებების, გატანა-დაბრუნების წესისა და სამუშაო განრიგის შესახებ. პროგრამის მოდულებით განსაზღვრული სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით - Open Biblio-ს გამოყენებით.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 5.1.1.11 შესაბამისია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ქირავნობის ხელშეკრულება
- მასალებით/ნედლეულით უზრუნველყოფა და სასწავლო პროცესში შექმნილი პროდუქტის განკარგვის წესი
- იჯარის ხელშეკრულება
- ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა
- უსაფრთხოების ზომები და მექანიზმები

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;

დაწესებულებაში შრომისა და სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ფუნქციონირებს დოკუმენტი ,, უსაფრთხოების ზომები და მექანიზმები“. ეს დოკუმენტი შპს - “თენექს”-ში არსებული უსაფრთხოების ზომებისა და მექანიზმების ერთ-ერთი აქტია, რომლებიც სავალდებულია კომანიაში დასაქმებული ყველა პერსონალისთვის. კომპანიაში უსაფრთხოების უზრუნველყოფას აქვს სხვადასხვა ასპექტი და მისი მოქმედების არეალია, კერძოდ:

- მატერიალურ-ტექნიკური ქონების დაცვა - უზრუნველყოფს დაცვის პერსონალი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

• უსაფრთხოების, მათ შორის სახანძრო უსაფრთხოება - უზრუნველყოფს დაცვის პერსონალი, ასევე დამატებით სხვა პირ(ებ)ი, საჭიროებისამებრ;

• სამედიცინო დახმარება (საჭიროების შემთხვევაში შენობა-ნაგებობაში და მის გარე ტერიტორიაზე მყოფი ნებისმიერი პირისთვის) - უზრუნველყოფს სამედიცინო პერსონალი;

• სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის გარემოს შექმნა, ხელშეწყობა - უზრუნველყოფს ადმინისტრაცია, ადმინისტრაციისა და დაცვის პერსონალი.

ტერიტორია სადაც განთავსებულია კომპანია, აღჭურვილია სათვალთვალო კამერებით, სიგნალიზაციის სისტემით და შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით, თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ინსტრუქცია, პერიოდულად ხორციელდება პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან/მსმენელებთან უსაფრთხოების წესების დაცვასთან და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის გამოყენების ინსტრუქციასთან დაკავშირებული შეხვედრები; ფართში, თვალსაჩინო ადგილას, გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, რომლის შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში მოხდება შენობის უსაფრთხოდ დატოვება; ეთიკის კოდექსით აკრძალულია შენობაში და მის ტერიტორიაზე ადვილად აალებადი, ფეთქებადი აირების/ნივთიერების შეტანა; ტერიტორიაზე არსებობს სამედიცინო მომსახურების სივრცე და შექმნილია სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის შესაბამისი გარემო. დაწესებულებაში მოქმედებს შესაბამისი ორგანოს მიერ ფორმირებული ინსტრუქცია სახანძრო უსაფრთხოების ზომების შესახებ, რომლის საფუძველია სახანძრო უსაფრთხოების შესახებ (370-ე) ტექ. რეგლამენტი, რომელიც ვრცელდება "ადამიანთა მასობრივი თავშეყრის (50 ადამიანი და მეტი) საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგეობზე". დაწესებულებას მიერ შემუშავებულ უსაფრთხოების მექანიზმებში დასაქმებულებთან გაფორმებული და პროფესიულ სტუდენტებთან გასაფორმებელი სასწავლო ხელშეკრულებების შაბლონის თანახმად, კომპანია იღებს ვალდებულებას უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო გარემოს შექმნასთან დაკავშირებით.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 5.1.2.1 შესაბამისია

2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

თენექსში სამედიცინო მომსახურების გაწევა-მიღება შესაძლებელია, როგორც შენობის ძირითად შემოსასვლელთან პირველ სართულზე, ასევე ტერიტორიაზე - მეოთხე სართულზე, სადაც ადმინისტრაციაში განთავსებულია პირველადი სამედიცინო დახმარების საშუალებები.

სამედიცინო დახმარების აღმოჩენა მოიცავს:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

• სამედიცინო პერსონალის მხრიდან ტერიტორიაზე მყოფი პირების (პროფესიული სტუდენტები, მსმენელები, პერსონალი, სხვა პირი, რომელიც დროებით იმყოფება კომპანიაში) სამედიცინო კონსულტაციას ან/და პირველადი დახმარების გაწევას.

• თუ პირი დამოუკიდებლად ვერ ახერხებს სამედიცინო პერსონალთან მისვლას, ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს დაცვის სამსახურის წარმომადგენელს ან/და ადმინისტრაციის ნებისმიერ პერსონალს ან/და ადგილზე მყოფ პირს, რომლებიც ვალდებულნი არიან მიიყვანონ ეს პიროვნება სამედიცინო პუნქტთან ან უზრუნველყონ სამედიცინო პირის ინფორმირება დახმარების საჭიროების თაობაზე;

• აუცილებლობის შემთხვევაში, სამედიცინო პეროსონალმა ან დაცვის სამსახურის წარმომადგენელმა დაუყოვნებლივ უნდა გამოიძახოს სასწრაფო დახმარება და საჭიროების შემთხვევაში სხვა სამსახურები (პოლიცია და ა.შ);

• სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის გამოძახებისას, სამედიცინო პერსონალი ვალდებულია სიზუსტით მიაწოდოს ყველა საჭირო და მათი მხრიდან მოთხოვნილი ინფორმაცია.

სამედიცინო პერსონალის ძირითადი ფუნქციებია:

• პერსონალსა და პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს უსასყიდლოდ და კვალიფიციურად აღმოუჩინოს პირველადი სამედიცინო დახმარება;

• პერსონალსა და პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს უსასყიდლოდ გაუწიოს კონსულტაცია კომპეტენციის ფარგლებში; შესაძლებლობის ფარგლებში, გაატაროს პრევენციული ღონისძიებები დაავადებათა გავრცელების თავიდან აცილების მიზნით. სამედიცინო პერსონალს, ამოცანების ეფექტურად შესრულებისთვის გამოყოფილი აქვს სათანადო სივრცე, ინვენტარი, მედიკამენტები, პირველადი დახმარებისათვის საჭირო საშუალებები. ვიზიტისას შედგა ინტერვიუ გამქირავებელთან და მის მიერაც დადასტურებულია მზაობა ქირავნობის ხელშეკრულების ფარგლებში უზრუნველყოს აღებული ვალდებულება პირველად გადაუდებელ დახმარებასთან დაკავშირებით.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 5.1.2.2 შესაბამისია

3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;

შპს "თენექსი" უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისთვის უსაფრთხო, ორგანიზებული და ჯანსაღი სასწავლო გარემოს შექმნას. კომპანიაში უსაფრთხოების უზრუნველყოფა ეფუძნება შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს, განსაზღვრულ პროცედურებსა და პრევენციულ მექანიზმებს, რომლებიც მიმართულია პროფესიული საგანმანათლებლო პროცესის უსაფრთხოდ განხორციელების, რისკების პრევენციისა და შესაძლო საგანგებო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სიტუაციებზე ეფექტიანი რეაგირებისკენ. დაწესებულებაში დანერგილია საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი. ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადასტურებულია, რომ დაწესებულებას ფუნქციონირების ყველა ლოკაციისთვის შემუშავებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმები, რომლებიც შეთანხმებულია შესაბამის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან.იგი მოიცავს საგანგებო ვითარებებზე რეაგირების პროცედურებს, პასუხისმგებელ პირებსა და მოქმედების თანმიმდევრობას, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის უსაფრთხოდ წარმართვას და რისკების მართვას. კომპანიაში მოქმედებს უსაფრთხოების, შრომის დაცვის, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების, ჯანმრთელობის დაცვისა და საგანგებო სიტუაციების მართვის შესაბამისი რეგულაციები. კულინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოებას პრაქტიკული სწავლების პროცესში. სასწავლო სივრცეებში უზრუნველყოფილია უსაფრთხოების წესების დაცვა, პროფესიული საქმიანობის სპეციფიკის შესაბამისი ინვენტარისა და აღჭურვილობის უსაფრთხო გამოყენების ინსტრუქციები, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა, ასევე სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებული მოთხოვნების გათვალისწინება. პროფესიული სტუდენტები პროგრამის მიმდინარეობისას იღებენ შესაბამის ინსტრუქციებს შრომის უსაფრთხოების, აღჭურვილობის უსაფრთხო გამოყენებისა და საგანგებო სიტუაციებში მოქმედების წესების შესახებ.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 5.1.2.3 შესაბამისია

4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

დაწესებულებასა და შპს ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულების სახით წარმოდგენილია - დაცვის სამსახურისა და საკონტროლო - გამშვები რეჟიმის დებულებები, რომელთა გათვალისწინებითაც გამქირავებელი უზრუნველყოფს შპს თენექსის შენობა - ნაგებობის მთლიანი დაცვის სისტემის გამართულად მუშაობას, დამქირავებლის მოთხოვნის შემთხვევაში ფართის ტერიტორიაზე არსებული ჩანაწერების მიწოდებას პერსონალური მონაცემების დაცვით. ასევე, 24/7 დაცვის თანამშრომლების მომსახურებას გამქირავებლის მიერ განსაზღვრული წესით. კომპანიის ტერიტორიაზე განთავსებულია სამეთვალყურეო კამერები, შესაბამისად დაცვის პერსონალი დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში ახდენს დაუყოვნებლივ შესაბამის რეაგირებას. მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში ისინი უფლებამოსილნი არიან დაათვალიერონ სამეთვალყურეო კამერის ჩანაწერები. კომპანიის ტერიტორიაზე შესვლა დასაშვებია საშვით, რომლის ელექტრონული წარმოება-აღრიცხვა ხორციელდება სპეციალური პროგრამით. აღნიშნული სისტემა უზრუნველყოფს როგორც უსაფრთხოების თვალსაზრისით ინფორმაციის, მონაცემების აღრიცხვა - დამუშავების შესაძლებლობას, ასევე პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა, პერსონალის მოძრაობის მონიტორინგს. კომპანიაში უცხო პირთა დაშვება შესაძლებელია დაცვის პერსონალის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წინაშე პირადობის წარდგენის საფუძველზე. ყველა სტუდენტი და პერსონალი ვალდებულია თან იქონიოს პირადობის მოწმობა ან სხვა მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტი. საჭიროების შემთხვევაში დაცვის პერსონალი უფლებამოსილია მათ მოთხოვოს პირის მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტის ჩვენება, სხვა შემთხვევაში იდენტიფიცირება ხდება ადმინისტრაციაში/სისტემაში მონაცემთა ბაზის მეშვეობით. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის, პერსონალის მხრიდან ეთიკის კოდექსის დარღვევის შემთხვევაში (ჩხუბი, ინვენტარის დაზიანება, წესრიგის დარღვევა, უხამსი საქციელი, ბილწსიტყვობა და სხვა) დაცვის პერსონალი, რომელმაც აღმოაჩინა დარღვევა, ადმინისტრაციის პერსონალთან ერთად ადგენს ოქმს, სადაც აღწერილია დარღვევის არსი, დამრღვევის მონაცემები და დამრღვევის ახსნაგანმარტება. შედგენილი ოქმი განსახილველად გადაეცემა დირექტორის ბრძანებით შექმნილ კომისიას. დანართით განსაზღვრულია ინსტრუქციები, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად პერიოდულად განახლდება და განივრცობა. ამ დოკუმენტით განსაზღვრული წესები კავშირშია ქვეიჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურებასთან, შესაბამისად ეს დოკუმენტი წარმოადგენს ქვეიჯარის ნაწილს, რაზეც ქვეიჯარის მხარეები წერილობით თანხმდებიან.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 5.1.2.4 შესაბამისია

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

5.2 საინფორმაციო რესურსები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;

თენექსში შექმნილი ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესების მოთხოვნებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის გათვალისწინებული სასწავლო გარემოები აღჭურვილია საკმარისი რაოდენობისა და შესაბამისი ტექნიკური პარამეტრების მქონე კომპიუტერული ტექნიკით. თითოეული პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილია ლეპტოპები სასწავლო სივრცეებში, რაც სრულ შესაბამისობაშია პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობასთან. რესურსი საკმარისია პროგრამებზე სწავლების წარმართვისა და ადმინისტრაციული პროცესებისთვის. IT ტექნიკის ფლობა დასტურდება ბალანსზე რიცხული რესურსის ჩამონათვალით.ჩამონათვალით, სასწავლო აუდიტორიებში განთავსებული კომპიუტერული ტექნიკის პროგრამული უზრუნველყოფა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკასა და სტუდენტთა საერთო რაოდენობას. პროფესიული სტუდენტებისათვის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის, აგრეთვე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისთვის უზრუნველყოფილია უწყვეტი ინტერნეტწვდომა (Wi-Fi), რაც აუცილებელ წინაპირობას ქმნის როგორც სასწავლო, ისე ადმინისტრაციული პროცესების ეფექტური განხორციელებისთვის. დასაქმებულია კვალიფიციური კადრები. საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფილია შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისა და პასუხისმგებელი პირების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დროული ჩართულობა ტექნიკური ხარვეზების აღმოსაფხვრელად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ დაწესებულებაშიი არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა სრულად უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესების შეუფერხებელ, სტაბილურ და ეფექტიან წარმართვას.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 5.2.1.1 შესაბამისია

2.პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;

ვიზიტის ფარგლებში პასუხისმგებელ პირებთან და პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუებით დადასტურდა, რომ დაწესებულებაში დანერგილია საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვის პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება განსაზღვრულ პასუხისმგებლობებს, სისტემურ მონიტორინგს და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების კოორდინირებულ მუშაობას.ზემოაღნიშნულის საფუძველზე დგინდება, რომ თენექსი ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობისა და მოქმედი პოლიტიკის შესაბამისად.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 5.2.1.2 შესაბამისია

3.დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;

დირექტორის 2026 წლის 27 მარტის ბრძანების თანახმად (ცვლილება შევიდა დირექტორის 2026 წლის 27 მაისის ბრძანებით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ დებულებაში, კომპანია მოწოდებულია უზრუნველყოს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, მათ შორის, პირადი ცხოვრებისა და პერსონალური მონაცემების დაცვის კუთხით. პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას, კომპანია მოქმედებს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის, სხვა ნორმატიული აქტებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის (შემდგომში - პოლიტიკა) შესაბამისად. კომპანიაში პერსონალური მონაცემების დამუშავების სამი ტიპი არსებობს:

ა) პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა პერსონალური მონაცემები;

ბ) პერსონალის/პროგრამის განმახორციელებლის პერსონალური მონაცემები;

გ) კონკურსის გამოცხადების შემთხვევაში აპლიკანტების მონაცემები.

ამ დებულების ფორმირების მიზნებისთვის გამოყენებულია:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია (GDPR);
- საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის" შესახებ;
- კომპანიის შიდა ნორმატიული სამართლებრივი აქტები.

კომპანიის მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავებისას თანამშრომლები ვალდებული არიან, დაიცვან მონაცემთა უსაფრთხოება: ა)შესაბამისად, საჭიროა თანამშრომლების პერსონალური კომპიუტერები გადავიდეს ეკრანის ჩაქრობის რეჟიმზე გამოუყენებლობიდან 10 წუთის შემდეგ და დაყენდეს პაროლი. ბ) აგრეთვე, პერსონალური მონაცემების შემცველი ფაილები და ბაზები დაცული უნდა იყოს პაროლით. გ) ფაილები და ბაზები, რომლებიც არ გამოიყენება მიმდინარე პროცესში, მაგრამ გარკვეული ვადით საჭიროებს შენახვას, უნდა დაარქივდეს დაცული კოდით (პაროლით). პერსონალურ მონაცემთა დაცვის მიზნით, IT სპეციალისტი თანამშრომლობს კომპანიის დირექტორთან და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერთან.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 5.2.1.3 შესაბამისია

4.პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;

ინფრასტრუქტურის განვითარება ეფუძნება პერიოდული შეფასების შედეგებს, უზრუნველყოფილია ინფორმაციული უსაფრთხოების მონიტორინგი და შესაბამისი რეაგირება.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 5.2.1.4 შესაბამისია

5.პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;

პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისთვის ხელმისაწვდომი არის დაწესებულების IT ინფრასტრუქტურა და შესაბამისი მომსახურებები. აღნიშნული მოთხოვნის შესაბამისად, თენექსი აღჭურვილია სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით, რაც უზრუნველყოფს სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების შეუფერხებელ და ეფექტიან წარმართვას. პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტებისთვის, ასევე, მუდმივად ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა საინფორმაციო ინფრასტრუქტურა, მათ შორის ინტერნეტთან დაკავშირებული კომპიუტერები, პრინტერი, სკანერი, ქსელური და უკაბელო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინტერნეტი. საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურისა და მომსახურებების გამართული ფუნქციონირება და ხელმისაწვდომობა, ასევე, ფასდება ცენტრის IT სერვისებით მოსარგებლეთა გამოკითხვის გზით. პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვის შედეგები ადასტურებს მათი კმაყოფილების მაღალ დონეს, რაც დადასტურდა ექსპერტებთან ინტერვიუების პროცესშიც. ზემოაღნიშნულის საფუძველზე დგინდება, თენექსში პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისთვის ხელმისაწვდომია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურებები. დაწესებულება უზრუნველყოფს IT სისტემების უწყვეტ, უსაფრთხო და ეფექტიან ფუნქციონირებას, რაც სრულად პასუხობს ინდიკატორის მოთხოვნას.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 5.2.1.5 შესაბამისია

6.პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

Discord გამოიყენება როგორც პროფესიულ სტუდენტებსა და პროფესიული განათლების მასწავლებლებს შორის კომუნიკაციის, მხარდაჭერისა და თანამშრომლობის ხელშესაწყობად.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 5.2.1.6 შესაბამისია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- შპს თენექსსა და შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულებები;
- დაწესებულების ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკა;
- IT ინფრასტრუქტურისა და ინტერნეტმომსახურების შემოწმების შედეგი; უკაბელო ინტერნეტის ადგილზe შემოწმების შედეგი;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა;
- პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგი;

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

შპს ,,თენექსი"-ს დირექტორის 2026 წლის 12 თებერვლის ბრძანებით დამტკიცებულია საქმისწარმოების წესი, რომლის მიზანია მიზანია კომპანიაში დოკუმენტბრუნვის მოწესრიგება, შემოსული და გასული კორესპონდენციის, შიდა დოკუმენტაციის მომზადების, გაფორმების, გადამისამართების, აღრიცხვის, გამოყენებისა და შენახვის წესის დანერგვა. კომპანიაში საქმისწარმოება ხორციელდება მატერიალურად და ელექტრონულად - საქმისწარმოების ავტომატიზირებული სისტემის (შემდგომში - „სისტემა" eDocument) საშუალებით. საქმისწარმოების წესის ანალიზით დადასტურებულია მისი კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობა. საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელია კორესპონდენციის კოორდინატორი. ვიზიტის დროს გადამოწმდა ძირითადი ადმინისტრაციული და თანამშრომელთა დანიშვნა- გათავისუფლებების ბრძანებების, შემოსული განცხადებებისა და სამსახურებრივი ბარათების, ხელშეკრულებების რეგისტრაცია, პერსონალისა და პროგრამების განმახორციელებელთა პირადი საქმეები და დადასტურებული საქმისწარმოების წესის დაცვა.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 5.2.2.1 შესაბამისია

2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;

დაწესებულებაში დანერგილია დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა „სისტემა" eDocument. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა ელექტრონულ საქმისწარმოებაში დოკუმენტთა ატვირთვის ვადები და დადასტურებულია მათი საქმისწარმოების წესთან შესაბამისობა. უნდა აღინიშნოს ვიზიტს დროს გამოთხოვილი დოკუმენტაციის დროული მოწოდება. კორესპონდენციის კოორდინატორთან ინტერვიუთი დადასტურებულია მისი შესაბამისი კომპეტენცია.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 5.2.2.2 შესაბამისია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;

შპს "თენექსი"-ს დირექტორის მიერ დამტკიცებულია პროფესიული სტუდენტის, მსმენელის, კურსდამთავრებულის რეესტრის წესი, რომლის თანახმად, სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციის შეტანაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია პროგრამის კოორდინატორი.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 5.2.2.3 შესაბამისია

4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

აღნიშნული ინდიკატორის მტკიცებულებად დაწესებულებამ წარმოადგინა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გაგზავნილი შპს თენექსის გაგზავნილი კორესპონდენციები, რომლითაც გასწორებულია ტექნიკურად არასწორად გაგზავნილი დოკუმენტაციები.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 5.2.2.4 შესაბამისია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ,,შპს - „თენექსი"- ს ,,საქმისწარმოების წესი"-ს დამტკიცება" შპს ,,თენექსი"-ს დირექტორის 2026 წლის 12 იანვრის ბრძანება;
- საქმისწარმოების, მათ შორის ელექტრონული საქმისწარმოების შემოწმების შედეგი;
- საქმისმწარმოებლისა და პროგრამის კოორდინატორის სამუშაო აღწერილობა;
- პასუხისმგებელპირებტან ინტერვიუს შედეგი.

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;

დაწესებულების ოფიციალური ვებ. გვერდის მისამართია - https://10x.edu.ge. დაწესებულების ვებგვერდი არის ძალიან საინტერესო კონტენტის და ის უშუალოდ ორიენტირებულია მომხმარებელზე. ვებ. გვერდი მარკეტინგულად სწორად მუშაობს და ამავე დროს მასზე განთავსებულია ავტორიზაციის სტანდარტების ფარგლებში გათვალისწინებული სავალდებულო ინფორმაციები. დაწესებულება იყენებს სოციალური ქსელს დაინტერესებულ პირებთან კომუნიკაციისთვის. სოციალური ქსელების საშუალებით ასაკობრივი ინტერესების გათვალისწინებით იდება შესაბამისი ინფორმაცია. ვებ გვერდისა და სოციალური ქსელის მართვაზე პასუხისმგებელია საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორი. მისი მოვალეობაა - ვებგვერდისა და სოციალური პლატფორმების კონტენტის მომზადება, მართვა, განახლება, კომპანიის საზოგადოებაში წარმოჩენის მიზნით აქტივობების გაშუქების დაგეგმვა-განხორციელება. მასთან კომუნიკაციით დადასტურებულია რომ არის თავისი საქმის მცოდნე, კვალიფიციური კადრი და კარგად აქვს გააზრებული ვებ გვერდისა და სოციალური ქსელის მნიშვნელობა დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის პროცესში. აქვს საინტერესო ხედვები ვებ გვერდის შინაარსთან დაკავშირებით და სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით წარმართავს თავის საქმიანობას. დაწესებულების ვებგვერდით გათვალისწინებულია საკითხავი ველი (ბლოგი) და მასზე პერიოდულად თავსდება საინტერესო ინფორმაციები თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების თაობაზე.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 5.2.3.1 შესაბამისია

2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

დაწესებულების მისიით არ არის გათვალისწინებული საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი. ინგლისურენოვანი ვებ გვერდიც არ აქვთ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 5.2.3.2 შესაბამისია

3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

დაწესებულების ვებ გვერდზე განთავსებულია ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია: ვებ-გვერდზე განთავსებული დაწესებულების მისია, ინფორმაცია სამომავლო საქმიანობის, კომპანიის სტრუქტურის, დაგეგმილი პროგრამების სახელწოდებების, პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურების, პროგრამის მოსალოდნელი სწავლის შედეგებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნების თაობაზე (განთავსებულია ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტები) დაწესებულებას ვებ გვერდზე განთავსებული აქვს ინფორმაცია არაფორმალური სასწავლო კურსების თაობაზეც. დაწესებულებას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის მექანიზმები. გათვალისწინებულია, რომ ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში განთავსებული ინფორმაცია დაწესებულების აქტივობების, მიღწევების, პარტნიორობის და სხვა სახის ინფორმაცია უნდა იყოს უტყუარი. დაწესებულებაში მოქმედებს ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკა, რომელიც ასევე უზრუნველყოფს სანდო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას. ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელია საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორი, რომელსაც ინფორმაციას ასევე აწვდიან შესაბამისი პასუხისმგებელი პირები. არსებული რეგულაციისა და ვებგვერდის შესწავლით დადასტურებულია, რომ კომპანია უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 5.2.3.3 შესაბამისია

4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების თაობაზე ვებ გვერდზე ინფორმაცია განთავსებულია ანონსის სახით - „მალე“. საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორის განმარტებით ავტორიზაციის შემდეგ დაიდება კატალოგი.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 5.2.3.4 შესაბამისია

5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;

დაწესებულების რეგულაციებით გათვალისწინებულია ვებ გვერდზე კატალოგის განთავსება, რომელიც განახლდება ყოველწლიურად და ასევე, საჭიროებისამებრ, პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 5.2.3.5 შესაბამისია

6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

დაწესებულების მიერ შემუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. კომპანიის შიდა შეფასების მექანიზმები, სხვა არაერთ საკითხთან ერთად, ითვალისწინებს საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესის შეფასება გაუმჯობესებას „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ ციკლის შესაბამისად. საზოგადოებასთან ურთიერთობის მექანიზმებითაც გათვალისწინებულია საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების გამოყენება და მიღებული უკუკავშირის საფუძველზე საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესება. წარმოდგენილია ხარისხის უზრუნველყოფის გეგმა და პროფესიულ სტუდენტთა, თანამშრომელთა გამოკითხვის მიზნებისთვის შემუშავებული კითხვარები, რომლებიც იძლევა ვებ გვერდით, მათთან კომუნიკაციით მათი კმაყოფილების შესწავლის შესაძლებლობას. ხარისხის მენეჯერის წლიურ ანგარიშში ასახული მიგნებები, შედეგები შესაძლოა გახდეს შემდეგი ცვლილებების/აქტივობების საფუძველი.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 5.2.3.6 შესაბამისია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შპს თენექსსა და შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულებები;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა;
- ვებ გვერდის ანალიზის შედეგი;
- პასუხისმგებელ პირთან ინტერვიუს შედეგი.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

31.07.2026

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: